„გადამწყვეტი ბრძოლა საკრებულოსთვის„ შეიძლება, არც შედგეს A3
სტილი B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 28 ოქტომბერი, 2002 წელი. №148
ფასი 50 თეთრი

## თვალსაზრისი

### სისხლიანი შოუ დუბროვკაზე: იყვნენ თუ არა ტერორისტები რუსეთის სპეცსამსახურების „მიუზიკლის„ მონაწილენი?

120 დაღუპული, რამდენიმე ასეული უგზო-უკვლოდ დაკარგული, 500 მოწამლული _ სპეცოპერაციაში "ალფას" ოთხიანი დაუწერეს, პლუსით

A8

## ეკონომიკა

### ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტი, დღევანდელობა და სამომავლო პერსპექტივები

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის განხორციელების დაწყება, ჯერ ა.წ. ოქტომბრისათვის, შემდეგ კი, საერთოდ, მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადაიდო.

A4

## უცხოეთი

### ადამიანებს ეშინიათ ცვლილებების

ინტერვიუ ჟენევის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის პრორექტორთან, პროფესორ დანიელ უორნერთან.

ტერორიზმთან ბრძოლა წარმოუდგენელია მის მიზეზებთან ბრძოლის გარეშე. თუ აღმოვფხვრით იმ მიზეზებს, რომელის გამოც, ადამიანები სასოწარკვეთილებას ეძლევიან, მაშინ ტერორიზმის დამარცხებაც შესაძლებელი გახდება.

A5

## საზოგადოება

### არალეგიტიმური თავმჯდომარის განცხადებაზე პასუხს არ ვაგებთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. მათთან ერთად იყვნენ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სტუდკავშირებიც. თემა: თამბაქოს წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე თსუ-ს სტუდკავშირის ყოფილი თავმჯდომარის, დათო მესხიშვილის თვითნებური განცხადება.

A6

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 18 |
| ქუთაისი | 19 |
| ბათუმი | 19 |
| სოხუმი | 18 |
| ფოთი | 18 |
| თელავი | 16 |
| ზუგდიდი | 19 |
| გორი | 13 |
| ახმეტა | 16 |
| ჭიათურა | 17 |
| გაგრა | 17 |
| სამტრედია | 19 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1163 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3640 |
| რუბლი | 0.0683 |

# მოდი, გავაკეთოთ ერთად რამე - თბილიSOSობა



თბილიSOSობაზე.

ანა კორძაია-სამადაშვილი

თუკი ბოლო წლების თბილისის ისტორიას გადავხედავთ და თან ქართულ ანდაზასაც გავიხსენებთ, ციხე შიგნიდან ტყდებაო, გუშინ მთაწმინდაზე, იმ ბაღთან, სადაც სულხან-საბას ძეგლი დგას, მართლაც არაჩვეულებრივი რამ მოხდა: თბილისელები დაირაზმნენ და მოაწყვეს თბილიSOSობა. ამ დღესასწაულზე ასე დამპატიჟეს: "მოდი, ალტერნატიული თბილისობა იქნება".

"ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოს კონსტიტუციის 2.2, 5.1,2, 14, 25.1, 28.1 მუხლების საფუძველზე, მოვითხოვთ ჩვენი კონსტიტუციური უფლებების ამოქმედებას და ქალაქ თბილისში მერიის არჩევითი ინსტიტუტის დამკვიდრებას," - ასეთი განცხადება იყო ბაღში გამოკრული, და შეკრებილი თბილისელებიც მას დიდი ენთუზიაზმით აწერდნენ ხელს.

როგორც ფილოსოფოსმა, პროფესორმა გიგი თევზაძემ მომახსენა, ის სწორედ ამ მოწოდების გამო გამოცხადდა სულხან-საბას ბაღში, თორემ თბილისის ნგრევის და რაღაც დაუჯერებლის მშენებლობის შეწყვეტის ამბავს ფრიად სკეპტიკურად უყურებს: "ძალიან დამენანა, რომ ეს სახლები," - ხელი გაიშვირა, და რა მიმართულებით, ამას მნიშვნელობა არა აქვს - ყველგან ერთი და იგივე ხდება, - "ინგრევა, მაგრამ იმ ხალხს, ვინც შიგ ცხოვრობს, იმასაც ასე უნდა, და რა ვქნა."

საერთოდ, ბაღში მოსულ ადამიანებს, თურმე, სრულიად სხვადასხვა მოტივით მოეყარა თავი: მწერალი

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხელისუფლება და ინფორმაცია ექსტრემალურ ვითარებაში

ბადრი კოპლატაძე

მოსკოვში დატრიალებული მოვლენების შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა, თუმცა, ეს თემა მაინც დიდხანს დარჩება მედიის ყურადღების ცენტრში, რადგან განსჯის და ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კრიზისულ სიტუაციაში რუსეთის მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის შეფასება. რუსეთის ხელისუფლების მოქმედებებში მკაფიოდ შეიმჩნეოდა, რომ ისინი წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით მუშაობდნენ.

ამ სქემაში უპირველესი ადგილი ინფორმაციის კონტროლს ეკავა. ხელისუფლების ნებართვის გარეშე, სამი დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, არც ერთი ინფორმაცია არ გავრცელებულა. თვითონ ის ცნობებიც კი, რასაც რუსი ძალოვნები ახმაურებდნენ, საკმაოზე მეტად ძუნწი იყო. ინფორმაციის ასეთ ჩაკეტილობას თავისი მიზეზები ჰქონდა.

პირველი მიზეზი, ალბათ, იყო ის, რომ ჩეჩნებს არ უნდა მისცემოდათ არანაირი საშუალება, რათა საზოგადოებისთვის თავიანთი მოქმედებების მიზეზები აეხსნათ. რუსეთის მთავრობა, როგორც ჩანს, შიშობდა, რომ, ღია საინფორმაციო სივრცის პირობებში, მოსახლეობის განწყობა შეიძლება, სულ ცოტა ხანში მთავრობის საწინააღმდეგოდ შეცვლილიყო. ამის პირველი ნიშნები უკვე მძევლების აყვანის მეორე დღეს გამოიკვეთა, ხოლო შტურმის წინ, იგივე რუსული ტელეარხებით გასულ გადაცემებში, ფსიქოზური სიმპტომები შეიმჩნეოდა. კრიტიკულ სიტუაციაში ადამიანები გამოსავალს ეძებდნენ და საზოგადოებრივი აზრი იხრებოდა იმისკენ, რომ გაეზიარებინა ბარაევის ჯგუფის მთავარი მოთხოვნა - ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანა. მით უფრო, რომ ამისათვის იდეოლოგიური საფუძველი რუსეთში ტერაქტამდე არსებობდა. ამიტომაც პუტინმა ყველაფერი გააკეთა, რათა არაკონტროლირებადი ინფორმაციის გავრცელება თავიდან აეცილებინა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო ერთი მომენტი: როგორც ცნობილია, ჩეჩნებთან პირველი შეხვედრა მომღერალმა კობზონმა მოახერხა, შემდეგ კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსი აღმოჩნდა თეატრის შენობაში, მაგრამ არც ერთი მათგანი, გარდა კობზონისა, ტელეეკრანებზე არ გამოჩენილა (კობზონის შემთხვევაში ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ტერაქტი ახალი მომხდარი

გაგრძელება A3 გვერდზე

# გაგუდულ მძევალთა რიცხვმა, შეიძლება, 300-ს მიაღწიოს

*ბოლო მონაცემებით, მოსკოვში, სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა რიცხვმა 120-ს გადააჭარბა, 150-მდე მძევალი კრიტიკულ მდგომარეობაში რეანიმაციაში იმყოფება, 100-ზე მეტი კი უგზო-უკვლოდაა დაკარგული. გარდაცვლილთა აბსოლუტური უმრავლესობა უცნობი მხუთავი გაზით არის გაგუდული, რომლის გამოყენებას რუსეთის ხელისუფლება თავიდან კატეგორიულად უარყოფდა. ქიმიური იარაღის ექსპერტები, ჯერჯერობით, ვერ იძლევიან ზუსტ პასუხს, რომელი კატეგორიის მომწამვლელი სპეცსაშუალება იქნა გამოყენებული კულტურის სასახლის შტურმის დროს - "მახჩობელა" თუ "ფსიქოქიმიური მოქმედების". პუტინის ხელისუფლებას ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული აქვს. ნათესავებს არ აძლევენ საავადმყოფოებში მყოფი მძევლების ნახვის უფლებას, ხოლო ჭირისუფლებს - დაღუპულთა გვამებს. რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს სპეცბრძანებით, ყველა ექიმს აეკრძალა პრესასთან ურთიერთობა, მათ შორის, ბოკტინის საავადმყოფოს მორგის თანამშრომლებსაც, სადაც შტურმის დროს გაგუდულ მძევალთა გვამები "იკარუსებით" მიიტანეს.*

ზაზა წულაძე

შტურმის თვითმხილველთა თქმით, მძევალთა უმრავლესობა აბსოლუტურად გათიშული იყო. **"მე ჩემი თვალით ვნახე 100-მდე გაშეშებული მძევალი, ისინი შენობიდან ხელით გამოიყვანეს და პირდაპირ ჩაალაგეს ავტობუსებში, უმეტესობა შიშველი იყო და ტანზე არავითარი ჭრილობა არ ჰქონდა, იყვნენ ისეთებიც, ვინც ბორძიკ-ბორძიკით თვითონ გამოვიდა, მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს არ იცოდნენ, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ,"** – ასე იგონებს შტურმის შემდგომ პერიოდს "როიტერის" ფოტოკორესპონდენტი სერგეი კარპუხინი. **"დარბაზში დაღუპულთა**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქველმოქმედება ერის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია




# საქართველო არც იმდენად ღარიბია, ვალები რომ ჩამოაწერონ

*სავალუტო ფონდის მისიის სამუშაო ვიზიტი საქართველოში მთავრობისა და პარლამენტის გამწვავებულ ურთიერთობებს დაემთხვა. ცალკეული საპარლამენტო ფრაქციები მთავრობის, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ საბიუჯეტო თემატიკის გამოყენებას აპირებენ, რაც არც ისე რთულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტის დანაკლისი, ოფიციალური ინფორმაციით, 80 მილიონ ლარზე მეტია. თუმცა, ფონდის ექსპერტთა ახლანდელი ვიზიტი ერთი თავისებურებით მაინც გამოირჩევა. აქამდე გამართული ყველა შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.*

გიორგი კალანდაძე

**"ფონდის მისია საქართველოს მთავრობის მიერ შესრულებული ვალდებულებების მონიტორინგითაა დაკავებული. ძირითადად, საუბარია იმ ვალდებულებებზე, რომელიც ფინანსთა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებს უნდა შეესრულებინათ,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება იყო, რომელიც დაირღვა. "24 საათთან" საუბარში ისაკაძემ ყურადღება გაამახვილა საბიუჯეტო დანაკლისის კომპონენტებზე, რომელიც, პირობითად, სამი ნაწილისგან შედგება: **"დანაკლისის ნახევარზე მეტს ევროკავშირიდან მიუღებელი გრანტები წარმოადგენს. ასევე უნდა აღინიშნოს აჭარის ავტონომიიდან გადმოურიცხავი თანხები. დანაკლისის მესამე კომპონენტი კი არასაგადასახადო შემოსავლების შეუსრულებელი პარამეტრია."**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სტილი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# მოდი, გავაკეთოთ ერთად რამე - თბილიSOSობა

პირველი გვერდიდან

ზურა ქარუმიძე ყეენობის დღესასწაულის აღორძინებაზე ოცნებობს (შესანიშნავი კი იქნებოდა - ა.კ-ს). მხატვარი გუგა კოტეტიშვილი და გოჩა კაპანაძე დიდხანს მაჩეჩებდნენ ერთმანეთს, და ბოლოს გოჩამ დავით მაღრაძის წამოწყების თანადგომით ახსნა თავისი ბაღში დგომის მიზეზი. მაია კახურაშვილი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თბილისში უძრავი ქონებით იყო დაკავებული, იმის სანახავად მოვიდა, ვისთან ღირდა "რეალურად" საქმის დაჭერა ვერის უბნის გადასარჩენად. არასამთავრობო სექტორს გიგა ბოკერია წარმოადგენდა, რომელიც თანამზრახველთა რიგებში ჩასადგომად იყო მოსული. ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი, "ქართული პოსტ-მოდერნის მამა", საუბრისთვის ვერ იცლიდა, მუშაობდა, და ძალიან რომ შევუჩნდი, მომიგო, გამომსვლელებს მოუსმინე, მეც მათ აზრს ვიზიარებო.

გამომსვლელებზე ცალკე მოგახსენებთ. მათ სახელებს მთელი საქართველო იცნობს: პოეტები დავით მაღრაძე და რატი ამაღლობელი, მწერალი დავით ტურაშვილი, დრამატურგი ლაშა ბაქრაძე - რომელსაც ვერ გაეგო, რა დღესასწაულებია რვა მარტი და თბილისობა. რეჟისორი ელდარ შენგელაია დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანებული შეძახილების თანხლებით გრენლანდიის გატანას მოითხოვდა. გამოცხადდა ბიძინა გეგიძე – სახე იმისა, რომ ქართველებს გამარჯვება დღესაც შეგვიძლია. მოვიდნენ გიგი წერეთელი და მიხეილ სააკაშვილი - ეს უკანასკნელი დაგვპირდა, რომ თუკი რამე უკანონო მშენებლობის ამბავს შევატყობინებთ, უმალვე გამოცხადდება და ჩვენს ქალაქს არავის დააჩაგვრინებს. განსაკუთრებული სიხარული - როგორც ყოველთვის - ვახუშტი კოტეტიშვილის გამოსვლამ გამოიწვია: მის შემყურეს ყოველთვის მახსენდება მისივე სიტყვები, რომ ქალაქი მხოლოდ სახლები არ არის, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობენ, ხოლო ბატონი ვახუშტი პირადად ჩემთვის და, ვგონებ, მრავალი თქვენგანისთვისაც, ძვირფასო მკითხველებო, დიდი ნუგეშია: ის ჩვენს ქალაქში ცხოვრობს, და რადგან ასეა, შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ თბილისელები ვართ.

თბილისელები ერთობ უჩვეულო სოციუმია. მილიონნახევრიან ქალაქში ყოველი თბილისელი თვლის, რომ ყველა ერთმანეთს იცნობს და, პრინციპში, მართლაც ასეა. მაგიდასთან, რომელზეც ღვინო "ძველი თბილისის" ბოთლები ეწყო, რეჟისორმა გიორგი ხაინდრავამ მიამბო, რომ აქ იმის იმედად მოვიდა, რომ იმ ადამიანებს ნახავდა, ვინც მეტ-ნაკლებად, თავისიანებად ეგულება, ვისთანაც თბილისის მომავლის შესახებ საუბრისას აზრთა სხვადასხვაობის პრობლემა არ გააჩნია - თბილისელებზე იყო საუბარი. გარდა ამისა, ბ-ნი გოგა აღა მაჰმად ხანის ორდენზე კანდიდატურის წარდგენას აპირებს - ნიკო ლეკიშვილისას ("დავასაბუთებ კიდეც!"), ვინაიდან, მისი რწმენით, სწორედ ის გახდა ქალაქის ტოტალური გაპარტახების ტენდენციის ბიძგის მიმცემი (ე.წ. "თბილისის ომში" კი ბ-ნი გოგა ყველა თბილისელს ადანაშაულებს – და ამაში, ალბათ, ყველა თბილისელი დაეთანხმება). გარდა ამისა, თავად გოგა ხაინდრავა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, მთაწმინდაზე, შეიძლება ითქვას, ამ ბაღში გაიზარდა - განა შეეძლო, არ მოსულიყო?!

ბაღში პატარა გამოფენის ნახვაც შეიძლებოდა. გიორგი მირზაშვილმა ჯერ ავტორების ჩამოთვლა დაიწყო, შემდეგ კი მოკლედ ჩამოაყალიბა, თბილისელი მხატვრების გამოფენააო. ძალიან სასიამოვნო იყო ამ თავყრილობაზე უცნობის გამოჩენაც - გარდა იმისა, რომ მისმა სიმღერამ ყველა გაახარა, შესანიშნავი სიტყვებიც წარმოთქვა, რომელმაც სრულიად ახლებურად გამაგონა მისი ჰიტები: მართლაც, კაბის აწევის გარდა ხომ ერთად უამრავი რამის გაკეთება შეგვიძლია. მაგალითად, შეგვიძლია ლექსები წავიკითხოთ, ან გამოფენა დავათვალიეროთ, ან დავლიოთ "ძველი თბილისი", ან უცნობთან ერთად გავარკვიოთ, სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს...

შეგვიძლია ჩვენი დედაქალაქიც გადავარჩინოთ. და თუ ამას ერთად ვიზამთ, იქნებ მომავალ წელს დათო მაღრაძეს აღარ მოუწიოს ასეთი სევდიანი ლექსის წაკითხვა, სადაც რაინდს სახიჩარი მამული ჰგონია სამშობლო...



## მოკლედ

**თბილისი.** "იტერას" შექმნის 10 წლის საიუბილეო ღონისძიებაზე, რომელიც მოსკოვში საკონცერტო დარბაზ "როსიაში" 11 ნოემბერს გაიმართება, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მიიწვევენ.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობაში აცნობეს.

ამასთან, გაიმართება საზეიმო სხდომა და კონცერტი.

რუსეთში საქართველოს ელჩმა ზურაბ აბაშიძემ ოფიციალური მიწვევა უკვე მიიღო.

წარმომადგენლობის ინფორმაციით, საერთო მოხსენებაში, რომელიც 120 ქვეყანაში "იტერას" მოღვაწეობას შეეხება, საუბარი იქნება საქართველოში ამ კომპანიის საქმიანობაზეც.

"იტერა" საქართველოში 1996 წლიდან მოქმედებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს ეგიდით, რუსეთ- საქართველოს მოლაპარაკებები 28 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, მოსკოვსა და თბილისში გაიმართება, სადაც ქართულ მხარეს წარმოადგენენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ქართული დელეგაციის წევრები, პარლამენტარები არმაზ ახვლედიანი და ელენე თევდორაძე, ხოლო რუსეთს, ამავე საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ლეონიდ სლუცკი და იური შარანდინი.

როგორც პრაიმ-ნიუსს არმაზ ახვლედიანმა აცნობა, მოლაპარაკებები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფაქტების შემსწავლელი ერთობლივი მისიის ფარგლებში ჩატარდება და მასზე განიხილება პანკისის ხეობისა და აქედან გამომდინარე რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული პრობლემატური საკითხები.

მისი ინფორმაციით, აღნიშნულ მისიაში, რუსი და ქართველი პარლამენტარების გარდა, წარმოდგენილნი არიან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 7 დეპუტატი სხვადასხვა ქვეყნიდან და მას ხელმძღვანელობს ბუნდესტაგის დეპუტატი კრისტა ლორხერი.

ახვლედიანის ინფორმაციით, მისია 31 ოქტომბერს პანკისის ხეობას ეწვევა და ადგილზე გაეცნობა ვითარებას.

თბილისში ჩამოსვლისას, ფაქტების შემსწავლელ მისიაში ელენე თევდორაძეს, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი, პარლამენტის ექსსპიკერი ზურაბ ჟვანია შეცვლის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული დემოკრატები" 31 ოქტომბერს, პარტიის პირველ ყრილობას, ხოლო 1 ნოემბერს ორგანიზაციის ყველა წევრის კონვენტს გამართავს, რითაც 2003 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას აცხადებს.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილემ, პარლამენტარმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, პარტია ყრილობაზე მიიღებს წესდებას, საპროგრამო დოკუმენტს და პარტიის ხელმძღვანელობას აირჩევს.

ამასთან, მაჭავარიანის თქმით, ორშაბათიდან "გაერთიანებული დემოკრატები" ეკონომიკურ, განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხებზე ფორუმებს გამართავს. "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" 63 რაიონში ადგილობრივი ორგანიზაცია დააფუძნა.

პარტიაში, მხოლოდ თბილისიდან 8000-მდე ადამიანი გაწევრიანდა, - თქვა მიხეილ მაჭავარიანმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი, პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი მიიჩნევს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირება, რის შეთავაზებასაც "სოციალისტები" ცდილობენ, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია.

როგორც პრაიმ-ნიუსს პატიაშვილმა განუცხადა, ასეთი სახის ინიციატივები პარლამენტში ხშირად ფიქსირდება, თუმცა კონკრეტული წინადადებები და ქმედებები, რომლითაც რეალური შედეგების მიღწევაა შესაძლებელი, ჯერჯერობით არ ყოფილა.

მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობა, რის შესახებაც "სოციალისტთა" ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი საუბრობს, თუ შეიქმნა კიდეც, დიდხანს ვერ გასტანს.

"ფრაქციები ერთმანეთთან იდავებენ და ისევ განხეთქილება ჩამოვარდება", - თქვა მან.

პატიაშვილმა აღნიშნა, რომ თავის დროზე პარლამენტში უმრავლესობა არსებობდა, თუმცა, თუ რას მიაღწია მან, ყველამ კარგად დაინახა.

მისივე ინფორმაციით, ამ საკითხზე მის ფრაქციას "სოციალისტებთან" კონსულტაციები არ გაუმართავს, თუმცა, თუ ასეთი წინადადებით მიმართავენ, "ერთობა" აღნიშნულს სერიოზულად არ შეხედავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის 5 -მდე დაწევის ინიციატივით გამოდის.

როგორც პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში გიორგი თარგამაძემ განაცხადა, 7-პროცენტიანი ბარიერის პირობებში ყველა პარტია ეძებს გარანტიას და იძულებულია თავისი პრინციპების დათმობის ხარჯზე, რომელიმე სახელისუფლებო პარტიასთან გაერთიანდეს.

თარგამაძის აზრით, 1999 წელს, საქართველოსთვის ნაჩქარევი იყო 7-პროცენტიანი ბარიერის დაწესება.

პარლამენტარის განცხადებით, 7-პროცენტიან ბარიერს სწორედ მაშინ უნდა ებიძგა პარტიებისათვის გაერთიანებისკენ, მაგრამ შედეგად საწინააღმდეგო რამ დაფიქსირდა - თუ სახელისუფლებო პარტიასთან არ არის პარტია კავშირში, ფაქტიურად არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ მოსახლეობის მხარდაჭერის შემთხვევაშიც, არჩევნებში, ორგანიზაცია 7-პროცენტიან ბარიერს გადალახავს.

ასეთი ტენდენცია 5 პროცენტიანი ბარიერის არსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა, - აღნიშნა მან.

ამასთან, თარგამაძის თქმით, 5 პროცენტიანი ბარიერი გარკვეულ ეტაპზე პარლამენტში გამოიწვევდა უფრო მრავალფეროვანი სპექტრის წარმოჩენას, მაგრამ ეს უფრო ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი იქნებოდა.

მისი თქმით, უკვე 5-7 წლის შემდეგ, შესაძლოა თავად პარტიებისაგან გაჩენილიყო ინიციატივა, რათა ბარიერი 7-პროცენტამდე გაზრდილიყო.

ამ ეტაპზე კი, 7-პროცენტიანმა საარჩევნო ბარიერმა მხოლოდ ნეგატიურ როლი ითამაშა საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, - განაცხადა გიორგი თარგამაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", რომელიც 1999 წელს საარჩევნო ბარიერის 5 პროცენტიდან 7-პროცენტამდე გაზრდის ინიციატორი იყო, წინააღმდეგია, რომ კვლავ 5 პროცენტიანი ბარიერი დაწესდეს, რის შესახებაც წინადადებით საპარლამენტო ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე გამოდის.

როგორც პრაიმ-ნიუსს "ედპ"-ს მთავარი საბჭოს სპიკერმა ირაკლი ქადაგიშვილმა განუცხადა, 7-პროცენტიანმა ბარიერმა, შესაძლოა, მართლაც ჩამოაყალიბა პარტიათა ხელოვნური გაერთიანება, მაგრამ ეს არ უნდა უშლიდეს ხელს იმას, რომ რეალური გაერთიანებები შეიქმნას, რასაც თავის მხრივ 7-პროცენტიანი ბარიერი განაპირობებს.

მისი აზრით, ამჟამად, მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიები, რომლებიც იდეოლოგიით, წესდებით და საპროგრამო მიზნებით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, რატომღაც მაინც ცალ-ცალკე მოქმედებენ, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ პოლიტიკური კულტურა დაბალია და რეალურად იდეის გარშემო გაერთიანება არ ხერხდება.

პარტიები იძულებულები ხდებიან, რომ ნელ-ნელა ამ ნაბიჯებისკენ წავიდნენ და 7 პროცენტიანი ბარიერი ის შემთხვევაა, "როცა იძულება დადებითი ფაქტორია", - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

## გაგუდულ მძევალთა რიცხვმა, შეიძლება, 300-ს მიაღწიოს

### ქიმიური იარაღის გამოყენების ამკრძალავი საერთაშორისო კონვენცია პუტინის ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის საწინააღმდეგოდ დაარღვია



REUTERS

მოწამლული მძევლები საავადმყოფოში გადაჰყავთ.

პირველი გვერდიდან

**უმრავლესობა, უცნობი გაზით იყო გაგუდული, ეტყობოდა, რომ მათ ძალიან დიდი დოზა მიიღეს, ეს ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა,"** – აღნიშნავს მოსკოვის მაშველთა სამსახურის მთავარი ექიმი ოლგა კარპოვა.

მოსკოვის საავადმყოფოებში განთავსებულ ყოფილ მძევალთა უმრავლესობა კვლავ კომატოზურ მდგომარეობაშია. **"150 ადამიანის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ყველა მათგანი უცნობი ნივთიერებით არის მოწამლული,"** – განაცხადა გუშინ სკლიფასოვსკის სახელობის საავადმყოფოს ექიმმა ვლადიმირ რიაბინინმა.

ინფორმაციის გასაიდუმლოების გამო, ექსპერტები ვერ იძლევიან ზუსტ პასუხს, რა სახეობის მომწამვლელი გაზი შეიძლებოდა გამოეყენებინათ მელნიკოვის ქუჩაზე. **"პირველადი დაკვირვებით, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ვალიუმის აეროზოლი, ან ჰალიუცონოგენი – "ბზ". თუ რუსებმა "ბზ" გამოიყენეს, მაშინ ეს იქნებოდა უფრო მაღალი კონცენტრაციის, მაგრამ მგონია, რომ ეს აეროზოლი იყო,"** – მიაჩნია ვირჯინიის უნივერსიტეტის სამედიცინო ტოქსიკოლოგიის დოქტორს ქრისტოფერ ჰოლსტეჯს.

მომწამვლელი ნივთიერება – "ბზ", 50-60-იან წლებში პენტაგონმა შექმნა. დღეს ეს ქიმიური იარაღი, დასავლეთის რამდენიმე ქვეყანას აქვს შეიარაღებაში. "ბზ" ფსიქოქიმიური ზემოქმედების მომწამვლელ ნივთიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება. **"ერთი მილილიტრი სპეცგაზის, ერთ ლიტრ გამხსნელში გახსნა და თუნდაც ერთი წუთით ჰაერში გაშვება საკმარისია, რომ ადამიანებში გამოიწვიოო ფსიქიკური აშლილობა, ჰალუცინაციები, დაურღვიოო მოძრაობის კოორდინაცია, წაართვა მეტყველების უნარი და მხედველობა, უფრო დიდი დოზა მომენტალურ სიკვდილს იწვევს,"** – გვითხრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სპეციალისტებმა.

ექსპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლებას შტურმის დროს უფრო ძლიერი მოქმედების სპეცსაშუალება აქვს გამოყენებული. **"ბზ"-ს ასამოქმედებლად უფრო დიდი დროა საჭირო - ნახევარი საათიდან სამ საათამდე. ის მეტად გამოუცნობი იარაღია და ძალიან ხშირად ადამიანის უკიდურეს აღგზნებას იწვევს. ამ შემთხვევაში, რუსებს, ჯერ ერთი, არ ჰქონდათ დრო, მეორეც - საქმე ჰქონდათ ტერორისტებთან, რომლებიც რამდენიმე ასეული კილოგრამი ტროტილის აფეთქებას აპირებდნენ. ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, ჩეჩნების კიდევ უფრო აღგზნება მათ ინტერესებში ყოფილიყო,"** – წერს "ლოს-ანჯელეს თაიმსის" სამეცნიერო კორესპონდენტი ჯოზეფ ვერენჯია.

საქართველოს შინაგანი ჯარების სპეცმომზადების ყოფილი ოფიცერი ლევან იორდანიშვილი დარწმუნებულია, რომ რუსებმა ფსიქოქიმიური მოქმედების საშულების ნაცვლად, გაცილებით ძლიერი, ე.წ. "მახრჩობელა გაზი" გამოიყენეს. **"ფსიქოქიმიური გაზის გამოყენების მთავარი მახასიათებელია ძლიერი ღებინება და შარდვა. დანარჩენი ნიშნები - გულის უკმარისობა, პულსის მომატება, ფილტვების შეშუპება და თითქმის ორ კილოგრამამდე გაზრდა, მეტყველების და მხედველობის დაკარგვა, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, კომა, თითქმის ყველა სხვა გაზს ახასიათებს. რასაც თვალს ვადევნებ, არც ერთ ყოფილ მძევალს ისეთი ნიშნები, როგორიც ღებინება და შარდვაა, არ უხსენებია. რუსებს სჭირდებოდათ მომენტალური ეფექტი, რასაც სწორედ მახრჩობელა გაზი იწვევს. ამიტომ მგონია, რომ გამოყენებული იქნა გაცილებით ძლიერი, მახრჩობელა ფოსგენი, ესეც ამერიკული სპეცსაშუალებაა. ახასიათებს დამპალი ხილისა და ბალახის სუნი, რის შესახებაც რამდენიმე მძევალმა უკვე ისაუბრა. ის, რომ ხალხმა, მათ შორის ჩეჩნებმაც, იგრძნეს გაზის სუნი, ნიშნავს იმას, რომ ეს არ უნდა ყოფილი "ბზ" და მსგავსი ტიპის გაზები - მათ სუნი არა აქვთ. ფოსგენის ტიპის გაზის გამოყენებაზე ისიც მეტყველებს, რომ ამდენი ხალხი მომენტალურად გაითიშა და დაიღუპა, მათ შორის - ჩეჩნებიც. ტერორისტებს ჰქონდათ აირწინაღები, მაგრამ ვერ მოასწრეს გაკეთება. ჩემი აზრით, მინიმუმ 300-მდე ადამიანი უნდა დაიღუპოს. ფოსგენით მოწამლულებისთვის, ყველაზე კრიტიკული დღეებია პირველი ორი დღე, მოწამვლის შემდეგ. მიაქციეთ ყურადღება, დაღუპულთა რიცხვი სწორედ ამ ორ დღეში გაიზარდა, უცებ. მათთვის, ვინც ახლა მძიმე მდგომარეობაში რეანიმაციაში იმყოფება, კრიტიკული იქნება მომავალი ორი-სამი კვირა. ეს იმდენად საშინელი გაზია, რომ ძალიან ცოტა ხალხი გადარჩება, ეს არის საშინელი დანაშაული საკუთარი ხალხის მიმართ,"** – გვითხრა იორდანიშვილმა.

პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტორი რონ მადრიდი არ გამორიცხავს, რომ **"რუსებმა, შეიძლება, სრულიად ახალი ქიმიური იარაღი გამოიყენეს. ისინი ამ სფეროში, 30 წელზე მეტია, მუშაობენ, მაშინ, როცა, ჩვენ კონვენციით ამის გაკეთება აკრძალული გვქონდა".**

დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ პუტინის ხელისუფლებამ, საკუთარი ხალხის საწინააღმდეგოდ, დაარღვია ქიმიური იარაღის გამოყენების ამკრძალავი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც 1975 წლიდან მოქმედებს. **"რეაგენტი, რომელსაც თუნდაც რამდენიმე საათით გამოჰყავს ადამიანი მწყობრიდან, აკრძალულია კონვენციით. ამიტომ ამ შემთხვევაში, კონვენციის დარღვევაზე საუბრის საფუძველი ნამდვილად გვაქვს,"** – აღნიშნა გუშინ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ყოფილმა თანამშრომელმა ელაიზა ჰარისმა.

**P.S. გვიან ღამით, მოსკოვის მთავარმა ექიმმა ანდრეი სოლცოვსკიმ პირველად დაადასტურა, რომ ორის გარდა, ყველა დანარჩენი დაღუპული მძევლის გარდაცვალების მიზეზი გაზით გაგუდვა იყო. ჩეჩნებს არც ერთი მძევალი არ დაუხვრეტიათ. ექიმებმა კვლავაც არ იციან, რომელი სპეცგაზი იყო გამოყენებული მელნიკოვის ქუჩაზე.**

## „გადამწყვეტი ბრძოლა საკრებულოსთვის" შეიძლება, არც შედგეს

*მიმდინარე კვირას ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ მოექცევა პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრში. კომისიის ხელმძღვანელობის მიერ თბილისის საკრებულოს ახალი შემადგენლობის დამტკიცებისთვის მოთხოვნილი ვადები უკვე ამოწურულია. ასე რომ, ცესკოს დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად მოუწევს არჩევნების შედეგების ხელახალი ოქმის დამტკიცება.*

თამარ მჭედლიშვილი

დღეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სხდომაა დაგეგმილი. ცესკოს წევრები იმ სარჩელების განხილვას შეეცდებიან, რომელიც ჯერ კიდევ ორი ივნისის შემდეგ დევს იურიდიულ განყოფილებაში და რომელიც კომისიას ჯერაც არ შეუსწავლია.

სხვათა შორის, სასამართლოს ცნობილ გადაწყვეტილებაში (რომელმაც საფუძველი დაუდო თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების რევიზიას), ერთ-ერთ პუნქტად სწორედ პარტიათა იმ სარჩელების შესწავლაა შესული, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების დასრულების შემდეგ დადგენილ ვადებში არ განუხილავს.

შეგახსენებთ, რომ ორი მოსარჩელე პარტია – სახალხო და სოციალისტური - ცესკოს სწორედ იმას ედავებოდნენ, რომ მათ ხელთ არსებული ოქმები არ ემთხვეოდა საბოლოოდ დამტკიცებულ საუბნო კომისიების ოქმებს. სასამართლომ დაავალა ცესკოს, შეემოწმებინა პარტიათა მონაცემები, შეედარებინა იგი ოფიციალური ოქმებისთვის და, გაყალბების გამოვლენის შემთხვევაში, დაესაჯა დამნაშავენი.

ეჭვგარეშეა, რომ დღევანდელი დღე თბილისის საკრებულოს არჩევნების დამტკიცებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. საქმე ის გახლავთ, რომ სახალხო და სოციალისტური პარტიები ითხოვენ მათი მონაცემების ძველ ოქმებთან შედარებას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობა კი, შედეგების გადამოწმებით მიღებულ ახალ ოქმებზე საუბრობს და შესადარებლად სწორედ მათ გამოყენებას აპირებს.

საკითხი, ალბათ, კენჭისყრაზე დადგება და ცესკოს წევრთა ის ნაწილი გაიმარჯვებს, რომელიც უპირატესობას ახალ ოქმებს ანიჭებს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ამ ორმა პარტიამ შემდეგი ნაბიჯები კვლავ სასამართლოს მიმართულებით გადადგას. თუკი მოვლენები ამგვარი სცენარით წარიმართება, მაშინ ხვალ კომისია ვერანაირად ვერ მოახერხებს შედეგების ახალი ოქმის დამტკიცებას, რადგან იგი ვალდებული იქნება, დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ასე რომ, თბილისის საკრებულოს ბედი კვლავ გაურკვეველი რჩება. **"ნუთუ მართლა გგონიათ, რომ იგი (საკრებულო) მუშაობას დაიწყებს?",** - ნიშნის მოგებით შეეკითხა "24 საათს" ერთ-ერთი ჩინოვნიკი და იქვე განმარტა: **"მათთვის, ვისაც პოლიტიკურ სამზარეულოში ჩახედვის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს: ყველაფერი დალაგდა, მოწესრიგდა. საკრებულოს ფუნქციებს არაოფიციალურად პარტიათა ნაწილი შეითავსებს და მათ გარეშე მერია არც ერთ სერიოზულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ნუ გგონიათ, რომ საქმის ასეთი მსვლელობა იგივე "ნაციონალურ მოძრაობას" ან "ლეიბორისტებს" ხელს არ აძლევდეთ – საქმის კეთებას ხომ ქუჩაში ყვირილი სჯობს. ანდა ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, რომელი გააკეთებს იქ საქმეს – სააკაშვილი თუ ნათელაშვილი... თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს ყველა ვაჭრობს. პარტიებიცა და ქალაქის მთავრობაც".**

სხვათა შორის, სასამართლოში სარჩელის შეტანის რეალურ შესაძლებლობაზე "24 საათს" სახალხო პარტიის წარმომადგენლებმაც მიანიშნეს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ "სახალხოელები" არა თავად შედეგებს, არამედ ცესკოს მიერ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევებით შესრულებას გააპროტესტებენ. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სულ მალე თბილისის საკრებულოს საკითხს დროებით დაეკარგება აქტუალობა, რადგან 24 ნოემბერს საქართველოს რამდენიმე რაიონს პარლამენტის მაჟორიტარული არჩევნების ტალღა გადაუვლის - მათ შორის, საბურთალოს რაიონსაც.

ამ კვირიდან ცესკო ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთობების გარკვევასაც დაიწყებს, რადგან სწორედ ამ უწყებას ევალება არჩევნების ფინანსური უზრუნველყოფა.

ცესკოს თავმჯდომარის, ჯუმბერ ლომინაძის განცხადებით, ცესკოს ჯერჯერობით არ მიუღია მაჟორიტარული არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხა — 212.414 ლარი. **"თუ ფინანსთა სამინისტრო დროულად არ ჩარიცხავს თანხებს, 24 ნოემბრის არჩევნების ჩაშლა გამორიცხული არ არის",** - აცხადებენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ასე რომ, თუ მოვლენები ამგვარი სცენარით განვითარდა, სრულიადაც არ არის გამორიცხული, თბილისი კვლავ გაურკვეველი ვადით დარჩეს თვითმმართველობის გარეშე.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისთვის:

შეკითხვის ტექსტი:

## ხელისუფლება და ინფორმაცია ექსტრემალურ ვითარებაში

პირველი გვერდიდან

იყო და ძალოვნები თავიანთ მოქმედებებში ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებულნი არ იყვნენ). ყველა მათგანი საინფორმაციო სივრცისგან აბსოლუტურად მოწყვეტილი აღმოჩნდა, ისევ და ისევ იმ მიზნით, რომ, თუნდაც შემთხვევით, ხელისუფლებისათვის არასასურველი ინფორმაცია არ გაპარულიყო. გამონაკლისი იყვნენ ექიმები, მაგრამ მათი გამოსვლები მხოლოდ პროფესიულ საკითხებზე მსჯელობით შემოიფარგლებოდა, თუმცა, "წინასწარი გასაუბრების" გავლენა მათ სიტყვებშიც იგრძნობოდა.

დიდი ხმაური მოჰყვა ბარაევის ინტერვიუს აკრძალვას. ამ შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილ მოტივებს დაემატა კიდევ ერთი - რუსეთის მთავრობა, როგორც ჩანს, შიშობდა, რომ ბარაევი თავისი მოთხოვნების გახმოვანების გარდა, თეატრის გარეთ მყოფ თანამებრძოლებთან დაშიფრული მეთოდებით კონტაქტს შეეცდებოდა.

მთლიანობაში კრემლმა მოახერხა ჩეჩნების სრული საინფორმაციო იზოლირება. შედეგად, ტერორისტების თავდაჯერებულობამ მესამე დღის ბოლოს აშკარად იკლო. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო მათში გამეფებული უიმედობაც, რაც საბოლოო ჯამში იმ არაორგანიზებულობაში გამოიხატა, რითაც ჩეჩნები შტურმის დაწყებას შეხვდნენ. შეიარაღების და საწყისი პოზიციების გათვალისწინებით, ჩეჩნებს სპეცრაზმისათვის ბევრად უფრო დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის მთავრობამ თავისი საინფორმაციო პოლიტიკა შტურმის მერეც განაგრძო. დღემდე უცნობია დაღუპული მძევლების ზუსტი რიცხვი. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ გათავისუფლებული მძევლები თავიანთ ახლობლებსაც კი არ შეახვედრა. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს მათი წინასწარი "დარიგება-დამუშავებაც" მიმდინარეობდა. ცხადია, რომ ხელისუფლება თავიდანვე ზრუნავს ტერაქტის შემდგომ საინფორმაციო პოლიტიკაზე და, ოპერაციის წარმატებულობაზე საუბართან ერთად, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდის დაღუპულთა რაოდენობას.

საბოლოო ჯამში პუტინის არჩეულმა ტაქტიკამ, კონკრეტულად ტერაქტთან მიმართებაში, თავისი შედეგი მოიტანა (სხვა საკითხია ის, რომ პუტინი მსგავს პოლიტიკაზე არც ჩვეულებრივ სიტუაციებში ამბობს უარს). რუსეთის მოსახლეობამ ეს ოპერაცია, მიუხედავად მართლაც დიდი მსხვერპლისა, მოსალოდნელზე მშვიდად მიიღო, თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ თვითონ ჩეჩნეთის პრობლემის აქტუალურობა იკლებს, ალბათ, უფრო პირიქით მოხდება.

საბედნიეროდ, საქართველოში მსგავსი მასშტაბის ტერორისტული აქტები არ განხორციელებულა. ამ მხრივ ყველაზე სერიოზული რამდენიმე წლის წინ გოჩა ესებუას მიერ უცხოელი მძევლების აყვანა იყო. მაშინ ყოფილი ხელისუფლების მომხრეებმა გაერო-ს 6 თანამშრომელი დაატყვევეს. რამდენიმე წლის წინ მომხდარ ამ ტერაქტს დღეს იშვიათად იხსენებენ, თუმცა, მოსკოვური მოვლენების ჭრილში საინტერესოა იმ ტაქტიკის გახსენება, რითიც კრიზისულ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება მოქმედებდა.

სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში გამაგრებული ესებუა ხელისფლების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძალებით იყო გარშემორტყმული. მობილიზებული იყო ყველა ოფიციალური სტრუქტურა, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ჟურნალისტებისთვის, რომ უპრობლემოდ მოხვედრილიყვნენ მძევლებთან. მაშინდელი ქართული პრესა და ტელევიზია, შეიძლება ითქვას, სწორედ ალყაშემორტყმული სახლიდან მიღებული ინფორმაციით საზრდოობდა. არ დარჩენილა გამოცემა, რომლის ჟურნალისტსაც დეტალურად არ აღეწერა ესებუას მოთხოვნები, მისი ბიოგრაფია, მძევლების და მათი დამტყვევებლების დღის განრიგი თუ მძევალთა პირადი შთაბეჭდილებები. ერთკვირიანი დაძაბულობის შემდეგ, ყველაფერი მძევლების უსისხლო გათავისუფლებით დასრულდა, თვითონ ესებუა კი რამდენიმე კვირის შემდეგ სპეცრაზმის ოპერაციას ემსხვერპლა.

რა თქმა უნდა, პირდაპირი ანალოგია ესებუასთან დაკავშირებულ ამბებსა და მოსკოვურ ტრაგედიას შორის არ არსებობს, მაგრამ ეს ორი ოპერაცია კრიზისულ სიტუაციებში ხელისუფლების ქცევის განსხვავებულ მაგალითებს ასახავს. ამოსავალი წერტილი ამ მხრივ ყოველთვის მთავრობის შესაძლებლობებია. მოსკოვის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ პუტინი თავიდანვე პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტას ემხრობოდა და თავისი ყველა მოქმედება ამას დაუქვემდებარა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას მას ზურგს უმაგრებდა კარგად მომზადებული და გაწვრთნილი სპეცნაწილების არსებობა. ესებუას შემთხვევაში კი, საქართველოს მთავრობა ასეთ რესურსს ნამდვილად არ ფლობდა. ხელისუფლებამ მაშინ ვერც ის გაარკვია, ჟურნალისტებთან როგორ ემოქმედა და, უკვე შემდგომ, პრესას ადანაშაულებდა ესებუას გაიდეალებაში.

დღესაც სიტუაცია რადიკალურად შეცვლილი არ არის და ხელისუფლება ექსტრემალურ სიტუაციებს მოუმზადებელი ხვდება. მათ წინასწარ უნდა ჰქონდეთ დამუშავებული როგორც ის სამოქმედო სქემები, რითიც მსგავს სიტუაციას დაუპირისპირდებიან, ასევე პრესასთან ურთიერთობების წესები. ჟურნალისტებთან ასეთ წესებზე საუბარი სწორედ მშვიდობიან პირობებში უნდა ხდებოდეს, რათა შემდგომში გაუგებრობები თავიდან იქნას აცილებული. მით უფრო, რომ არ არის გამორიცხული, რუსულ მაგალითზე აპელირებით, ხელისუფლება ჟურნალისტების გაკონტროლებას შეეცადოს.

კრიზისული სიტუაციებისთვის მზადყოფნა რომ საქართველოში არადამაიმედებელია, ამას ერთი ფაქტიც ადასტურებს. გასულ კვირას გაიჟღერა ინფორმაციამ, რომელიც ტერაქტებს პირდაპირ არ უკავშირდება, მაგრამ ექსტრემალური სიტუაციებისადმი ხელისფლების მიდგომას ასახავს. როგორც ცნობილია, პანკისის ხეობის დაბომბვის შემდეგ, პარლამენტმა საგანგებო წესით ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსის შესაძენად თავდაცვის სამანისტროს 11 მილიონი გამოუყო. გასულ კვირას კი მთავრობამ გამოაცხადა, რომ, რადგან დაბომბვების საფრთხემ გადაიარა, მათ ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად ჩათვალეს ტექნიკის შეძენა და ამ თანხით უფრო აუცილებელი ხარჯები დააფინანსეს. ამასთან, არ დაზუსტებულა, ეს უფრო აუცილებელი ხარჯები რა არის, არჩევნების წინ გამგებლებისთვის ხელფასების მომატება თუ რაიმე კიდევ უფრო გადაუდებელი ღონისძიება.

# რამდენი „ვიაგრა" შეიძლება არსებობდეს

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოს უდიდესმა ფარმაცევტულმა კომპანიამ, "პფიზერმა" სასამართლოში უჩივლა თავის ოთხ კონკურენტს. ოთხივე საჩივარი ერთი მიზეზითაა გამოწვეული – "პფიზერს" სურს, დაიცვას თავისი ცნობილი პრეპარატი "ვიაგრა."

საქმე ის გახლავთ, რომ "ვიაგრას" ანალოგზე მუშაობს ერთდროულად რამდენიმე კომპანია. ერთის მხრივ, ესენია ამერიკული "ელი ლაილი" და "ლიკოსი," რომელთა პრეპარატსაც "სიალისი" უნდა ეწოდოს. მეორეს მხრივ კი - ბრიტანული "გლაქსოსმიტკლაინი" და გერმანული "ბაიერი." მათეულ "ვიაგრას" "ლევიტრა" დაერქმევა."ლევიტრაზეც" და "სიალისზე" მუშაობა, პრაქტიკულად, დასრულებულია, მათ თითქმის გაიარეს აპრობაცია შესაბამის სამთავრობო კომისიებში და უკვე მომავალ წელს გაყიდვაში უნდა გამოჩნდნენ.

მაგრამ "პფიზერი," რომელმაც ახლახან "ვიაგრაზე" ახალი პატენტი გამოსცა, ირწმუნება, რომ ამ ახალი პრეპარატების გამოშვება საავტორო უფლებების დარღვევაა და მეტი არაფერი. ანუ, "სიალისიცა" და "ლევიტრაც", უბრალოდ, "ვიაგრას" მოდიფიკაციებია. ცხადია, "პფიზერის" არცერთი კონკურენტი ამ ბრალდებას არ ეთანხმება და აპირებს, სასამართლოში ბოლომდე დაიცვას თავისი უფლება.

საერთოდ, ამგვარი დავები ფარმაცევტულ ბაზარზე ერთობ ხშირია. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ე.წ. დაუპატენტებელი წამლების პრობლემა მეტად აქტუალურად დგას მთელ მსოფლიოში და კერძოდ, აშშ-ში. ცნობილ პრეპარატებს, როგორც წესი, დიდი კომპანიები უშვებენ (ეს არცაა გასაკვირი, რადგან თითოეულ ახალ პრეპარატზე მუშაობა კოლოსალური თანხები ჯდება). მაგრამ მომხმარებელი მუდამ უკმაყოფილოა, რადგან დიდ კომპანიათა ნაწარმი, როგორც წესი, ძვირია. სწორედ ამიტომ გაჩნდა დაუპატენტებელი წამლები, რომელთაც მომცრო ფირმები (უმთავრესად, განვითარებადი ქვეყნებიდან) აწარმოებენ . ეს წამლები სხვა სახელებს ატარებენ (თუმცა, მათი შემადგენლობა მსხვილ კომპანიათა ცნობილი პრეპარატებისაგან პრაქტიკულად არ განსხვავდება) და უფრო იაფია.

სულ ახლახან პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ აუცილებელია ფარმაცევტულ ბაზარზე მეტი ფირმის დაშვება, რათა სამედიცინო პრეპარატები უფრო გაიაფდეს და ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის, უპირველესად კი მოხუცებისთვის. ცხადია, ეს კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს დიდ კომპანიებს, რომლებიც აქამდე გაშმაგებულნი ებრძოდნენ დაუპატენტებელი წამლების ბაზარზე გამოჩენის ყოველ ფაქტს.

თუმცა, "ვიაგრას" შემთხვევა ნამდვილად უნიკალურია, რადგან აქ "პფიზერი" დაუპატენტებელი წამლების გამოშვებაში ადანაშაულებს არა წვრილფეხა ფირმებს, არამედ მასავით ბობოლებს.

ეს ბობოლები კი ირწმუნებიან, რომ მათი პრეპარატები უნიკალური რეცეპტებითაა დამზადებული და "ვიაგრას" არანაირ მოდიფიკაციას არ წარმოადგენენ. ვნახოთ – ალბათ, ყველაფერი მალე გაირკვევა.

# 700 მილიონის ქურდმა დანაშაული აღიარა

"ელაიდ აირიშ ბენქზის" ყოფილმა თანამშრომელმა ჯონ რეზნაკმა დამნაშავედ სცნო თავი თაღლითურ გადარიცხვებში, რომლის შედეგადაც ამ ერთი წლის წინ მისმა ბანკმა თითქმის 700 მილიონი დოლარი დაკარგა. ეს ყველაზე დიდი სკანდალი იყო ფინანსური სამყაროს ისტორიაში 1995 წელს ლეგენდარული ბანკის "ბერინგის" გაკოტრების შემდეგ, რომელიც კიდევ ერთი დიდი თაღლითის, ნიკ ლისონის მაქინაციებს შეეწირა. "ბერინგისაგან" განსხვავებით, "ელაიდი" გადარჩა, თუმცა, ვერ გადარჩა რეზნაკი.

700 მილიონი დოლარი "ელაიდის" ანგარიშებიდან ერთბაშად არ გამქრალა. რეზნაკი, რომელიც ირლანდიური საბანკო გიგანტის ამერიკულ ფილიალში "ოლფერსტ ფაინენშალში" მუშაობდა, ხუთი წლის განმავლობაში ეწეოდა მაქინაციებს. თაღლითმა შვიდწლიანი პატიმრობა მიიღო, რასაც 5-წლიანი გამოსაცდელი ვადა დაემატება. ასეთი მსუბუქი სასჯელი რეზნაკს იმიტომ აკმარეს, რომ მან გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი არ თქვა და თანამზრახველების მხილებაზეც დათანხმდა.

ჯერჯერობით გაურკვეველია, დაეკისრება თუ არა რეზნაკს "ელაიდის" სასარგებლოდ ჯარიმის გადახდა. ამას მხოლოდ იანვარში შევიტყობთ, როცა სასამართლოს მორიგი სხდომა გაიმართება. სპეციალისტთა აზრით, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან აშკარაა, რომ რეზნაკი მარტო არ მუშაობდა. გამორიცხული არაა, რომ იგი ამ თამაშში უბრალო პაიკი იყო და ფულით სხვები უფრო ითბობდნენ ხელს.

# საქართველო არც იმდენად ღარიბია, ვალები რომ ჩამოაწერონ

## სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ვალების გადავადებაა რეალური

პირველი გვერდიდან

გიორგი ისაკაძის თქმით, სავალუტო ფონდის ექსპერტებთან შეხვედრებისას არ წამოჭრილა საქართველოს საგარეო ვალების გადავადებისა ან ჩამოწერის საკითხი. არადა, საგარეო ვალების ჩამოწერის თემა მთავრობის ბოლოდროინდელი დაპირებებიდან ერთ-ერთი ცენტრალურია.

ცოტა ხნის წინ საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაციის თითქმის ყველა წევრმა, რომლებმაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური სამიტის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, ამცნეს საქართველოს საზოგადოებას, რომ შესაძლებელია, საგარეო ვალის ერთი ნაწილი ჩამოგვეწეროს, მეორე ნაწილი კი ფრიად შეღავათიანი პირობებით გადაგვივადდეს. ვალების შესაძლო ჩამოწერის საკითხმა საქართველოს პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში დიდი კამათი გამოიწვია. სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის, ეროვნებით ბრაზილიელის, პაულო ნეუჰაუსის განცხადებამ ამ კამათს წერტილი დაუსვა – სავალუტო ფონდი საქართველოს არ თვლის იმდენად ღარიბ ქვეყნად, მისი საგარეო ვალების ჩამოწერის საკითხი რომ დააყენოს დღის წესრიგში. **"საქართველო არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების კატეგორიას, რომელთაც შეუძლიათ ვალების ჩამოწერის იმედი ჰქონდეთ,"** – აღნიშნა ნეუჰაუსმა. მისი თქმით, ასეთი პროცედურები უაღრესად ღარიბ ქვეყნებში მიმდინარეობს და მაშინაც ხდება ვალების მხოლოდ ნაწილის ჩამოწერა. ნეუჰაუსი ვარაუდობს, რომ საქართველოს შეუძლია ამ საკითხის დაყენება, თუმცა, ამავე დროს აუცილებელია მოლაპარაკებების დაწყება პარიზის კლუბის წევრ ქვეყნებთან. **"თუ სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭო საჭიროდ ჩათვლის ამ საკითხის დაყენებას, პარიზის კლუბში კონსულტაციების შემდეგ დაინიშნება ამ კონსულტაციების გამართვის თარიღი,"** - განაცხადა მან. მისიის ხელმძღვანელი ყველაზე უფრო რეალურად მიიჩნევს ვალების იმ ნაწილის რესტრუქტურიზაციას, რომელიც საქართველომ მომავალ წელს უნდა გადაიხადოს.

სამაგიეროდ, ნეუჰაუსი სავსებით რეალურად მიიჩნევს საქართველოს კრედიტორი ქვეყნების მიმართ 2003 წელს გადასახდელი ძირითადი ვა-



რომან გოცირიძე



გიორგი ისაკაძე

ლების ნაწილის კიდევ ერთი წლით გადავადება-რესტრუქტურიზაციას. თუმცა, მისი თქმით, რესტრუქტურიზაციის პირობები მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ფონდის მისია საქართველოში დაასრულებს მუშაობას და სავალუტო ფონდის აღმასრულებელ საბჭოს წარედგინება საქართველოს მთავრობის საქმიანობის შეფასება.

პარიზის კლუბის ქვეყნებთან მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს, საერთო ჯამში, 242 მილიონი აშშ დოლარის რესტრუქტურიზაციაზე წლიური ოთხპროცენტიანი განაკვეთით, რის შედეგადაც მომავალ წელს საქართველოს გადასახდელი ექნება ამ ქვეყნების ვალების საპროცენტო მომსახურებისათვის 81 მილიონი ლარი. 2000 წელს პარიზის კლუბის ქვეყნებთან მიმდინარე მოლაპარაკებებისას საქართველოს მთლიანი საგარეო ვალების – დაახლოებით, მილიარდ 700 მილიონი აშშ დოლარის გადახდა 2022 წლამდე არაუმეტეს ოთხ პროცენტიანი წლიური განაკვეთით გადაუვადდა. აქედან 631 მილიონი აშშ დოლარის ვალი დსთ-ს ქვეყნებზე მოდის.

**"სავალუტო ფონდი საქართველოს ბოლო პერიოდში ექცევა როგორც პირველკლასელს. დღეს საქართველოს ხელისუფლება იმდენად უსუსურად გამოიყურება, რომ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ჰგავს ანა-ბანას. ისინი ხვდებიან, რომ საქართველოს მთავრობას სერიოზული ნაბიჯების გადადგმა არ შეუძლია. ტრანშის შეწყვეტას კი საქართველოსთვის კატასტროფული შედეგი ექნება,"** – აღნიშნა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ. მისი თქმით, სავალუტო ფონდის ინტერესებში შედის ის, რომ საქართველომ შეძლოს ვალების მომსახურება. გოცირიძე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობაზე. **"შარშან რეზერვები 92 მილიონი დოლარი იყო. სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ეროვნული ბანკისთვის გამოყოფილი თანხის შედეგად, რეზერვებმა 140 მილიონ დოლარს მიაღწია. ანუ, რეზერვები გაიზარდა იმ რაოდენობით, რომ ქვეყანამ საგარეო ვალის მომსახურება შეძლოს. სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის თანხები, მიუღებლობის შემთხვევაში, იქნებოდა სერიოზული დარტყმა ბიუჯეტისათვის, საფრთხე შეექმნებოდა ლარის კურსს და ქვეყანა ვალების საპროცენტო მომსახურებასაც ვერ გასწევდა,"** – მიიჩნევს საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი და სავალუტო ფონდის მხარდაჭერის პოლიტიკურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მთავარ დონორ სახელმწიფოებს ხელს არ აძლევთ საქართველოში ეკონომიკური არასტაბილურობა.

მისიის დასრულების შემდეგ პაულო ნეუჰაუსი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობას ვაშინგტონში საქართველოში ეკონომიკური ვითარების შესახებ მოხსენებას წარუდგენს, რის შემდეგაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება, მიიღებს თუ არა საქართველო სავალუტო ფონდის მორიგ ტრანშს 30 მილიონი დოლარის ოდენობით.

# ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტი, დღევანდელობა და სამომავლო პერსპექტივები

ლიანა ჭერვალიძე

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის განხორციელების დაწყება, ჯერ ა.წ. ოქტომბრისათვის, შემდეგ კი, საერთოდ, მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადაიდო. British Petroleum-ის აზერბაიჯანის შტოს ხელმძღვანელმა, დევიდ ვუდვორდმა Dow Jones-ის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პროექტის დაწყების გადავადება მოხდა დაფინანსების საკითხებისა და თურქეთის ბაზრის მდგომარეობის გაურკვევლობის გამო. რუსულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო ამ საკითხს და პროექტის გადადების გამომწვევ მიზეზად მისი არაეკონომიურობა დაასახელა. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოვეხმაურებოდით ამ ფაქტს, ვინაიდან ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის განხორცილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის.

შევეცდებით, გავაანალიზოთ British Petroleum-ის აზერბაიჯანის შტოს დირექტორის, დავიდ ვუდვორდის არგუმენტები ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტის გადავადებასთან დაკავშირებით და განვსაზღვროთ, რამდენად უქმნის ისინი საფრთხეს პროექტის საბოლოო რეალიზებას, როგორც ამას რუსული პრესა ამტკიცებს.

საერთოდ, საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების დაფინანსების სცენარები, ძირითადად, ერთნაირია. ნავთობკომპანიები ამგვარი პროექტების დაფინანსების მხოლოდ მესამედს თუ იღებენ თავის თავზე. დანარჩენი ხარჯები საერთაშოროსო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებითა და წმინდა კომერციული სესხებით კერძო ბანკებიდან იფარება. ვინაიდან დაფინანსების წყარო ყველა საერთაშორისო პროექტისათვის ერთი და იგივეა, ძალზე დიდია კონკურენცია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეღავათიანი სესხებისა და კერძო ინვესტიციების ბაზარზე. ამიტომ თითოეული ენერგეტიკული პროექტი სერიოზულ დასაბუთებას მოითხოვს, არა მხოლოდ ეკონომიკური მომგებიანობის, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც.

პოლიტიკურ მიზანშეწონილობას კი განსაზღვრავენ ის ქვეყნები, რომლებიც თავისი შენატანებით საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო და საინვესტიციო რესურსებს ქმნიან (ძირითადად, აშშ, იაპონია, ევროკავშირი). ეს ქვეყნები არიან, საბოლოოო ჯამში, საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების ძირითადი მომხმარებლებიც. ამიტომ ფინანსური ინსტიტუტები ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ, ვიდრე აღნიშნული სახელმწიფოებიდან სრულიად გარკვეულ სიგნალს არ მიიღებენ ამა თუ იმ პროექტის მხარდაჭერის შესახებ.

საზოგადოდ, ენერგორესურსების ექსპორტ-იმპორტი ჩვეულებრივი ბიზნესის ჩარჩოებში ვერ თავსდება და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ დასავლეთ ევროპის მძლავრი იმპორტიორები ამჯობინებენ, ენერგეტიკული რესურსები იმ ქვეყნებიდან, იმ რაოდენობით და იმ პირობებით გაიტანონ, რომლებიც მათთვის არის ხელსაყრელი. ამჟამად განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული სტრატეგიის ქვაკუთხედს მიწოდების წყაროების მაქსიმალური დივერსიფიცირება და ერთი რომელიმე მიმწოდებლის მიერ მიწოდების მონოპოლიზების დაუშვებლობა წარმოადგენს.

ამ სცენარს კარგად შეესაბამება აზერბაიჯანული გაზი, რომელიც სამხრეთ ევროპის ბაზარზე რუსული გაზის სერიოზულ ალტერნატივას წარმოადგენს და, რუსულ გაზთან შედარებით, ფასითაც კონკურენტულია. რუსულ გაზს ბაზრიდან საბადოების სიშორე აძვირებს. ეს ტრანსპორტირების ხარჯებს ზრდის. ასევე აღსანიშნავია მოპოვებისა და დამუშავების მოძველებული ტექნოლოგიები და ახალი რესურსების ასათვისებლად და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის საჭირო თავისუფალი საინვესტიციო სახსრების ნაკლებობა.

ამასთან ერთად, აზერბაიჯანულ გაზზე დადებულ გარიგებაში, მონაწილეობენ დასავლური კორპორაციები, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ კორპორაციებისათვის და დიდ მოგებას აძლევს თავად ამ კორპორაციების ქვეყნებს. ამიტომ ეჭვი არ არის, რომ აზერბაიჯანულ გაზს თავისი მომხმარებელი ეყოლება დასავლეთის ბაზარზე.

ევროკავშირი აფინანსებს თურქეთ-საბერძნეთის დამაკავშირებელი გაზსადენის 300 მილიონ დოლარიან პროექტს, რომელმაც აზერბაიჯანული (შესაძლოა, ირანული და თურქმენული) გაზი ევროპის ბაზარზე უნდა გაიტანოს, რაც, თავისთავად, მიუთითებს ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტის მნიშვნელობაზე ევროპის გაზით მომარაგების დივერსიფიცირების საქმეში.

ამრიგად, სახეზეა აზერბაიჯანული გაზის, თურქეთის გავლით, ევროპის ბაზარზე ექსპორტის როგორც პოლიტიკური მიზანშეწონილობა, ისე ეკონომიკური მომგებიანობა.

მაშ, რა უნდა აფერხებდეს გადაწყვეტილების მიღებას ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის დაფინანსების შესახებ?

თავიდანვე უნდა ავღნიშნოთ, რომ აშშ-ერაყის დაპირისპირება არის ის პოლიტიკური ფონი, რომელიც ბევრი გადაწყვეტილების მიღება-არმიღების საკითხს განაპირობებს. იმისთვის, თუ რა სახეს მიიღებს საბოლოოდ, ეს დაპირისპირება, დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის პოზიციას. ამიტომ აშშ და ერაყის საკითხებში მისი პარტნიორი - დიდი ბრიტანეთი, ამ ეტაპზე, არ უნდა იყვნენ დაინტერესებული ისეთი საკითხების წამოწევით, რომლებიც უშუალოდ ურტყამს რუსეთის ისეთ სასიცოცხლო ეკონომიკურ ინტერესებს, როგორიცაა რუსული გაზის ექსპორტი ევროპაში.

ამასთან ერთად, სრულიად მართებული ჩანს დავიდ ვუდვორდის არგუმენტიც გადაწყვეტილების მიღების გადავადების შესახებ, რომელიც ევროპისა და თურქეთის ბაზარზე გაზზე მოთხოვნის ძალზე ოპტიმისტური პროგნოზების არგამართლებას ემყარება. ბევრ ეჭვს იწვევს ორი წლის წინანდელი პროგნოზი, რომლის თანახმადაც 2030 წლისათვის ევროპის ბაზარზე გაზზე მოთხოვნა უნდა გაორმაგდეს, ხოლო თურქეთის ბაზარზე წელიწადში 87 მილიარდ კუბურ მეტრამდე უნდა გაიზარდოს. არადა, სინამდვილეში, ევროპის ბაზარზე გაზის მოხმარების წლიური, სტაბილური, ორ პროცენტიანი ზრდა შეინიშნება, ხოლო თურქეთის ბაზარზე გაზის მოთხოვნის პროგნოზი (2001 წლის ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ), 2030 წლისათვის, წლიური 90 მილიარდი კუბური მეტრიდან 50 მილიარდზე ჩამოვიდა.

ამასთან ერთად, თურქულმა გაზსადენების მონოპოლისტმა კომპანია Botas-შმა, რომელიც აზერბაიჯანული გაზის უმთავრეს მომხმარებლად იყო მიჩნეული, შეცვალა ამ რამდენიმე ხნის წინ გაკეთებულ პროგნოზი და 2003 წლის გაზის სავარაუდო მოხმარება 27 მილიარდი კუბური მეტრიდან 25 მილიარდამდე შეამცირა.

უფრო მეტიც, თურქეთის მხარემ შესწორებები შეიტანა რუსეთთან და ირანთან დადებულ კონტრაქტებში როგორც გაზის მიწოდების მოცულობის, ისე ღირებულების შესახებ. თურქეთის ბაზარზე, გაზზე მოთხოვნის დაცემის გამო, რუსული "ცისფერი ნაკადის" გაზსადენის ამოქმედება ფერხდება, რომელიც ოთხ მილიარდ დოლარამდე დაჯდა და რომლის საშუალებით რუსული გაზი (2003 წელს ოთხი მილიარდი კუბური მეტრი, 2006 წლიდან ექვსი მილიარდი კუბური მეტრი და ა.შ.) უნდა შესულიყო თურქეთის ბაზარზე.

ასევე, მოთხოვნის დაცემის გამო თურქეთის ხელისუფლებამ ირანული გაზის მიღებაზე უარი თქვა და ეს უარი ირანული გაზის დაბალი ხარისხით გაამართლა. ამ ერთი კვირის წინ თურქულმა მხარემ ირანის მხარის მიერ (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) სასამართლოში ჩივილის მუქარის ქვეშ აღადგინა გაზის მიღება, თუმცა, არა კონტრაქტით გათვალისწინებული რაოდენობითა და ფასით. როგორც რუსი, ისე ირანელი ექსპორტიორი კომპანიები იძულებულნი გახდნენ, თურქეთის მიერ შეთავაზებულ ფასზე( 75 დოლარი 1000 კუბურ მეტრზე) დათანხმებულიყვნენ (ნაცვლად წინა კონტრაქტებით გათვალისწინებული 100-120 დოლარისა ყოველ 1000 კუბურ მეტრზე). რასაკვირველია, მათ ურჩევნიათ 75 დოლარად თურქეთის ბაზარზე გაყიდონ ჭარბი გაზი, ვიდრე თავის შიდა ბაზრებზე, სადაც სამრეწველო მოხმარების გაზი, მაქსიმუმ, 25 დოლარი ღირს, სამომხმარებლოზე კი, ფასი ოდნავ აღემატება 10 დოლარს.

რით არის განპირობებული ორი წლის წინანდელი ოპტიმისტური პროგნოზების ასე ხელაღებით გაცამტვერება როგორც ევროპის, ისე თურქეთის გაზის ბაზარზე და რამდენად შეიძლება ამან შეაფერხოს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ამოქმედება?

იმის მიხედვით, თუ რა შედეგი გვაქვს დღეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზედმეტად ოპტიმისტური პროგნოზის მიზანი უნდა ყოფილიყო ჭარბი მიწოდების ვითარების წარმოქმნა, რასაც მოჰყვებოდა გაზზე ფასების ვარდნა და ტრადიციული მოთამაშეების მოედნიდან ან ნაწილობრივ განდევნა, ან მათ შიგნით ლიბერალიზების პროცესის დაჩქარება დასავლური კაპიტალის შეღწევის გასაადვილებლად. დასავლეთის ზეწოლით ამგვარი ცვლილებები უკვე დაწყებულია რუსული და მსოფლიო გაზის გიგანტ Gasprom-ში და თურქეთის გაზის ქსელის მონოპოლისტ კომპანია Botas-ში. სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მოთხოვნა, თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების დროს, Botas-ის რესტრუქტუირება იყო.

ევროპული გაზის ბაზრის კონიუნქტურის შეცვლა საკმაოდ მტკივნეული პროცესია და გარკვეულ დროს მოითხოვს. ბაზრის წილების სავარაუდო შემცირება დიდი დარტყმაა იმ ქვეყნებისათვის, რომელთა საბიუჯეტო შემოსავლებიც (და აქედან გამომდინარე, შიდა პოლიტიკური სტაბილურობა) ენერგორესურსებზე არსებულ საერთაშორისო საბაზრო ფასებზე არის დამოკიდებული. ამ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება რუსეთი, რომლის გაზს ევროპის გაზის იმპორტის თითქმის ნახევარი უკავია (120 მილიარდი კუბური მეტრი). რუსეთი მტკივნეულად განიცდის გაზის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს და ყოველნაირად ცდილობს შეაფერხოს პოტენციური კონკურენტის გამოჩენა.

2006 წლისათვის, როდესაც სავარაუდოა ბაქო-თბილისი-ერზრუმის ამოქმედება, როგორც ევროპის, ისე თურქეთის ბაზარზე დამთავრებული იქნება ლიბერალიზების პროცესი (თურქეთში დამთავრებული იქნება ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაცია), რის შედეგადაც მომხმარებელს საშულება მიეცემა, თავისუფალი არჩევანი გააკეთოს მიმწოდებლებს შორის როგორც გაზის ხარისხის, ისე ღირებულების მიხედვით. ცხადია, რომ უფრო იაფ აზერბაიჯანულ და, საზოგადოდ, კასპიისპირულ გაზს მომხმარებლის თვალში დიდი უპირატესობა ექნება ძვირ რუსულ გაზთან შედარებით. რუსული მხარე ვერ შეძლებს ფასის კორექტირებას საკუთარი გაზის მაღალი თვითღირებულების გამო და იძულებული გახდება, შეცვალოს თავისი ენერგეტიკული სტრატეგია.

ამგვარად, არსებობს ევროკავშირის პოლიტიკური ნება, მოახდინოს მიწოდების წყაროების დივერსიფიცირება, რაც მწვანე შუქს აუნთებს ბაქო-თბილისი-ერზრუმის უაღრესად ეკონომიკური პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებას. ხოლო ევროპისა და თურქეთის ბაზარზე მიმდინარე ლიბერალიზების პროცესი, რომელიც რამდენიმე წელს გასტანს, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის დაწყების გადავადების ობიექტურ საფუძველს იძლევა.

ახლა რაც შეეხება რუსული პრესის რეგირებას პროექტის გადავადებაზე და იმ რეალურ საფრთხეს, რაც შეიძლება მის განხორციელებას დაემუქროს.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი ასპარეზზე გამოიყვანს აზერბაიჯანულ და, ალბათ, თურქმენულ გაზსაც, რაც დარტყმას მიაყენებს რუსეთის სასიცოცხლო ეკონომიკურ ინტერესებს როგორც რეგიონში, ისე ევროპის ბაზარზე. რუსულ კომპანია "იტერას" შეაქვს ოთხი მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანში (2,5 მილიონი ტონა აზერბაიჯანული ნავთობის, ნოვოროსიისკის გავლით, ტრანზიტის სანაცვლოდ), ერთი მილიარდი კუბური მეტრი საქართველოში და 1,4 მილიარდი სომხეთში. ამასთან ერთად, კავკასიის ქვეყნები მზარდი ბაზარია და აქ "იტერას" თავისუფლად გაუწევს კონკურენციას აზერბაიჯანული გაზი.

რაც შეეხება თურქეთის ბაზარს, აზერბაიჯანი და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან და ამ უკანასკნელის ბაზარი ღია იქნება აზერბაიჯანული გაზისათვის. ამ გაზის ჭარბ რაოდენობას კი ევროპაში გაიტანენ თურქეთ-საბერძნეთის დამაკავშირებელი მილსადენით, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს. ასე რომ, ბაქო–თბილისი-ერზრუმის მილსადენით გამავალი შახდენიზის გაზი (რესურსი ერთი ტრილიონი კუბური მეტრი გაზი და 300 მილიონი ტონა გაზის კონდენსატი, რასაც ემატება თანმდევი გაზი) და (პოტენციურად) თურქმენული გაზი (რესურსი 235 ტრილიონი კუბური მეტრი) უკვე ევროპის ბაზარზე გაუწევს კონკურენციას ძვირ რუსულ გაზს

ამიტომ სრულიად გასაგებია რუსული პრესის მისწრაფება, დაასაბუთოს რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებისათვის წამგებიანი ალტერნატიული გაზსადენის პროექტის ჩაშლის შესაძლებლობა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პარალელური პროექტების განხორციელებაზე, ათი წელია, მუშაობს ბრიტანული კომპანია British Petroleum. ამ პროექტების პოლიტიკური მიზანშეწონილობა და ეკონომიკური მომგებიანობა დასავლეთის ბაზარზე არანაირ ეჭვს არ იწვევს. მათგან პირველი პროექტი უკვე ჩაშვებულია, მეორეს ჩაშლა კი მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეძლებს, ომი და ქაოსი გამოიწვიოს კავკასიაში.

# ჩეჩნეთი და ჩეჩნები მოსკოვის მოვლენების შემდეგ

*მოსკოვის ტერორისტული აქციის შემდეგ ჩეჩენი მოსახლეობის ბედი კრემლის პოლიტიკურ ამბიციებზე იქნება დამოკიდებული.*

გიორგი ხელაშვილი

ბარაევის ტერორისტულ რეიდს მოსკოვის ცენტრში არავინ ისე არ დაუზარალებია, როგორც რუსეთის ჩეჩენი მოსახლეობა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეა, რომლისთვისაც ბოლო ათ წელიწადში ამდენი სისხლი დაიღვარა.

რუსეთის ხელისუფლება მოსკოვის კრიზისის პირველივე წუთებიდან ცდილობდა, პოლიტიკური განტევების ვაცი ეპოვა, რომელსაც ყველაფერს გადააბრალებდა – ჯერ მიზანში საქართველო ამოიღეს და დაუღალავად იმეორებდნენ, რომ თეატრალური ცენტრის შენობაში შეჭრილი ტერორისტები, რატომღაც, სიმპათიით იყვნენ გამსჭვალულნი ქართველების მიმართ. მოგვიანებით, როდესაც მომხდარის საქართველოსთვის გადაბრალების იდეა მეტისმეტად აბსურდული აღმოჩნდა, რუსეთის ხელისუფლებამ მოტივი შეცვალა – პუტინის პირველ ოფიციალურ განცხადებაში "უცხოეთის სპეცსამსახურების" ვერსია ამოტივტივდა. მოგვიანებით ესეც დაივიწყეს და უშუალოდ თეატრის შენობის შტურმის წინ ყველაფერი ჩეჩნეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, კერძოდ კი, ასლან მასხადოვს გადააბრალეს. როგორც ჩანს, კრემლში გადაწყვიტეს, რომ სპეცოპერაციის დიდი მსხვერპლით დასრულების შემთხვევაში ჯავრს მასხადოვზე ამოიყრიდნენ. ამით მოსახლეობის რისხვას ახალი სადინარი მიეცემოდა და რუსეთის ხელისუფლება პასუხისმგებლობას თავიდან აირიდებდა.

იერიშის დასრულების პირველ საათებში ამგვარი შურისძიების აუცილებლობა არ დამდგარა – რუსეთის ხელისუფლებამ და თავად პრეზიდენტმა პუტინმა სპეცოპერაციას "წარმატებული" უწოდეს. შესაბამისად, საერთო ეიფორიის პირობებში, რომელსაც, მცირე გამონაკლისის გარდა, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც უწყობდნენ ხელს, ჩეჩნებზე დაუყოვნებლივ შურისძიების საკითხი არ წამოჭრილა.

ვითარება შეიძლება შეიცვალოს მაშინვე, როგორც კი ეიფორიის ვარდისფერი ღრუბლები გაიფანტება და ხელისუფლებაცა და მოსახლეობაც რეალობის წინაშე დადგებიან – მძევალთა დიდი ნაწილი ან დაღუპულია, ან მძიმედაა დაავადებული. "წარმატებული" სპეცოპერაციის მითი მალე შეიძლება დაიმსხვრეს და რუსეთის ხელისუფლებას კვლავ დასჭირდეს იმ ხალხის ძიება, ვისაც ტრაგედიას გადააბრალებს.

ხომ არ აღმოჩნდებიან ამგვარი განტევების ვაცის როლში რუსეთში და საკუთრივ ჩეჩნეთში მცხოვრები ჩეჩნები? შეიცვლება თუ არა ჩეჩნეთის კონფლიქტის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება? პასუხი ამ კითხვებზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება გაიცეს.

უპირველეს ყოვლისა, საეჭვოა, რომ რუსეთის სახელისუფლო და პოლიტიკურმა ელიტამ შეძლოს მოსკოვის ტრაგედიის საფუძვლიანი შეფასება და მისი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება. ეს მით უფრო წარმოუდგენელი ჩანს, თუ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავსმოხვეული ცენზურის ბრჭყალებიდან თავის დაღწევას ვერ მოახერხებენ.

მეორეც, უკვე აშკარაა, რომ რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, მომხდარი ტერორისტული აქცია ბანდიტიზმის გამოვლინებად მონათლოს და საერთაშორისო ტერორიზმს დაუკავშიროს. ეს ვერსია, შეიძლება, ტაქტიკურად და პოლიტიკურად მომგებიანი იყოს კრემლისათვის, მაგრამ მას, სინამდვილეში, პრობლემის არსთან საერთო არაფერი აქვს – მოსკოვის ტრაგედია ხომ, გარკვეული თვალსაზრისით, ძალადობაზე ძალადობის გამოძახილი იყო.

მესამეც, რუსეთის მოსახლეობაში ჩეჩნეთის ომი ბოლო თვეებში ნაკლებად პოპულარული გახდა, მაგრამ მოსკოვის ტერორისტული აქციის შემდეგ სავსებით შესაძლებელია, ჩეჩნეთის საკითხის ძალისმიერი გადაწყვეტის მომხრეთა რიცხვი ხელახლა გაიზარდოს.

და მეოთხეც, რუსეთის ხელისუფლებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასალახი აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბარიერი – საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩეჩნეთის ომში უძრაობის ხანის დადგომასთან ერთად, პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც ამ ომის საშუალებით პუტინმა და მისმა პოლიტიკურმა მომხრეებმა დააგროვეს, თითქმის ამოიწურა. უკვე გაუგებარი იყო, თუ რა პოლიტიკური კაპიტალით აპირებდა პუტინი არჩევნებზე გასვლას. მოსკოვის ტრაგედიის შემდეგ კი ხელისუფლებას საარჩევნო კამპანიის ლოზუნგი თითქოს თავისით ჩაუვარდა ხელში – მეტი წესრიგი და ბრძოლა ტერორიზმთან. ეს ლოზუნგი მით უმეტეს მიმზიდველია, რადგან იგი ახლანდელ საერთაშორისო, კერძოდ, ამერიკულ რიტორიკასაც ეხმაურება.

ძნელი სათქმელია, შეცვლის თუ არა კარდინალურად დასავლეთი თავის დამოკიდებულებას ჩეჩნეთის პრობლემის მიმართ, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ მოსკოვის ტრაგედიის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას უფრო გაეხსნება ხელ-ფეხი ჩეჩნეთში ძალისმიერი მოქმედებებისათვის. ამ მხრივ მოსკოვის ტერორისტულმა აქციამ ჩეჩნებს მეტისმეტად ცუდი სამსახური გაუწია.

საუბედუროდ, რუსების წისქვილზე დაასხა წყალი ჩეჩნეთის პოლიტიკური ხელისუფლების, პირადად ასლან მასხადოვის, უპასუხისმგებლო და გაუბედავმა პოზიციამაც. მასხადოვი ჩუმად იყო მანამ, სანამ რუსულმა სპეცრაზმებმა თეატრის შენობა შტურმით არ აიღეს. მხოლოდ ამის შემდეგ უარყო მან ტერორისტებთან კავშირი და გაემიჯნა ბარაევის დაჯგუფებას. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა და ხელისუფლებამ მასხადოვის სახელი (შესაძლოა, სულ ტყუილად) მჭიდროდ დაუკავშირეს ტერორისტების ნამოქმედარს და ამით მის წინააღმდეგ ძალისმიერი ღონისძიებებისათვის ნიადაგი შეამზადეს. მასხადოვის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გააქტიურებისათვის რუსებს უკვე მოუწოდეს ჩეჩნეთის პრორუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა კადიროვმა და ილიასოვმა.

პუტინისათვის ნამდვილად ძნელი იქნება, გაუძლოს ცდუნებას და არ გამოიყენოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი თავის სასარგებლოდ – ხელისუფლების პოპულარობის გადასარჩენად. მოსალოდნელია, რომ პუტინი შეეცდება, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მომხდარი ტრაგედიის შედეგები, იპოვოს ახალი განტევების ვაცი და წესრიგის დამყარებისა და "მტკიცე ხელის" პოლიტიკური რიტორიკის გამოყენებით თავისი ძალაუფლება კიდევ უფრო გააძლიეროს.

# ადამიანებს ეშინიათ ცვლილებების

**ინტერვიუ ჟენევის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის პრორექტორთან, პროფესორ დანიელ უორნერთან**

შოთა უტიაშვილი



*დანიელ უორნერი*

**- დღეს ბევრი ვარაუდობს, რომ ტერორიზმი და მის წინააღმდეგ ბრძოლა XXI საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება. თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- არავითარ შემთხვევაში. ტერორიზმი, რა თქმა უნდა, სერიოზული საფრთხეა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს კონტექსტიდან ამოღებული. თანაც, ფაქტებს ცივი გონებით რომ შევხედოთ, უფრო მეტი ხალხი იღუპება შიდსით სამხრეთ აფრიკაში, ვიდრე ტერორისტების ხელით მთელ მსოფლიოში.

ტერორიზმთან ბრძოლა წარმოუდგენელია მის მიზეზებთან ბრძოლის გარეშე. თუ აღმოვფხვრით იმ მიზეზებს, რომლის გამოც, ადამიანები სასოწარკვეთილებას ეძლევიან, მაშინ ტერორიზმის დამარცხებაც შესაძლებელი გახდება.

**- რა არის სასოწარკვეთილების გამომწვევი მთავარი მიზეზები?**

- სასოწარკვეთილებას წარმოშობს სიღატაკე, პოლიტიკური უფლებების არქონა და საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლების არქონა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მსოფლიოში არსებული უსამართლობაა. სიმდიდრის განაწილებაში, მსოფლიო მასშტაბით, უზარმაზარი დისპროპორცია არსებობს. ეს კი სერიოზული პრობლემაა.

მსგავსი ვითარება იყო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მაშინ ამ უთანასწორობამ მუშათა მოძრაობების გააქტიურება და რუსეთის რევოლუცია გამოიწვია. ამიტომ, ჩვენ უნდა მოვახერხოთ ღარიბ ქვეყნებსა და რეგიონებში მდგრადი განვითარების მიღწევა.

**- უთანასწორობა ყოველთვის არსებობდა. მაგრამ ტერორიზმის პრობლემა ასეთი აქტუალური არასოდეს ყოფილა.**

- სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად, უზარმაზარი სიმდიდრე კონცენტრირდება სულ უფრო მცირე ჯგუფის ხელში. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამ მასშტაბების უთანასწორობა ჯერ არ არსებულა.

**- მაგრამ, ტერაქტების უმრავლესობა ხდება არა გლობალიზებულ და მოდერნიზებულ რეგიონებში, მაგალითად ევროპაში, არამედ - ისეთ ჩამორჩენილში, როგორიცაა, მაგალითად, რუსეთი.**

- ეს პრობლემა უკავშირდება საბჭოთა კავშირის დაშლას და მის შედეგად გაჩენილ საზღვრებისა და თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პრობლემას. თვითმყოფადობის პრობლემა ჩნდება, როდესაც ხალხი დემოკრატიული მეთოდებით საკუთარი თავის გამოხატვას ვერ ახერხებს.

**- ანუ ტერორისტებთან ბრძოლა უშედეგოა, შესაძლებელია მხოლოდ წარმომშობ მიზეზებთან ბრძოლა?**

- აუცილებელია როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეთოდების ამოქმედება, მაგრამ მხოლოდ ძალის გამოყენება არ არის საკმარისი. დემოკრატიზაცია და მდგრადი განვითარება ყველაზე საიმედო რეცეპტია. სხვანაირად, შიშველი ძალის გამოყენება მხოლოდ გაამრავლებს ტერორისტებს.

**- თუ აქვს ტერორიზმს რაიმე კავშირი რელიგიასთან?**

- არა. ზოგიერთები ცდილობენ ტერორიზმი რელიგიით გაამართლონ. მაგრამ ისლამი ნამდვილად არ არის ჯიჰადზე დამყარებული რელიგია. ამერიკაშიც ბევრია ფუნდამენტალისტი, ოღონდ ქრისტიანი ფუნდამენტალისტი. ვფიქრობ, რომ ფუნდამენტალიზმის ზრდა იმ გაურკვევლობის შედეგია, რომელიც გლობალიზაციას მოაქვს. გრანდიოზული ცვლილებების ეპოქაში ადამიანები თავს დაუცველად გრძნობენ. 21-ე საუკუნის დასაწყისი, როგორც მეოცესი, უდიდესი ცვლილებების ეპოქა გამოდგა. ამ ცვილებებმა უკურეაქცია გამოიწვია. თავიანთი თავის საპოვნელად ადამიანები ფუნდამენტს, ფესვებს უბრუნდებიან. ადამიანების უმრავლესობას არ უყვარს ცვლილებები.

**- მაგრამ, ცვლილებების ტემპი სულ უფრო იზრდება...**

- ამიტომ ადამიანებმა უნდა ისწავლონ ცვლილებების პერიოდში ცხოვრება და მოეშვან საზღვრებისა და თვითმყოფადობის პრობლემებთან ჭიდილს.

**- ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობა უნდა შეიცვალოს?**

- აუცილებლად. აქამდე არსებობდა გეოპოლიტიკა, დღეიდან იქნება ქრონოპოლიტიკა ანუ დროის პოლიტიკა. ეს ნიშნავს, რომ ხდება დროის აქსელერაცია, ვირტუალური სივრცე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ინტერნეტი და იმეილი ცვლიან წიგნებსა და წერილებს. ადამიანები უფრო კოსმოპოლიტურნი ხდებიან. მე დღეს თბილისში ვარ, ხვალ ლონდონში ვიქნები, ზეგ ჟენევაში. რა მნიშვნელობა აქვს აქ რომელი სახელმწიფოდან ვარ, მთავარია - რამდენად სწრაფად შემიძლია ერთი ადგილიდან მეორეზე მისვლა. ჩემი თვითმყოფადობა აღარ უკავშირდება გეოგრაფიულ ადგილს, იგი რაღაც სხვას უკავშირდება.

**- მაგრამ, არიან ქვეყნები, რომლებიც ცხოვრობენ XIX საუკუნეში, არიან ქვეყნები, რომლებიც ცხოვრობენ XXI-ში . ე.ი. გეოგრაფიას მაინც აქვს მნიშვნელობა.**

- უფრო უარესსაც გეტყვით: არიან ქვეყნები, მაგალითად მექსიკა და თურქეთი, რომელთა ერთი ნახევარი **XIX** საუკუნეშია, მეორე - **XXI**-ეში. კიდევ უფრო უარესი - ბევრ ოჯახში, შვილიშვილები კოსმოპოლიტები არიან, ცხოვრობენ სი-ენ-ენის, ემ-ტი-ვის და მოგზაურობათა სამყაროში. უფროსი თაობა კი სულ სხვა სამყაროში ცხოვრობს. ეს განსხვავება კიდევ უფრო მწვავე გახდება, მაგრამ ამას უნდა შევეჩვიოთ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთდროულად სხვადასხვა დროში ცხოვრება.

**- ხომ არ ანგრევს ეს პროცესები სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას?**

- სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, თანდათან უფრო დრომოჭმული ხდება. დღეს სახელმწიფო მოქმედებს როგორც დარაჯი, რომლის მთავარი მოვალეობაც პასპორტებისა და ვიზების გაცემაა. მაგრამ დღეს პასპორტები და მოქალაქეობა იყიდება. 50 ათას დოლარად შეგიძლიათ კანადის მოქალაქე გახდეთ. მსოფლიოში უამრავ ადამიანს აქვს რამდენიმე პასპორტი. ბუნებრივია, სახელმწიფოები თავის გადარჩენას ცდილობენ.

აქ ჩრდილოეთ-სამხრეთზე, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებზე არ არის საუბარი. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, კარგავს მნიშვნელობას. მის ადგილას ჩნდებიან ისეთი ფორმები, როგორიც არის ევროკავშირი, ნაფტა (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია), მერკოსური (ლათინური ამერიკის ანალოგიური ორგანიზაცია). ჩვენ პოსტვესტფალიურ სისტემაში ვცხოვრობთ, როდესაც სახელმწიფოები მნიშვნელობას კარგავენ, მაგრამ პოლიტიკური მოწყობის ალტერნატიული ფორმები ჯერ არ ჩანს. ამასაც უნდა შევეჩვიოთ.

**- თუ ესმით ეს პოლიტიკოსებს?**

- არა. მათი საქმე არჩევნებია. მაგრამ ეს ესმის ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც მიდიან "ენ-ჯი-ო"-ებში, ჰოლივუდში თუ ბიზნესში. თანამედროვე ბიზნესი არ არის შემოფარგლული სახელმწიფო საზღვრებით. მათთვის მთავარი დრო და სისწრაფეა და არა ის, რომელ სახელმწიფოში არიან რეგისტრირებული. სახელმწიფოებს უკვე ძნელად ესმით, რა ხდება მსოფლიოში. ასე მაგალითად, სანამ სახელმწიფოები საზღვაო სამართალზე მსჯელობდნენ, ტექნოლოგია იმდენად განვითარდა, რომ კანონმდებლობა მიღებისთანავე უკვე მოძველებული გახდა. არა მხოლოდ მთავრობები, არამედ მთავრობათაშორისი ორგანიზაციებიც ვეღარ უწყობენ დროს ფეხს.

**- რა იქნება პოლიტიკური ორგანიზაციის ახალი ფორმა?**

- ევროკავშირის მსგავსი სტრუქტურები. ამავე დროს, ზოგიერთი ტრანსნაციონალური კორპორაცია ისევე მნიშვნელოვანი გახდება, როგორც სახელმწიფოები. ასე რომ, ალბათ გვექნება გამჭოლი, ურთიერთგადამფარავი ინსტიტუტები. ამიტომ, სხელმწიფოებრივი თვითშეგნება ნელ-ნელა მნიშვნელობას კარგავს, მის ნაცვლად ხდება ახალი თვითშეგნება და თვით მულტიდენტურობაც. ავიღოთ, დასავლეთ საფრანგეთში მცხოვრები ფერმერი. ის არის ფერმერიც, ბრეტონელიც, ფრანგიც, ევროპელიცა და მსოფლიო მოქალაქეც. მას ხუთი იდენტურობა აქვს.

**- თუ ხედავთ კონფლიქტის საშიშროებას სხვადასხვა იდენტურობის მატარებელ ხალხს შორის?**

- არა იმ ხალხს შორის, რომლებიც ჰარმონიულად, შიშის გარეშე ცხოვრობენ. კონფლიქტები იქ ხდება სადაც ადამიანებს ეშინიათ და არა აქვთ მომავლის რწმენა.

## მოკლედ

**პარიზი**. მართალია, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს ლიდერმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ პუტინს, მაგრამ მედლის მეორე მხარე ისაა, რომ ევროპა კვლავ დაინტერესდა ჩეჩნეთის საკითხით, პირველად ბოლო 6 წლის მანძილზე. 26 ოქტომბერს, პარიზში დე ლა კოლონის თეატრის შენობაში ჩეჩნების მხარდამჭერთა შეხვედრა გაიმართა. ახლო მომავალში კოპენჰაგენში "ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესი" იგეგმება. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სთხოვა როგორც დანიის, ისე საფრანგეთის ხელისუფლებას, აეკრძალა ამ ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ ორივე შემთხვევაში უარი მიიღო.

■ ■ ■

**კაბო სან ლუკასი, მექსიკა**. გაერო-ს უშიშროების საბჭოში ერაყის რეზოლუციის ირგვლივ უთანხმოება გრძელდება. საფრანგეთმა და რუსეთმა საბჭოს გადაწყვეტილების საკუთარი პროექტი წარუდგინეს, რომელიც გაცილებით უფრო "მშვიდობიანია", ვიდრე ვაშინგტონის მიერ წარდგენილი ვარიანტი. პარიზისა და მოსკოვის ეს ნაბიჯი, როგორც ჩანს, დროის გაჭიანურებას ისახავს მიზნად. ამერიკის საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა. აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტზე გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ თუ გაერო არ განაიარაღებს ერაყს, მაშინ ამას შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები გააკეთებენ. თეთრი სახლის განცხადებით, ერაყის დამარცხება გაერო-ს გარეშე "სულაც არ იქნება რთული".

■ ■ ■

**ერევანი**. სომხეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა ანდრანიკ მანუკიანმა 1999 წელს პარლამენტში მომხდარ ტერაქტში ეჭვმიტანილთა საჯაროდ, ერევნის მთავარ მოედანზე ჩამოხრჩობა მოითხოვა. 1999 წელს მანუკიანი, რომელიც მაშინ პარლამენტის დეპუტატი იყო, მძიმედ დაიჭრა. მანუკიანმა განაცხადა, რომ ტერაქტი კარგად იყო ორგანიზებული, თუმცა, გამორიცხა მასში ხელისუფლების რამენაირი მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მართალია, სომხეთში სიკვდილით დასჯა კერ კიდევ არსებობს, მაგრამ ევროსაბჭოს წევრობის გამო, მასზე მორატორიუმია გამოცხადებული.

■ ■ ■

**პეკინი.** ჩინეთის საავტომობილო ბაზარზე დამკვიდრების მსურველებს ფრანგული "პეჟოც" შეუერთდა. კომპანია 75,5 მლნ დოლარს დააბანდებს ერთობლივ საწარმოში, რომელსაც იგი ჩინეთის სიდიდით მესამე ავტოგიგანტ "დონგფენგ მოტორთან" ერთად დააარსებს. საწარმო 2004 წელს ამუშავდება და, ფრანგული გიგანტის გათვლებით, იგი ჩინეთის ბაზრის შვიდ პროცენტს გააკონტროლებს.

ამ გარიგებით "პეჟოს" მამობილი კომპანია "პეჟო სიტროენი" კიდევ უფრო გაიმაგრებს პოზიციას მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდ ბაზარზე. ჩინეთში უკვე წარმატებით მუშაობს "სიტროენი," რომელიც წელიწადში 80 ათას მანქანას ჰყიდის და ბაზრის რვა პროცენტი უკავია. თუკი ამას "პეჟოს" შვიდი პროცენტიც დაემატა, ფრანგული გიგანტი, ყველაზე დიდი უცხოური ავტოკომპანია იქნება ადგილობრივ ბაზარზე. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ "პეჟო" ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს; 5 წლის წინ კომპანიამ ერთხელ უკვე სცადა ჩინეთის ბაზარზე შეჭრა და მაშინ ეს წამოწყება სრული კრახით დასრულდა.

"პეჟოს" მაშინდელ წარუმატებლობას სპეციალისტებმა "უსუსური მარკეტინგის შედეგი" უწოდეს. კომპანიამ ჩინეთში ძველი მოდელების გამოშვება დაიწყო და თავის პოტენციურ კლიენტებად მხოლოდ მთავრობას განიხილავდა, მაგრამ მთავრობასთან "პეჟოს" არც ისე კარგად ჰქონდა აწყობილი ურთიერთობა, რომ პეკინის მაღალჩინოსნებს სხვა მანქანებისაკენ არ გაეხედათ. შედეგად, "პეჟოს" მცდელობა ფიასკოთი დასრულდა.


## კონკურსი
### *კოლხეთის ეროვნული პარკის ლოგოს შესაქმნელად*

**28 ოქტომბერი, 2002**

- კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია (საქართველოს დაცული ტერიტორების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი), მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" ფარგლებში აცხადებს კონკურსს ეროვნული პარკის ლოგოს შესაქმნელად.
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.
- ლოგოს წარმოდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 15 ნოემბერი, 18:00.
- დახურული კონვერტებით გამართული კონკურსის გამარჯვებულს გამოავლენს დამოუკიდებელი კომისია.
- გამარჯვებული დაჯილდოვდება ფულადი პრემიით ათასი (1000) ლარის ოდენობით.

ტექნიკური დავალების, საკონკურსო მასალებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად (სამუშაო დღეებში, 10-დან 13 საათამდე) მიმართეთ "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტს" ან ეროვნული პარკის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართებზე (კონკურსის მასალები მოიძიეთ ინტერნეტშიც):

**თბილისი:**
ს.ზ.ი.მ. ცენტრი
ფალიაშვილის 87, მე-2 სართული
ტელ.: 25-20-50, მობილური: 899-54-66-16
ელ. ფოსტა: phasis@iczm.org.ge
ინტერნეტი: www.iczm.org.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი ქეთევან ჩომახიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

**ფოთი:**
კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია
წმინდა გიორგის 4
ტელ.: 2-30-55 მობილური: 893-32-82-01
ელ. ფოსტა: knp@knp.ge
ინტერნეტი: www.knp.ge
საკონტაქტო პირი: ბ-ნი დავით გვასალია
ვიზიტორთა სამსახურის უფროსი

## არალეგიტიმური თავმჯდომარის განცხადებაზე პასუხს არ ვაგებთ

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. მათთან ერთად იყვნენ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სტუდკავშირებიც. თემა: თამბაქოს წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე თსუ-ს ყოფილი სტუდკავშირის თავმჯდომარის, დათო მესხიშვილის თვითნებური განცხადება.*

"დათო მესხიშვილს უფლება არ ჰქონდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის სახელით გაეკეთებინა განცხადება და სტუდენტური გამოსვლებით "დამუქრებოდა" განათლების სამინისტროს. დათო მესხიშვილი ლეგიტიმური არ არის", - განაცხადა თსუ-ს სტუდკავშირის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და გამგეობის წევრმა სანდრო ონოფრიშვილმა.

ორი წლის წინ არჩეული სტუდკავშირი დაიშალა, ფაკულტეტებზე ჩამოყალიბდა სტუდსაბჭოები, რომელთა დელეგატებმაც თავმჯდომარე უნდა აირჩიონ. ჯერჯერობით, თსუ-ს სტუდენტებისა და ასპირანტების კავშირს თავმჯდომარე არ ჰყავს.

"დათო მესხიშვილს თავისი განცხადება არ შეუთანხმებია არც გამგეობის წევრებთან და არც ფაკულტეტების სტუდენტურ საბჭოებთან", - აცხადებს თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ასპირანტი ალეკო ჩხიტაური.

"შესაძლოა, განცხადება სამართლიანია, მაგრამ ის შეუთანხმებელია მათთან, ვისი სახელითაც ის გამოვიდა. თანაც, მეეჭვება, რომ ორი ბოთლის ფოტო მართლა მნიშვნელოვანი არგუმენტი იყოს ნებისმიერი მინისტრის მოსახსნელად. ჩემი აზრით, სხვა, უფრო სერიოზული მიზეზები არსებობს განათლების სამინისტროს მუშაობის დასაწუნებლად. იქნებ ამისთვის მართლაც ღირდეს გამოსვლა", - გვითხრა ონოფრიშვილმა.

სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდკავშირის თავმჯდომარემ ნოე სულაბერიძემ "24 საათთან" საუბარში თქვა, რომ "როგორც პედაგოგიური, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტი, არის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს წევრი და როცა სტუდენტს საწინააღმდეგო აზრი აქვს, მას შეუძლია, იქ მივიდეს და გამოთქვას". "თუ ჩვენს არგუმენტირებულ აზრს უყურადღებოდ დატოვებენ ან დაბლოკავენ, მაშინ სხვა გზებს გამოვძებნით - აქცია იქნება, საპროტესტო მიტინგი თუ სხვა. არც ერთ შემთხვევაში ეს არ უნდა იყოს სხვებისგან ნაკარნახევი და უნდა კეთდებოდეს სტუდენტთა ინიციატივით", - ამბობს ალეკო ჩხიტაური. მანვე გამოთქვა სურვილი, რომ პოლიტიკური პარტიები მხარში დაუდგნენ სტუდენტებს და მათ მიერ წამოწეული პრობლემები ერთად მოაგვარონ ყველა ინსტანციაში, საკანონმდებლოს ჩათვლით. "ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, პირველ რიგში, 9-დან 3 საათამდე ლექციებს უნდა ვესწრებოდეთ და ვიფიქროთ იმ პრობლემების მოგვარებაზე, რაც სასწავლო პროცესს სჭირდება," - ამბობენ პრესკონფერენციის ინიციატორები.

## ნათელაშვილი სასმელ წყალზე ტარიფის შემცირებას გვპირდება

*ლეიბორისტული პარტია მოითხოვს წინა მოწვევის საკრებულოს იმ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც დედაქალაქის მოსახლეობას სასმელ წყალზე ტარიფი 60-დან 1.20 თეთრამდე გაეზარდა. მარტში ლეიბორისტებმა საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, თუმცა, საქმის განხილვა, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო, რამდენჯერმე გადაიდო.*

ეთერ მამულაშვილი

საკრებულოს მიერ გაზაფხულზე სასმელ წყალზე ტარიფის გაზრდის აუცილებლობა, ძირითადად, ორი მოტივით არის დასაბუთებული. პირველი: უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სასმელი წყლის ტარიფი არ შეცვლილა. მეორე და უმთავრესი: წყლის თვითღირებულებაში ხარჯების დიდი ნაწილი, 40 პროცენტი, მოდის ელექტროენერგიაზე, რომლის ტარიფი, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სამჯერ გაიზარდა. ასეთია ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის დავით ტურიაშვილის არგუმენტები.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი, დარწმუნებულია, რომ სასმელ წყლზე საფასურის გაზრდას საჭიროება არ მოითხოვდა. უფრო მეტიც, ნათელაშვილი ამტკიცებს, რომ წყლის საფასური ხელოვნურად გაიზარდა. "მაქვს ინფორმაცია, რომ დაგეგმილია "თბილწყალკანალის" გაყიდვა. სასმელ წყალზე ტარიფის გაზრდა იმ ჯგუფის დაკვეთა იყო, რომელსაც ამ ობიექტის ხელში ჩაგდება სურს. თბილისის მოსახლეობა გაზრდილ ტარიფს ვერ გადაიხდის. მათი მიზანიც სწორედ ეს არის - რაც შეიძლება, დააკნინონ და გაკოტრების პირას მიიყვანონ "თბილწყალკანალი". ასეთ პირობებში მას ადვილად და იაფად ჩაიგდებენ ხელში. რაც თელასის შემთხვევაში მოხდა, იგივე გამეორდება ახლაც - მოვა ახალი მესაკუთრე, რომელიც წყალს არ დაგვალევინებს", - გვითხრა ლეიბორისტთა ლიდერმა.

"თბილწყალკანალში" ამ ობიექტის შესაძლო პრივატიზების საკითხს უარყოფენ. თუმცა, დაგროვილი ვალების არსებობა "თბილწყალკანალის" პრესმდივანმა გოჩა ჯელიამ ჩვენთან საუბარში აღიარა. მისი თქმით, დღემდე ამ ობიექტის დავალიანებამ მარტო ენერგოკომპანიებისადმი 20 მილიონ ლარს გადააჭარბა. "ტარიფის გაზრდას არც ჩვენ დავუჭერთ მხარს, თუკი ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხების სუბსიდირება მოხდება. მაგრამ ბიუჯეტი ამას ვერ ახერხებს და ჩვენ რაღა ვქნათ, ჩვენც ხარჯები და ვალები გვაქვს გასასტუმრებელი", - განუცხადა "24 საათს" გოჩა ჯელიამ.

პრესმდივნისგან ისიც შევიტყვეთ, რომ "თბილწყალკანალის" სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად გამოცხადებულია ტენდერი. გამარჯვებულ კომპანის, რომლის ვინაობა მომავალი წლის იანვარში გახდება ცნობილი, ეს ობიექტი გადაეცემა იჯარით, ათი წლის ვადით. დღემდე ხუთმა უცხოურმა კერძო კომპანიამ შეიტანა განაცხადი.

უკანასკნელად საოლქო სასამართლოს კოლეგიამ, რომელსაც მოსამართლე ინგა თოდრია თავმჯდომარეობს, გაურკვეველი ვადით გადადო პროცესი. სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის ახალი საკრებულოს ამოქმედებამდე მოსარჩელეს მოპასუხე მხარე არ ჰყავს, რის გამოც სარჩელის განხილვა შეუძლებელია.

ლეიბორისტული პარტიის იურისტმა გიორგი გუგავამ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ მოსამართლეების მხრიდან სასამართლო პროცესების გადადება ობიექტური აუცილებლობით არ არის გამოწვეული. "სასამართლოს შეეძლო, მოპასუხედ ქალქის მერი გამოეძახებინა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სარჩელის განხილვას შეგნებულად აჭიანურებენ", - აცხადებს გუგავა.

რამდენიმე დღის წინ ლეიბორისტებმა სასამართლოს წინაშე დააყენეს შუამდგომლობა და მოითხოვეს, საკრებულოს შეკრებამდე შეჩერებულიყო იმ ნორმატიული აქტის მოქმედება, რის საფუძველზეც გაიზარდა სასმელი წყლის ტარიფი. ახალი საკრებულოს არარსებობის მოტივით, სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. "საკრებულო რომ ამოქმედდება, მოსამართლეები აღარ დამჭირდება, ისე გავაუქმებ ამ აქტს. მოსამართლეებმა კი თავიანთი მანტია ამოიდონ თავქვეშ", - აცხადებს ნათელაშვილი.

## მოკლედ

**თბილისი.** ნოემბერში დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 11-12 გრადუსი იქნება, რაც მრავალწლიურ საშუალო მაჩვენებლებთან ახლოსაა. ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზირების სამსახურის უფროსის ირაკლი ჩოგოვაძის ინფორმაციით, ცალკეულ დღეებში, დღისით, ჰაერის ტემპერატურა 24 გრადუსს მიაღწევს, ხოლო ღამღამობით მოსალოდნელია მისი 4-5 გრადუსამდე შემცირება.

ნალექები დასავლეთ საქართველოში ნორმაზე ცოტა მეტია პროგნოზირებული, ხოლო წვიმიანი დღეების რიცხვი 16-19 მიაღწევს.

აღმოსავლეთ საქართველოში ნოემბერში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 7-8 გრადუსი იქნება, რაც მრავალწლიურ საშუალო მაჩვენებელზე 1-2 გრადუსით მაღალია. თვის მესამე დეკადაში ღამღამობით ჰაერის ტემპერატურა 3 გრადუსამდეც დაიწევს, ხოლო ცალკეულ დღეებში, შესაძლოა, 20 გრადუსამდე ავიდეს.

ნალექი ნოემბერში ნორმის ფარგლებშია მოსალოდნელი, წვიმიანი დღეების რიცხვი კი 8-13 შეადგენს. ***მედია-ნიუსი***

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე პოპულარული ტელეკომპანიაა დამოუკიდებელი ტელეარხი "რუსთავი 2". მსოფლიოს მიგრაციული ორგანიზაციის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად ამ ტელეარხის გადაცემებს უყურებენ.

მეორე ადგილზეა საქართველოს ეროვნული ტელევიზია, რომელსაც უყურებს გამოკითხულთა 35 პროცენტი. შემდეგ მოდის - დამოუკიდებელი ტელეარხები "პირველი სტერეო", "კავკასია", "მე-9 არხი", ეროვნული ტელევიზიის მეორე არხი, აჭარის ტელევიზია, "იბერია".

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვა საქართველოს იმ რეგიონებშიც ჩატარდა, სადაც ტელეკომპანიების უმეტესობა თავისი გადაცემების ტრანსლაციას არ ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ტელევიზორს ყოველთვის უყურებს გამოკითხულთა 74 პროცენტი, ხოლო ხანდახან უყურებს – 12 პროცენტი. ***კავკას-პრესი***

## ქველმოქმედება ერის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია

### ლეიკემიის მკურნალობა ძვირია და არა-შეუძლებელი

*გუშინ, 27 ოქტომბერს, 14:00 საათზე, დიღომში, ბავშვთა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში (ლუბლიანის 2/6) მოეწყო საქველმოქმედო აქცია დევიზით: "დავეხმაროთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს". აქციის ინიციატორები არიან "საქართველოს ჰემატოლოგთა და ონკოჰემატოლოგთა ასოციაცია", "ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაცია" და "ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდი". აქცია ჩატარდა საერთაშორისო ასოციაციის "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" მხარდაჭერით.*

ეთერ ჩიგოგიძე
დალი კუპრავა



უკომენტაროდ

"აქციის ჩატარება იმიტომ მოვინდომეთ, რომ სტაციონარში მყოფი ბავშვების ყოფითი პირობები გავაუმჯობესოთ, – აცხადებენ აქციის ორგანიზატორები, - ამ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სტერილური გარემო, მაქსიმალური სისუფთავე, ტუალეტი, აბაზანა... ჩვენი პაციენტები იმუნურად დათრგუნულები არიან. მათთვის ყოველგვარი ბაქტერია საშიშია... გარდა ამისა, გვინდა, ფართო საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჩვენში ლეიკემიით გაჯანსაღებულ ბავშვთა პოპულაცია არსებობს. ამჟამინდელი **მონაცემებით, საქართველოში არის 300-მდე ბავშვი, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ და კარგად არიან",** - გვითხრა საქართველოს პედიატრ-ჰემატოლოგთა და ონკოჰემატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ასმათ შენგელაიამ.

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური ცენტრი გერმანიის მთავრობის ინიციატივით და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ძალისხმევით 1994 წელს შეიქმნა. მას შემდეგ მთლიანად შეიცვალა ლეიკემიის მკურნალობის ტაქტიკა. დაიწყო საერთაშორისო აღიარების მქონე BFM ქიმიოთერაპიული პროგრამული მკურნალობის გამოყენება. საერთოდ, ლეიკემიის მკურნალობა ძალზე ძვირია, მაგრამ არა - შეუძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ყოველწლიურად, სახელმწიფო სტანდარტების ფარგლებში, აფინანსებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა პროგრამულ მკურნალობას, ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური ცენტრი დღემდე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის GTZ დახმარების ხარჯზე არსებობს.

"რომ არა ქალბატონ ნანული შევარდნაძის ძალისხმევა, ვერ მივიღებდით გერმანიიდან იმ უდიდეს დახმარებას, რომელიც დღემდე გრძელდება", - აღნიშნა ასმათ შენგელაიამ.

აქციამდე ერთი დღით ადრე საავადმყოფოს ფოიეში იკრიბებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები, რომლებმაც სხვადასხვა დროს იმკურნალეს ონკოჰემატოლოგიური ცენტრის სტაციონარში. ამ ბავშვებმა დღეს კონცერტი გამართეს. აქციას აუქციონის სახე ჰქონდა - ბავშვების ნახატი და ნაძერწი შემოქმედების საწყისი ფასი 100 ლარი იყო. აქციის ბოლოს ბევრ მათგანს ეწერა: "გაყიდულია".

ბავშვთა ანსამბლმა "გვირილამ" ბავშვებს საჩუქრები და სიმღერები მოუტანა.

აქციის ორგანიზატორებმა, მხარდაჭერის მსურველთა ნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, დამსწრეებს მრავალფეროვნება შესთავაზეს: ვისაც სურდა, შეეძლო, აქციის მეცენატი გამხდარიყო, სხვისთვის ერთჯერადი დახმარება უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა, კიდევ სხვამ მათი შემოქმედება შეიძინა, ზოგიერთებმა კი ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. ქველმოქმედება ხომ მხოლოდ სიმდიდრესთან დაკავშირებული ცნება არ არის - ის უფრო სულიერ მდგომარეობას აღნიშნავს.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ დამსწრეთ აღუთქვა: პარლამენტში დასვამს საკითხს, რომ 2003 წლისთვის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობის პროგრამის საბიუჯეტო თანხა 100 ათასი ლარით გაიზარდოს.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დიაგნოსტიკური ცენტრი 10 000 ლარის ღირებულების გამოკვლევას ჩაუტარებს ცენტრის ავადმყოფებს.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ, ორგანიზაციის სახელით, 5 000 ლარის ქვითარი გადასცა ცენტრს და შემდგომში დახმარებაც აღუთქვა.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (GTZ) სახელით კორნელი ჰენინგმა და მაია ქავთარაძემ ბავშვებს საჩუქრები გადასცეს და თავიანთი ოფისისთვის ნახატი შეიძინეს.

ბავშვებს და ცენტრს საჩუქრები გადასცეს: ნანა ყეინიშვილმა - წითელი ჯვრის ორგანიზაციის სახელით; დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობამ; ორგანიზაციამ "ამიერკავკასიის ქალთა დიალოგი"; ორგანიზაციამ "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის".

აქციაზე შემოწირულმა თანხამ 2 475 ლარი შეადგინა.

დღევანდელი აქცია და ის ფაქტი, აქციის ანგარიშზე გაგრძელდება თუ არა შენატანები, ერის სულიერი მდგომარეობის მაჩვენებელი იქნება.

თანხების ჩასარიცხად, გთხოვთ, ისარგებლოთ შემდეგი რეკვიზიტებით:

**გაერთიანებული ქართული ბანკის №3 დიდუბის ფილიალი.**
**კოდი: 220101665**
**ეროვნული ლარის ანგარიშის ნომერი: 67633608**
**სავალუტო ანგარიშის ნომერი: 67393618**
**საკონტაქტო ტელეფონი: 899563917**







ლევან ხერხეულიძის ფოტოები

უკომენტაროდ

## ჩავლილი დღესასწაული და დარჩენილი პრობლემები

*გასული კვირის ყველაზე მასშტაბური მოვლენა მაინც "თბილისობის" დღესასწაული აღმოჩნდა. პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, ტერორისტების გაუვნებელყოფის ამბით დაიმედებულმა, საქართველოს პრეზიდენტმა, "თბილისობის" პირველი დღე წამატებულად დაიწყო - ნაძალადევში ახლად გახსნილ მინისაფეხბურთო სტადიონზე გატანილი პირველი გოლი მის სახელზე ჩაიწერა. ამ ღირსშესანიშნავ მომენტს თვალს ადევნებდა სახელისუფლო ელიტა: მთავრობის წევრები, ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელები.*

მაკა ჭაიანი

ეს დღეები, საერთოდ, დატვირთული იყო ჩვენი პრეზიდენტისთვის. თბილისში გაიხსნა ორი ეკლესია, ღუდუშაურის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკა, ევროპული კვების პროდუქტების საბითუმო სავაჭრო ქართულ-იტალიური ცენტრი "ჯორჯიტა" (რომელიც მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციით მომარაგებას ჰპირდება ქალაქს), ლილოს მეფრინველეობის ფაბრიკა (რომელიც ყოველდღიურად 200 ათას კვერცხს მოგვცემს და 500 ადამიანს დაასაქმებს), ვარკეთილის წყალსადენი (რომელიც, როგორც ამბობენ, ვარკეთილისა და ვაზისუბნის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემას მთლიანად მოუხსნის), ევროპული სტანდარტებით აშენებული სასტუმრო „კოპალა"; ექსპლუატაციაში შევიდა დიღმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლის უკან მდებარე პარკი, სადაც მწვანე საფარი განახლდა, დაიდგა 15 სკამი და 100 ურნა, შეკეთდა დაზიანებული აუზი და ბალახისგან გაიწმინდა ბორდიურები; მოეწყო საზეიმო ღონისძიებები და, რაღა თქმა უნდა, სასურსათო ბაზრობები.

შარშანდელისა არ იყოს, თბილისის ხელისუფალთა წლევანდელი განცხადებაც - ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას ქალაქის მოედნებზე გამოტანილი პროდუქტი 30-40 პროცენტით იაფი იქნებაო, ნაჩქარევი აღმოჩნდა. ზამთრისთვის რაიმეს მომარაგების იმედი დედაქალაქის მოსახლეობას ისევ გაუცრუვდა. სახელდახელო დახლებს მოშორებული ხალხი ამაზე დაუფარავად წუწუნებდა. სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად, ხელფასები და პენსიები მათ თბილისობამდე დაურიგეს, მაგრამ ის, რასაც ჩვენში ხელფასს და პენისიას ეძახიან, განწყობის ასამაღლებელ წამლად არ გამოდგება. მით უმეტეს, წლევანდელი გაზაფხულისა და შემოდგომის ფონზე, მიწისძვრითა და წვიმებით დაზიანებული ათასობით სახლი და ჯერაც დაუბინავებელი ასობით მოსახლე რომ დაგვიტოვა. თუ მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდის დაფინანსება, ძველებურად, ინერციით გაგრძელდა, ეს პრობლემა პრობლემად დარჩება მომავალი და იმის შემდგომი თბილისობებისთვისაც.

დედაქალაქში არსებული სხვა პრობლემების წარმოსაჩენად, ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისობის პირველ დღეს ერთგვარი საგანმანათლებლო მსვლელობა მოაწყო. მისი დევიზი დაახლოებით ასე ჟღერდა - ვისთვის შენდება ქალაქი, ვისთვის ინგრევა. ნაციონალები 9 აპრილის ბაღსა და დიდი დიღმის მეოთხე მიკრორაიონს ესტუმრნენ და იქ მიმდინარე საეჭვო მშენებლობებისადმი საკუთარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დააფიქსირეს. თბილისში მიმდინარე მშენებლობების საკითხს არც გასულ კვირაში დაუკარგავს აქტუალობა. პრეზიდენტმა მისი გადაწყვეტა მთავრობის სხდომაზე სცადა და საოცარი გადაწყვეტილება მიიღო - თანამდებობა დაატოვებინა მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრს, რომელიც, აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედი სისტემის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად იყო დამნაშავე. იმ დღეს, იმავე მოტივით, ყვითელი ბარათი მიიღო თბილისის მერმა, თუმცა, ეს ის ბარათია, რომელიც ფერს, ალბათ, აღარ შეიცვლის.

გასულ კვირაში თბილისის მერიამ ორი რამ კატეგორიულად მოითხოვა. პირველი მოთხოვნა ფედერალური ბიუჯეტისადმი გაისმა. იქაური ხელმძღვანელების აზრით, ქვეყნის დედაქალაქის დასუფთავებას მხოლოდ მუნიციპალური ბიუჯეტი ვერ აუვა და მილიონნახევრიანი ქალაქის იერსახის შენარჩუნებისთვის, როგორმე, ცენტრალურმა ხელისუფლებამაც უნდა გამოიღოს ხელი. მეორე მოთხოვნა გარე მოვაჭრეებს შეეხებოდა. შემოსავლების გაზრდის მიზნით, მერია თითოეული მათგანის აღრიცხვასა და დაბეგვრას მოითხოვს. არანაკლებ კატეგორიულები გახლდნენ გასულ კვირას მორიგი საპროტესტო აქციით გამოსული მეანაბრეებიც. გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ვანო ჩხარტიშვილს, ისინი შვილის ქორწილში სტუმრობას დაჰპირდნენ. რატომ - ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. პენსიების სრულად მიღების მოთხოვნით გამოვიდნენ რეპრესირებულთა ოჯახების წარმომადგენლებიც. მათთვის მიცემული პირობის შესრულებას სახელმწიფო ისევ ვერ ახერხებს.

გასულ კვირაში თბილისში დაფუძნდა გაერო-ს ბავშვთა ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა; ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ფარმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; გაცხადდა, რომ ქართველი მეცნიერები ბიოტერორიზმთან ბრძოლაში ჩაებმებიან, საერთაშორისო ორგანიზაციები კი მტკვრის დასუფთავებაში სერიოზულ დახმარებას გაგვიწევენ; ითქვა ისიც, რომ საქართველოში პირუტყვის აუცრელობას, შესაძლოა, ჯილეხის აფეთქება მოჰყვეს. გაერო-ს კვირეულის ფარგლებში ჩატარებულმა სემინარმა კი - "მოზარდი, ოჯახი, განვითარება", კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ხალხისთვის პურის ნაცვლად სანახაობის მიმცემი ჩვენი ხელისუფლება მართავს ქვეყანას, რომელსაც ჰყავს 9 წლის მეძავები, 12 წლის ორსული გოგონები და ქუჩას შეფარებული ათასობით მოზარდი, რომელთა მომავალი უზარმაზარი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, და რომ ასეთი ქვეყნის მართვისთვის, საკუთარი ოჯახის კარგად მართვის გამოცდილება საკმარისი არ არის.

# იუსტიციის მინისტრი ხონელ პატიმრებს თავისუფლებას ვერა, მაგრამ აგურებს აუცილებლად აჩუქებს

თამარ კაციტაძე

**"გაჭირვებული ფინანსური მდგომარეობის გამო, დღეს პენიტენციალურ სისტემაში მძიმე მდგომარეობაა. იმისათვის, რომ ადამიანები საბოლოო დაღუპვისგან გადავარჩინოთ, მოვუწოდებ პროკურორებს და მოსამართლეებს, თუ შესაძლებელი იქნება, მსუბუქი დანაშაულისთვის დაპატიმრებულ ადამიანებს პირობითი სასჯელი აკმარონ და ისინი ციხისთვის არ გაიმეტონ. ზოგს ჰგონია, სკოლების მშენებლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ციხის. არადა, ავიწყდებათ, რომ ციხე სწორედ სახელმწიფოს სახეა, პატიმრები კი ჩვენი საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან. თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს უფრო მეტი ყურადღება სჭირდება, რათა ციხიდან გამოსვლის შემდეგ სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი, ამით სხვებსაც ნაკლები პრობლემები შეექმნებათ,"** - თქვა იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა ხონის №9 დაწესებულებაში პატიმრებთან შეხვედრისას.

მას შემდეგ, რაც ე.წ "წითელი ზონა" თბილისიდან იმერეთში გადაიტანეს, იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ხონის კოლონიას პირველად ესტუმრა.

მინისტრის სურვილი იყო, თავისი თვალით ენახა ერთ დროს აჟიტირებულ კოლონიაში არსებული მდგომარეობა და მოესმინა პატიმართა პრობლემები.



*როლანდ გილიგაშვილი ხონის კოლონიაში.*

სხვა დროს რა მოგახსენოთ, მაგრამ ხელმძღვანელობის სტუმრობისას კოლონიაში ცხელი წყალიც კი მოდიოდა, მენიუზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. "თანამშრომელი პატიმრები" იმ წუთში არც სასმელი წყლის პრობლემას უჩიოდნენ და არც მედიკამენტების დეფიციტს. თუმცა, მინისტრმაც, მისმა მოადგილემ კახა კობერიძემაც და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა მხეიძემაც ძალიან კარგად იციან, რომ პატიმარი, რომლის შესანახადაც სახელმწიფო თვეში მხოლოდ და მხოლოდ 28 ლარს გამოჰყოფს, ყოველნაირად უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

**"იმისათვის, რომ პენიტენციალურ სისტემაში მდგომრეობა აშკარად გამოსწორდეს, საჭიროა, მომავალ წელს 18 მილიონი ლარი გამოგვიყონ. ეს ის თანხაა, რაც დაგვეხმარება საბჭოთა გადმონაშთის – კოლონიების - ციხეთა სისტემით შესაცვლელად და დაწყებული ციხეების მშენებლობის დასამთავრებლად. მოწესრიგდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაუმჯობესდება როგორც პატიმრების, ასევე პენიტენციალური სისტემის თანამშრომლების ანაზღაურებაც,"** - უკვე მერამდენედ ამბობს გილიგაშვილი, მაგრამ კვლავაც გაურკვეველი რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულების დაფინანსების ბედი.

იუსტიციის მინისტრთან ერთად, ხონის კოლონიას იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილიც ესტუმრა. გუბერნატორმა და მინისტრმა კოლონიის ბიუჯეტის დეცენტრალიზაციაზე ისაუბრეს. შაშიაშვილის აზრით, **"კოლონიის ამგვარი სახით მომარაგება დაეხმარება იმერელ გლეხებსაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციაში".**

თუმცა, "წითელ ზონაში" მყოფი 109 პატიმრისათვის, რომელთა უმრავლესობაც ყოფილი მეომარია, მთავარი მაინც შეწყალების პრობლემაა. ვისი დოკუმენტები იქნება მისაღები კომისიისთვის და ვის შეიწყალებს პრეზიდენტი? -- ამგვარ შეკითხვებზე იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა მსჯავრდებულებს დიდხანს პასუხობდა. გათავისუფლებაში დახმარებას რაც შეეხება, აქ თვით მინისტრიც უმწეო აღმოჩნდა, რადგან ეს მის ძალებს აღემატებოდა. სამაგიეროდ, როლანდ გილიგაშვილი პატიმრებს ოთხი ათას აგურს დაჰპირდა, რომელიც განსასჯელებს ეკლესიის მშენებლობისთვის სჭირდებათ. პატიმრებმა ეკლესიის მშენებლობა აგვისტოში დაიწყეს, მაგრამ, საშენი მასალის დეფიციტის გამო, ცოტა ხანში, შეიძლება, მშენებლობა შეჩერდეს და უკვე აშენებული კედლებიც დაინგრეს.

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის დასავლეთ საქართველოში ვოიაჟის დღეს ქუთაისში სააღსრულებო დეპარტამენტის იმერეთის ბიუროსა და სააღსრულებო პოლიციის დასავლეთის განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობაც გაიხსნა. ეს შენობა, სადაც აუქციონებიც ჩატარდება ხოლმე, იუსტიციის სამინისტრომ საკუთარი სპეცსახსრებით ააშენა.

# რუსეთი ახალი ტერაქტების თავიდან ასაცილებლად ემზადება



*ბორის გრიზლოვს (ცენტრში) მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი აქვს.*

რუსეთის შს მინისტრის ბორის გრიზლოვის განცხადებით, მოსკოვის რეგიონში მოქმედებს მსხვილი ტერორისტული კლანი. "ახლა რუსეთის სპეცსამსახურების უმთავრესი მიზანია მისი გამოვლენა და განიარაღება, რისთვისაც სერიოზული ანტიტერორისტული ღონისძიებები გატარდება," – განაცხადა რუსეთის შს მინისტრმა.

ბორის გრიზლოვმა ოპერატიულ თათბირზე რუსეთის ძალოვანი სამსახურების თავკაცები მიიწვია, სადაც შემუშავდა ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის სპეცგეგმა, რომლის მიხედვითაც, კანონდამცველები 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ. მინისტრის ბრძანებით, ტერორისტთა გამოსავლენად მოსკოვსა და მის შემოგარენში ძალოვანები ჩაატარებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, რომელიც მიწოდებული ინფორმაციისთვის მოსახლეობის დაჯილდოებასაც ითვალისწინებს. მსგავსი სამძებრო ღონისძიებები ჩატარდება განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტებზე, საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, საავადმყოფოებში, აეროპორტებში, ავტომაგისტრალებზე, მეტროებში, ავტოვაგზლებსა და ბაზრობებზე. შემოწმდება დასასვენებელი სახლები და ის სანატორიუმები, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაშია, და სხვა მსგავსი დანიშნულების ობიექტები. რუსეთის შს მინისტრის ბრძანებით, მკაცრი კონტროლი დაწესდება სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე. 300 ათასი სამხედრო ობიექტის, კერძოდ, სამხედრო შეიარაღების საწყობებსა და ასაფეთქებელი ნივთიერების მწარმოებელ ქარხნებში გაძლიერდა დაცვა.

ბორის გრიზლოვმა რუსეთის მოსახლეობას მოუწოდა, მხარი დაუჭირონ სამართალდამცავებს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

# შვილისა და შინამოსამსახურის მკვლელი შეურაცხადად აღიარეს

*რამდენიმე თვის წინ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემთხვევითმა გამვლელებმა ნახევრადდამწვარი უცხო მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. ცხედარს აშკარად ემჩნეოდა ძალადობის ნიშნები. იმავე დღეს გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მას შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

უცნობის დამწვარი ცხედრის პოვნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გლდანი-ნაძალადევის პოლიციაში მერვე საავადმყოფოდან შეტყობინება შევიდა: რამდენიმე ბოშამ გულმკერდის არეში დაჭრილი ახალგაზრდა მამაკაცი მიიყვანა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მისმა მიმყვანებმა კი ექიმებს ცხედრის გაკვეთის უფლება არ მისცეს – ისედაც ვიცით, გულის დაავადება აწუხებდა, სწორედ ამ დაავადებით გარდაიცვალა უეცრად და გაკვეთა საჭირო არ არისო. ბოშებმა გარდაცვლილი სასწრაფოდ მოაშორეს საავადმყოფოს. ცოტა ხანში კი სამართალდამცველები საავადმყოფოში გარდაცვლილი ახალგაზრდის ვინაობას ადგენენ და იმასაც იგებენ, რომ იგი მამამ მოკლა.

ვასილ მარტინოვის ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა უკანონოდ შეძენილი იარაღი იპოვეს, რომლითაც, როგორც მოგვიანებით დადასტურდა, ვასილ მარტინოვმა საკუთარი შვილი, მიხეილ მარტინოვი, გამოასალმა სიცოცხლეს. მიხეილ მარტინოვის მკვლელობის საქმის გახსნას მოჰყვა თბილისის ზღვაზე ნაპოვნი უცნობი მამაკაცის მკვლელობის საქმის გახსნაც.

უცნობი, სავარაუდოდ, უკრაინელი – იური ბონდარენკო აღმოჩნდა, რომელიც ვასილ მარტინოვის მრავალწევრიან ოჯახს ემსახურებოდა. მარტინოვების ოჯახში, როგორც ბოშებს სჩვევიათ, ცოლ-ქმრის – ვასილ მარტინოვის, იზა კოლდარისა და მათი შვილების გარდა, ცოლის დისშვილიც - ილონა მარენიც ცხოვრობდა, რომელიც ვასილ მარტინოვის მეორე ცოლადაც ითვლებოდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2002 წლის თებერვალში, საღამოს საათებში, ვასილ მარტინოვი და ილონა მარენი გააღიზიანა სახლში მოსული მოსამსახურის – იური ბონდარენკოს საქციელმა. ნასვამი ბონდარენკო ხმამაღლა მღეროდა და თან ბოლომდე ხმაწეულ ტელევიზორს უსმენდა. მარტინოვისა და მარენისგან მან რამდენჯერმე შენიშვნა მიიღო, მაგრამ, ბონდარენკომ მათ მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია და ისევ ხმამაღლა განაგრძო სიმღერა. განრისხებულმა ვასილ მარტინოვმა მისი მოკვლა განიზრახა. აიღო უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი გასროლით ბონდარენკო გულმკერდის არეში დაჭრა. დაჭრილი ბონდარენკო იატაკზე დაეცა და შველას ითხოვდა. მარტინოვმა კი იქვე, ოთახში დადებული ნაჯახი აიღო და მისი ტარით დაუწყო ცემა დაჭრილ მოახლეს. ის დაჭრილს გამეტებით მანამდე სცემდა, სანამ არ მოკლა.

**"ბონდარენკოს ცხედარი ავტომობილის საბარგულში მოვათავსეთ, წავედით თბილისის ზღვისკენ. ერთ მიყრუებულ ადგილას გვამი მანქანიდან ამოვიღეთ. მკვლელობის კვალის დაფარვის მიზნით, ვასილ მარტინოვის დავალებით, ცხედარს ბენზინი გადავასხი, ცეცხლი წავუკიდე და ორივე დავბრუნდით სახლში",** – ასეთი ჩვენება მისცა წინასწარ გამოძიებას ბოშა ილონა მარენმა. თავად ვასილ მარტინოვმა, დაკითხვისას, ჩადენილი დანაშაული უარყო და გამოძიებას განუცხადა, რომ ბონდარენკო მისმა შვილმა მიხეილ მარტინოვმა მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. თუმცა, მოგვიანებით მეუღლესთან, იზა კოლდართან, დაპირისპირებისას ვასილ მარტინოვმა მთლიანად აღიარა მის მიერ ჩადენილი ორი საზარელი მკვლელობა. **"ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო დაზიანება მივაყენე იური ბონდარენკოს. შემდეგ დაჭრილს ნაჯახის ტარი ვურტყი მანამ, სანამ არ მოვკალი. მერე კი მე და ილონამ გვამი თბილისის ზღვაზე წავიღეთ ჩემი მანქანით და იქვე დავწვით. ორ დღეში გავიგე, რომ მომხდარის შესახებ ჩემმა შვილმა მიხეილმა შეიტყო. მე მას დაკითხვა დავუწყე, ნამდვილად იცოდა თუ არა რაიმე ჩემს მიერ ჩადენილი მკვლელობის შესახებ. დავრწმუნდი, რომ იცოდა. შემეშინდა, ვინმესთვის არ მოეყოლა და ანერვიულებულმა მაშინვე მოვკალი",** – ასეთი შინაარსისაა ცოლთან დაპირისპირების შემდეგ გამოძიებისთვის მკვლელის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენება.

ერთი სიტყვით, გარდა თავად ბრალდებულის, მოწმეთა და თანამონაწილეთა ჩვენებებისა, მარტინოვის მიერ ჩადენილი მკვლელობები დადასტურებულია საქმეზე შეკრებილი სხვა მასალებითაც.

რაც მთავარია, ჩატარებულმა სასამართლო ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ მარტინოვი შეურაცხადად აღიარა. **"დანაშაულის ჩადენის დროს მარტინოვი ფსიქიურად ავად იყო. მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ხასიათი და არ შეეძლო კონტროლი გაეწია საკუთარი თავისთვის,"** - ასეთია ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამავე დასკვნის მიხედვით, მარტინოვს არ შეუძლია სწორი ჩვენების მიცემა და საგამოძიებო სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. **"მარტინოვი თავისი ფსიქიკური მდგომარეობით წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციალურ საშიშროებას. ესაჭიროება იძულებითი მკურნალობა მკაცრი რეჟიმის მეთვალყურეობის ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პირობებში".**

სისასტიკით ჩადენილი ორი მკვლელობის საქმის გამოძიება დასრულებულია. დაუწესოს იძულებითი მკურნალობა, თუ ვასილ მარტინოვს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯოს, ამის შესახებ უკვე უზენაესი სასამართლო იმსჯელებს.

# მოსკოვში თავს დაესხნენ ქართველ გოგონას

გუშინ, დილით მოსკოვში, საპრუნოვას ქუჩაზე, უცნობები თავს დაესხნენ ქართველ გოგონას. 15 წლის მოზარდი სასტიკად სცემეს და დანით მძიმედ დაჭრეს.

იგი მოსკოვის საავადმყოფოშია მოთავსებული. პოლიცია ბოროტმოქმედებს ეძებს. დაზარალებულის განცხადებით, თავდამსხმელები რუსი თინეიჯერები იყვნენ.

ქართველი გოგონა მოსკოვში დროებით ცხოვრობს მშობლებთან ერთად და მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეა.

# პრინცესა დიანას დედას საგვარეულო ძვირფასეულობა მოპარეს

ჯერჯერობით უცნობმა ქურდებმა პრინცესა დიანას დედას, ფრენსის შანდ კინდდს სახლიდან საგვარეულო ძვირფასეულობა მოპარეს, იმ დროს, როცა ის ლონდონის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენებას იძლეოდა.

ლედი დის დედის განცხადებით, მძარცველებმა, გარდა დიანას ნივთებისა, სხვა საგვარეულო ძვირფასეულობაც მოიპარეს. "სახლში მწყობრიდან გამოყვანილი დამხვდა სატელეფონო კავშირის გაყვანილობა და უსაფრთხოების სისტემა," – განაცხადა შანდ კიდდმა. მისივე თქმით, შეუძლებელია, მოპარული ძვირფასეულობის ღირებულების დასახელება, რადგან ნივთების უმეტესობა ფასდაუდებელი საგვარეულო რელიქვია იყო. "მოპარულ ნივთებს შორის შეუფასებელი ძვირფასეულობაა, პაპის, ბებიისა და მამის სახსოვარი. ქურდებმა მთელი სახლი გაჩხრიკეს და მხოლოდ ეს ნივთები წაიღეს. მათ ხელი არ უხლიათ დიანას ნაქონი სხვა ნივთებისთვის. დარწმუნებული ვარ, ისინი პროფესიონალი ქურდები არიან, რომლებიც მხოლოდ ძვირფასეულობაზე მუშაობენ," – განაცხადა პრინცესა დიანას დედამ.

# „ვაშინგტონელი სნაიპერი" არც პირველია და არც უკანასკნელი

სერიული მკვლელობები, მასმედიისა და ჰოლივუდის წყალობით, ამერიკული კულტურის ერთგვარ შემადგენელ ნაწილად იქცა. ასეთი დანაშაულის პიონერობის საეჭვო პატივი კი, ლონდონელ ჯეკ-მფატრავს ერგო – ისტორიისთვის ცნობილ პირველ სერიულ მკვლელად სწორედ ის არის მიჩნეული. ლონდონელ მანიაკს ყველაზე მეტი მიმდევარი ამერიკაში გამოუჩნდა. ბოლო ამგვარი მკვლელი ამერიკელმა სამართალდამცველებმა ორიოდ დღის წინ დააკავეს. არავინ ფიქრობს, რომ "ვაშინგტონელი სნაიპერი" უკანასკნელი სერიული მკვლელი იქნება ამერიკის ისტორიაში. მეტიც, ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მონაცემებით, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად სერიული მკვლელების მსხვერპლი, საშუალოდ, 6 ათასი ადამიანი ხდება.

ჯერ ცნობილი არ არის, რა გამართლებას უძებნის ზედიზედ 10 ადამიანის მკვლელობას ვაშინგტონელი სნაიპერი - ჯონ ალენ მუხამედი, რომელიც გამოცანად იქცა კრიმინალური ფსიქოლოგებისთვის. მათ დამუშავებული აქვთ მკვლელი-მანიაკის ზოგადი სახე, რომელსაც"ვაშინგტონელი სნაიპერი" არანაირად არ მიესადაგება.

ამერიკის კრიმინალური სტატისტიკის თანახმად, სერიულ მკვლელთა უმეტესობა თეთრკანიანი ჰეტეროსექსუალი მამაკაცები არიან. თავად ისინი ან მათი მშობლები ნარკომანები ან ალკოჰოლიკები იყვნენ. მომავალ მკვლელთა უმეტესობას მძიმე ბავშვობა ჰქონდა – მათ აუპატიურებდნენ და სცემდნენ. ბევრი მათგანი, ვინც სერიულ მკვლელობებს სჩადიოდა, ცხოველების წვალებით ერთობოდა, ზოგიერთს სექსუალური არასრულფასოვნება აწუხებდა. ხშირად სერიული მკვლელები უმუშევრები იყვნენ, მარტოობას ან ოჯახურ უთანხმოებებს უჩიოდნენ.

ამერიკელი კრიმინალისტები სერიული მკვლელების სამ ტიპს გამოყოფენ. პირველი—როცა მკვლელს "ზემოდან" შთააგონებენ მკვლელობის აუცილებლობას, მეორე – მკვლელი თვლის, რომ სამყაროს გაუმჯობესებისკენ ისწრაფვის და მიზნის მისაღწევად, "არასრულფასოვნებს" – მეძავებს, ჰომოსექსუალისტებს კლავს. დამნაშავეთა მესამე ტიპს ხშირად "გედონისტებს" ეძახიან – მათ სიამოვნებას ანიჭებს მკვლელობის პროცესი. სერიულ მკვლელთა უმრავლესობა სამართალდამცველებს მეგობართა და ნათესავთა დაკვირვებულობის წყალობით ჩაუვარდა ხელში.

1954-1957 წლებში ალფრედ ჰიჩკოკის ფილმით—"ფსიქო" – აღფრთოვანებული ედვარდ ჰეინი საკუთარ სახლს მოკლულთა სხეულის ნაწილებით რთავდა. სასამართლომ მას მხოლოდ სამი ადამიანის მკვლელობა დაუმტკიცა, თუმცა კი, ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ჰეინის მსხვერპლთა რიცხვი გაცილებით დიდი იყო. 1984 წელს ის ციხის კლინიკაში გარდაიცვალა, სადაც მორიგ ფსიქიატრიულ ექსპერტიზას უტარებდნენ.

1966 წლის 14 ივლისს რიჩარდ პეკმა დანით მოკლა რვა სტუდენტი გოგონა, რომლებიც ჩიკაგოში ექთნებად მუშაობდნენ.

1972-1978 წლებში ჯონ ვეინ გასი ჩიკაგოს შემოგარენს ატერორებდა. ამ ხნის მანძილზე მან 33 ახალგაზრდა მამაკაცი და ბიჭი მოკლა. გასი მსხვერპლს სახლში ეპატიჟებოდა და სექსს სთავაზობდა, მერე კი კლავდა. მოკლულთა გვამების უმეტესობა მას საკუთარი სახლის სარდაფში ჰქონდა შენახული.

1973-1978 წლებში იურიდიული სკოლის სტუდენტმა, ტედ ბანდიმ ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში 30-ზე მეტი ქალი და გოგონა მოკლა. სასამართლომ მხოლოდ სამის, მათ შორის ერთი 12 წლის ბავშვის მკვლელობის, დამტკიცება შეძლო. 1989 წელს ბანდი სიკვდილით დასაჯეს. საინტერესოა, რომ სწორედ ბანდის დაკითხვების შემდეგ ჩამოაყალიბა ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ ბიჰევიორისტიკის სპეციალური განყოფილება, რომელსაც დამნაშავეთა ფსიქოლოგიის გაანალიზება ევალება.

1976-77 წლებში ნიუ-იორკში "დიდი სემი"—დევიდ ბერკოვიცი დათარეშობდა. მან ექვსი კაცი მოკლა და შვიდი დაჭრა. სასამართლოზე კი თქვა, რომ მკვლელობისკენ მეზობლის ძაღლი უბიძგებდა. მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

1977 წელს ანჯელო ბუონომ და მისმა ნათესავმა, კენ ბიაჩიმ კალიფორნიასა და ვაშინგტონში 10 ქალი მოკლეს. სხვათა შორის, კოლექტიური სერიული მკვლელობები ძალზე იშვიათი შემთხვევაა.

1977-78 წლებში კარლტონ ჰერიმ მოკლა და გაძარცვა შვიდი ხანშიშესული ქალი.

1982-1984 წლებში ტომ რიჯვეიმ, მეტსახელად "გრინრივერელმა მკვლელმა", სიეტლის მახლობლად 4-დან 49-მდე ქალი მოკლა. მის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, ხოლო საქმის გამოძიება დღემდე გრძელდება. რიჯვეი მოკლულთა გვამებს მდინარე გრინ-რივერის ნაპირზე ტოვებდა.

1984-85 წლებში სატანისტმა რიჩარდ რამირესმა, რომელიც საკუთარ თავს "ღამის მონადირეს" ეძახდა, სულ ცოტა, 13 ადამიანი მოკლა.

1978-1995 წლებში შიზოფრენიით დაავადებული, მათემატიკის პროფესორი, ტედ კაჩინსკი, მეტსახელად "უნიბომბერი", წლების განმავლობაში წერილ-ბომბებს აგზავნიდა. მან ამ გზით სამი ადამიანი მოკლა და 29 დაჭრა.

კაჩინსკი ნიჭიერი მათემატიკოსი იყო. "უნიბომბერი" მას საგამოძიებო ბიუროს აგენტებმა შეარქვეს. 18 წლის მანძილზე მსხვილი ფირმებისა და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში ფოსტით 17-მდე ასაფეთქებელი ნივთიერების შემცველი ამანათი გაგზავნა. თავად ტყეში ცხოვრობდა, ნანადირევით იკვებებოდა და მანიაკურად სძულდა მეწარმეები იმის გამო, რომ ისინი გარემოს აბინძურებდნენ. კაჩინსკი 1996 წელს დააპატიმრეს. იგი საკუთარმა ძმამ "ჩაუშვა". 1998 წელს "უნიბომბერს" სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

1981 წელს უეინ უილიამსს, ატლანტაში ორი ბიჭის მკვლელობისთვის, სასამართლომ ორი ვადით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა, ფიქრობენ, რომ მას, სულ ცოტა, 28 ბავშვი ყავს მოკლული.

1987-1991 წლებში ჯეფრი დემერმა მილუოკიში 17 ახალგაზრდა მამაკაცი და ბიჭი მოკლა. მოკლულთა გვამების ნარჩენები მის სახლში აღმოაჩინეს. დემერისთვის სასამართლომ მხოლოდ 15 მკვლელობის დამტკიცება შეძლო და 16 ვადით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. 1994 წელს დემერი პატიმრებმა საკანში მოკლეს.

1989-1990 წლები. მეძავი აილინ უორნოსი, რომელსაც"სიკვდილის მომტან გოგონას" ეძახდნენ, სერიული მკვლელი-ქალის იშვიათი მაგალითია. მან მოკლა ექვსი მამაკაცი, რომლებიც ფლორიდის გზაზე "დააბა". 2002 წლის 9 ოქტომბერს იგი სიკვდილით დასაჯეს. აილინ უორნოსის შესახებ დაწერილია რამდენიმე წიგნი და გადაღებულია არაერთი ფილმი.

1990-93 წლებში სან-ფრანცისკოს ატერორებდა ეგრეთ წოდებული "მკვლელი-ზოდიაქო", რომელიც აქამდე ვერ დაიჭირეს (მისი ისტორია გამოიყენეს ცნობილი ფილმის "ჭუჭყიანი გარის" სიუჟეტად). "ზოდიაქოს" ამბავმა შთააგონა ნიუ-იორკელი ერიბერტო სედა, რომ თავად გამხდარიყო მკვლელი. მან სამი ადამიანი მოკლა და ოთხი დაჭრა. დანაშაულის ადგილზე სედა ტოვებდა წერილს: "ეს ჩაიდინა ზოდიაქომ". ცრუ ზოდიაქო დააპატიმრეს და 235 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

კიდევ ერთი მკვლელი-სნაიპერი, რომელიც, ნიუ-იორკელი დიდი სემის პატივსაცემად, საკუთარ თავს "დიდი სემის ვაჟს" უწოდებდა, მანქანის არასწორი გაჩერების გამო დააკავეს. მას ორი ადამიანის მოსაკლავად მიეჩქარებოდა და მანქანა არასათანადო ადგილას გააჩერა. პოლიციამ საჯარიმო ქვითრის მიხედვით დაადგინა მისი საცხოვრებელი ადგილი.

1997 წელს ენდრიუ კანანი ისტორიაში შევიდა, როგორც ცნობილი მოდელიორის, ჯანი ვერსაჩეს მკვლელი. კანანმა თავი მოიკლა. პოლიცია ფიქრობს, რომ მას ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში კიდევ რამდენიმე მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი.

# სენაკში პოლიცია სპეცოპერაციას ატარებს

თამარ კაციტაძე

კრიმინოგენული თვალსაზრისით სენაკის რაიონი სამეგრელოში შედარებით მშვიდ რაიონად ითვლებოდა. მაგრამ ბოლო პერიოდში მდგომარეობა აშკარად გაუარესდა: გახშირდა ქურდობა, ყაჩაღობა, მანქანის გატაცება და სხვა მძიმე დანაშაულები.

დღემდე გაუხსნელია რაიონში ერთი თვის განმავლობაში მომხდარი ორი მკვლელობა.

გუშინწინ სოფელ ფოცხოდან მომავალ ავტობუსს წინ ორი ნიღბიანი და შეიარაღებული პიროვნება გადაუდგა. ყაჩაღებმა ტრანსპორტს ცეცხლი გაუხსნეს. ერთ ტყვია მძღოლს, კახა ცომაიას, კისერში მოხვდა და ვიდრე საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, სისხლისგან დაიცალა. ნიღბიანებმა მგზავრები გაძარცვეს და ძირითადად, ყველი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები წაართვეს.

მანამდე, მიკროავტობუსის დაყაჩაღებას სოფელ ახალსოფელში მცხოვრები ორი შვილის დედის, ფაცაციას სიცოცხლე შეეწირა. თბილისში მიმავალ მიკროავტობუსს თავდამსხმელებმა ცეცხლი გაუხსნეს და ტყვია ამჯერადაც შემთხვევით მგზავრს მოხვდა. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ყაჩაღებს ტრანსპორტის გატაცება ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ მკვლელობის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ელგუჯა ჯამბურიას განცხადებით, პოლიციას ორივე მკვლელობასთან დაკავშირებით აქვს ოპერატიული ინფორმაცია და სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში ყაჩაღთა ორივე ჯგუფის აყვანას შეძლებენ.

სამხარეო პოლიციის უფროსი სენაკში კრიმონოგენული მდგომარეობის გამწვავებას რაიონის პოლიციის უფროსის, ვახტანგ გოგიას ხანგრძლივი ავადმყოფობით ხსნის. როგორც ჩანს, ელგუჯა ჯამბურია კრიმინალური პოლიციის უფროსის, მამუკა კოკაიას, რომელიც პარალელურად პოლიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა, მუშაობით უკმაყოფილო დარჩა და გუშინ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მის მაგივრად კი, ასევე დროებით, რაიონის პოლიციის შერიფის პოსტი ადმინისტრაციული პოლიციის უფროსს, ფრიდონ გეგენავას ჩააბარა.

რეგიონის ხელმძღვანელობამ სენაკში საკადრო ცვლილებებს ორმოცკაციანი სპეცოპერაციაც მოაყოლა. ოპერაცია ადგილობრივი სპეცრაზმის დახმარებით ტარდება. სამხარეო პოლიციის უფროსის თქმით, უკვე აყვანილია ყაჩაღთა ჯგუფი, რომლის წევრებმაც – დიხამინჯიამ, ძაძამიამ და ბარკალაიამ სენაკში ერთ-ერთი ოჯახის გაძარცვა და მანქანის გატაცება აღიარეს. სამართალდამცველები ოპერატიულ ინფორმაციას ფლობენ სხვა დამნაშავეებზეც, რომელთა დაპატიმრებასაც უახლოეს დღეებში აპირებენ.

# სისხლიანი შოუ დუბროვკაზე: იყვნენ თუ არა ტერორისტები რუსეთის სპეცსამსახურების „მიუზიკლის" მონაწილენი?

120 დაღუპული, რამდენიმე ასეული უგზო-უკვლოდ დაკარგული, 500 მოწამლული – სპეცოპერაციაში ˝ალფას˝ ოთხიანი დაუწერეს, პლუსით

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

გავა რამდენიმე დღეც და მოსკოვი დაივიწყებს მორიგ სისხლიან შოუს - ნამდვილი და უნიჭო მსახიობების მონაწილეობით, ისე, როგორც ბოლო ორი წლის მანძილზე დაივიწყა და მიინელა აფეთქებული საცხოვრებელი სახლების, ტროლეიბუსებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების ფერფლში ჩამარხული რამდენიმე ათასი სიცოცხლე.

გავა რამდენიმე დღე და მოსკოვში დაიწყება ნამდვილი ჩეჩნური, აზერბაიჯანული და ქართული დარბევები, რისთვისაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კრემლი მეთოდურად ამზადებდა საკუთარ მოსახლეობას, საკუთარ ფანატებს, საკუთარ იდეოლოგიას....სულ რაღაც რამდენიმე დღეში მოსკოვში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიები უცხოელ ჟურნალისტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად გამოცხადდებიან "რუსეთის დემონტაჟით დაინტერესებულ დესტრუქციულ ძალებად." მოსკოვის ცენტრსა და გარეუბნებში დაიწყო ნამდვილი ნადირობა ჩეჩნებსა და კავკასიელ არასაიმედო პირებზე. ოფიციალური ხელისუფლება აცხადებს, რომ მოსკოვში აკრედიტებული უცხოეთის ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატიურ მისიას ტერორისტები უკავშირდებოდნენ. "24 საათის" კარგად ინფორმირებული წყარო იუწყება, რომ დუბროვკაზე მდებარე კულტურის სახლისა და ოპერატიული სამთავრობო შტაბის ტერიტორიაზე რუსეთის სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ მობილურ კავშირებს, ანუ ყველას უსმენდნენ.

მოსკოვის ცენტრში დატრიალებულმა დრამამ კრემლს სულ ცოტა ხნით დაავიწყა პანკისი, მაგრამ ადამიანურმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ მოსკოვში მომხდარ მესამე ტერორისტულ აქტში საქართველომ ამჯერადაც მსხვერპლი გაიღო. სამივე ტერაქტის დროს საქართველოს მოქალაქენი დაშავდნენ.

მოსკოვში თავისი სისასტიკით უპრეცედენტო სპეცოპერაციას ხელისუფლება "ბრწყინვალედ განხორციელებულ აქციას" არქმევს. რამდენად უნაკლო და სამაგალითო იყო ოპერაცია, უდანაშაულო მსხვერპლთა ოჯახების დრამა მეტყველებს.

მრავალმილიონიანი რუსეთი ამ ჭრილობასაც გაილოკავს, სანამ უგზო-უკვლოდ დაკარგული და მოწამლული შვილების პორტრეტებით ქუჩაქუჩა სიარული არ დაღლის.

## ˝მგონი, ჩვენი ძალოვნები გაზს უშვებენ...˝

26 ოქტომბერი, დილის 5 სთ. და 30 წუთი. შემთხვევის ადგილას შეკრებილი ჟურნალისტები პატარა რადიომიმღებში ვუსმენთ "ეხო მოსკვის" ღია ეთერში ჩვენი კოლეგების ნატალია სკოპცოვასა და ანა ანდრიანოვას სუმბურულ და იმავდროულად პანიკურ რეპორტაჟს დარბაზიდან, სადაც უკვე სპეცსამსახურებმა პარალიტიკური გაზი გაუშვეს. ანა გრძნობს, რომ მათ რაღაც ემართებათ, მაგრამ არ იცის, რა ხდება.

"24 საათის" მკითხველს ვთავაზობთ დიქტორთან მისი საუბრის შინაარსს:

**ანა:** აქ ჩვენ ყველანი დარბაზში ვსხედვართ... გაგვაგებინეთ, რა ხდება, იქნება განუმარტოთ ძალოვნებს, არ დაგვტოვონ, გთხოვთ... აქ ვგრძნობთ რაღაც გაზს და იმედი გვაქვს, რომ... ჩვენ ხომ კურსკში არა ვართ...(ხმაში იგრძნობა არაადექვატური ნოტები და მეტყველების დარღვევის ყველა ნიშანი-რ.ნ.), დაგვიტოვეთ შანსი...

**დიქტორი:** ჩვენ ყველაფერს ვილონებთ... შეგიძლიათ, აგვიხსნათ, რას გრძნობთ, რა გაზია, ცრემლმდენი თუ წყალია?

**ანა:** არ ვიცი, რა გაზია, მაგრამ ვხედავ რეაქციას, მგონი, ჩვენი ძალოვნები რაღაცის გაკეთებას ცდილობენ; მგონი, არ არის იმის სურვილი, რომ ჩვენ აქედან ცოცხლები გავიდეთ... ასე უნდათ სიტუაციის გამოსწორება.

**დიქტორი**: შეგიძლიათ აგვიხსნათ, რა არის ეს, რა გაზია, რა მოსდით ადამიანებს, რას ხედავთ და რას გრძნობთ?

**ანა**: მე არ ვიცი... ბიჭებო, გთხოვთ, გემუდარებით... ჩვენ ამას ვხედავთ, ჩვენ ამას ვგრძნობთ. ახლა ვსუნთქავთ ჩვრებში თავჩარგულები... რაღაცას აკეთებენ ჩვენები(აქ გაისმა პირველი გასროლები.რუსეთის სპეცსამსახურებმა იერიში მიიტანეს თეატრალური ცენტრის შენობაზე-რ.დ.). ო,ღმერთო ჩემო. გესმით ჩემი?

**დიქტორი**: დიახ!

**ანა**: გვინდა ჰაერზე გამოსვლა.

**დიქტორი:** რა სროლა იყო ეს?

**ანა**: არ ვიცი, ჩვენ ჩვრებში ვსუნთქავთ, თავები გვაქვს ჩარგული... სულ ახლახან ნტვ-ს ვუყურებდით ყველა ერთად და გვიხაროდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ აქედან ცოცხლები არ გამოვიდეთ. ჩვენ ვცდილობთ....(ისმის განუწყვეტელი სროლის ხმა და დარბაზთან კავშირი წყდება)...

## ˝პასუხი მასხადოვმა აგოს!˝

ღამის შტურმი წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა, - აცხადებს ხელისუფლება. რამდენად უნაკლო და ბრწყინვალე იყო სპეცსამსახურების ოპერაცია, ამის შესახებ ჩვენს გაზეთს თავისი აზრი გაუზიარა რუსეთის უზენაესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ **რუსლან ხასბულატოვმა:**

-"ბრწყინვალე ოპერაცია" გადაჭარბებული ნათქვამია. საჭირო იყო ადამიანების გადარჩენა - ხელისუფლებამ ეს ვერ შეძლო, რადგანაც ტერორისტებთან მისულ არც ერთ მომლაპარაკებელს არ ჰქონდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების საჭირო რწმუნება. ეს გახდა სწორედ იმის მიზეზი, რომ ტერორისტებთან მოლაპარაკება ვერავინ შესძლო. რაც მოსკოვში მოხდა, ჩეჩნეთის ომის გამოძახილია, რომლის მიზეზები ტერორისტთა განადგურებით არ მოიხსნება – სანამ ჩეჩნეთში ომი არ დასრულდება. ცხადია, რომ ტერორისტები მოსკოვში მოსალაპარაკებლად არ ჩამოსულან, არც მათ მოსასმენად იყო განწყობილი ხელისუფლება, ანუ ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო ისე, როგორც დამთავრდა. ის, რომ უცხოელი მძევლების გათავისუფლება არ მოხერხდა, იმაზე მეტყველებს, რომ ტერორისტებს არ გააჩნდათ მოქმედების ე.წ. "რბილი სცენარი."

**ვიტალი კოროტიჩი**, ჟურნალისტი: ყველაფერი შავი ვარიანტით წარიმართა. მოკლულნი არიან ისინი, ვისაც რუსეთის მოსახლეობა სიკეთეს არ უსურვებდა. მაგრამ ამავდროულად ამ სპეცოპერაციამ დაგვარწმუნა იმაში, რომ როგორც ყველაფერი რუსეთში, ეს ოპერაციაც ბნელითაა მოცული. საზოგადოებამ არ იცის, რა და როგორ მოხდა. ეს იყო ძალიან კარგი ზარი იმისათვის, რომ ყველანი მზად ვიყოთ ტერაქტებისათვის. არ დაგავიწყდეთ, რომ ისრაელის სახელგანთქმული სპეცსამსახურები ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ აწარმოებენ.

**ასლახან ასლანბეკოვი**, დეპუტატი: ის, რაც მოხდა, ამდენი დაღუპული ადამიანის სიცოცხლე მთლიანად უნდა იტვირთოს ასლან მასხადოვმა, რომელსაც ჰქონდა უნიკალური შანსი, გმირად დარჩენილიყო საკუთარი და რუსი ხალხის თვალში.

## სპეცსამსახურები თეთრ ხალათებში: რა ხდება მოსკოვის საავადმყოფოებში

გათავისუფლებული მძევლებიდან ვისაც გაუმართლა, მოსკოვის სხვადასხვა საავადმყოფოებში მოხვდნენ. ზუსტად არავინ იცის, სად გააქრო ხელისუფლებამ უიმედო მდგომარეობაში მყოფი, გაზით მოწამლული მოზარდების გვამები. არის კადრები, სადაც კარგად ჩანს შემთხვევის ადგილიდან გამოყვანილი, წელს ზემოთ გახდილი პატარა ბავშვების უსიცოცხლო სხეულები. დაკარგულთა ასაკი 10-დან 14 წელია - ყველაზე მოდური პირველი რუსული მიუზიკლის მაყურებელთა, ანუ თინეიჯერთა ასაკი. მიუზიკლის პროდიუსერი **ალექსანდრ ცეკალო** რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ სპეცსამსახურებმა უნაკლო და ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარეს. ამის მიუხედავად მოსკოვში მყოფი უცხოელები უკვე იღებენ ბილეთებს "ნორდ-ოსტზე" - სპექტაკლი არანორმალურად პოპულარული ხდება. ამბობენ, რომ მორიგი სპექტაკლი სრული ანშლაგით ჩაივლის. ამბობენ, რომ მოსკოვში სპეციალურად ამ სპექტაკლის სანახავად ჩამოვლენ.

ეს, რაც შეეხება ნამდვილ სპექტაკლს. მოსკოვის საავადმყოფოებში კი დრამატული მოვლენები ვითარდება. დაჭრილ-მოწამლულთა უმეტესობა ქალაქის მე-13 ბავშვთა საავადმყოფოში მოათავსეს. რუსეთის პრეზიდენტმა რატომღაც მხოლოდ სკლიფასოვსკის სახელობის კლინიკა მოინახულა, რომლის "საჩვენებელ პალატებში" მოთავსებული დაზარალებულები საკუთარ პრეზიდენტს მადლობის სიტყვებს ეუბნებოდნენ. ერთმა ახალგაზრდამ პრეზიდენტს შესჩივლა, სამი დღეა ტანი არ დამიბანია და მაწუხებსო. შენ რა,ყოველდღე იბანი?- ჩაეკითხა პრეზიდენტი. სანამ ხელისუფლება მოსახლეობას ასე ამხნევებს, მოსკოვის საავადმყოფოებთან პორტრეტებით ხელში გროვდებიან სასოწარკვეთილი მშობლები და ექიმებს შვილებთან შეხვედრას თხოვენ. უკეთეს შემთხვევაში მათ საავადმყოფოების საქტო დარბაზებში უშვებენ და ლექციებს უკითხავენ. მე-13 საავადმყოფოში 350 დაზარალებული მოათავსეს, 70 – სკლიფასოვსკის კლინიკაში. 53-ე საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ ერთ მოსკოვურ დამოუკიდებელ ტელეკომპანიას განუცხადა, რომ მეორე დღეა, ექიმებს გარეთ გასვლა აუკრძალეს. რუსეთის ჯანდაცვის მინისტრის პირადი განკარგულებით ექიმებს აეკრძალათ ჟურნალისტებისათვის მძევალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაციის გაცემა.

მე-13 საავადმყოფოს მეორე ქირურგიულ განყოფილებაში იმყოფება კულტურის ცენტრის შტურმის დროს დაზარალებული ქეთინო ჭიპაშვილი, რომლის დედამ, ქალბატონმა ლილი ჭიპაშვილმა "24 საათს" უთხრა, რომ მთელი დღე საავადმყოფოსთან გაატარა, საღამოს საქტო დარბაზში შეიყვანეს, უთხრეს, რომ ქეთინოს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სანახავად ორშაბათს დაიბარეს. დიაგნოზზე ექიმები არაფერს ამბობენ.

57-ე საავადმყოფოს მთავარი ექიმის სიტყვებით, "პერსონალს არ აქვს დიაგნოზის დასმის, ავადმყოფთა ისტორიის შედგენისა და ქუჩაში გასვლის უფლება."

27 ოქტომბერს დაღუპულთა სია რამდენიმე კაცით გაიზარდა და მან 120-ს მიაღწია. ჰოლანდიის მოქალაქე ნატალია ჟიროვა მომწამვლელი გაზის შედეგად დაიღუპა. ყაზახეთის 13 წლის მოქალაქე ალიონა ლიტვინა სნაიპერის ტყვიითაა მოკლული. ყაზახეთის საელჩო ეძებს საკუთარ 36 მოქალაქეს. საქართველოს საელჩოს ვერ უპოვნია ვინმე ნაფეტვარიძე ოლეგის მეუღლე და შვილი. მოსკოვში ნიდერლანდების საელჩო დაეძებს ნატალია ჟიროვას 14 წლის ვაჟიშვილს დიმიტრის. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სია იზრდება. დიპლომატიური მისიები საკუთარ მოქალაქეებს ყველგან დაეძებენ - მორგებში, საავადმყოფოებში. ბრიტანული "გარდიანის" 27 ოქტომბრის ნომერი იუწყება, რომ მოსკოვში დუბროვკაზე მძევალთა გათავისუფლება იყო რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც დაიწყო მანამდე, სანამ, როგორც ამბობენ, მძევალთა ერთ ნაწილს ტერორისტებმა ესროლეს. გაზეთის ცნობით ოპერატიულ შტაბში მყოფი დიპლომატები პარასკევს საღამოს უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს და მათ ეცნობათ, რომ დილის ექვს საათზე შტურმი დაიწყებოდა.

## რატომ გაათავისუფლეს ტერორისტებმა აზერბაიჯანელი ჩინოვნიკის მეუღლე და რა დააშავა ბრიტანელმა მოზარდმა?

ამასობაში კი მოსკოვი ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდება. იმ ქუჩაზე, სადაც სამი დღის წინ დრამატული მოვლენები ვითარდებოდა, დღეს მოსკოველები ყვავილებითა და სანთლებით მოდიან. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც ადგილზე სამახსოვრო სურათებს იღებენ, ლუდის ბოთლებით ხელში დასეირნობენ... ოფიციალურად დაიხურა ადგილზე მოქმედი სამთავრობო ოპერატიული შტაბი, სადაც ჟურნალისტებს უფასო ჩაითა და სოსისებით კვებავდნენ, მაგრამ ჟურნალისტები ინერციით შემთხვევის ადგილიდან ინფორმაციებს მაინც გადასცემენ.

ადგილობრივ რადიოარხებზე რუსეთის ინტელიგენციის იშვიათი გამონაკლისები გმობენ ხელისუფლების ამ აქციას. ისინი უმცირესობაში არიან. ცნობილმა რეჟისორმა კამა გინკასმა განაცხადა, "რომ რუსეთი კიდევ უფრო დაისჯება, სანამ არ შეიცვლება ხელისუფლებასა და ხალხს შორის მონური მორჩილების, უკრიტიკობის სინდრომი."

რუსეთის სპეცსამსახურების "ბრწყინვალე სპეცოპერაციის" შემდეგ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა დარჩა. მათ შორის ასეთიც: რატომ არ გაათავისუფლეს ტერორისტებმა დაპირებისამებრ უცხოელი მძევლები? საერთოდ, მთელ ამ ისტორიაში ტერორისტთა წარმომავლობა და მათი ფსიქოლოგია ბოლომდე გაუგებარია. საინტერესოა, მაგალითად, რატომ გაათავისუფლეს ტერორისტებმა შტურმამდე რამდენიმე საათით ადრე დარბაზში მძევალთა შორის მყოფი "აზერბაიჯანის ავიახაზების" გენერალური დირექტორის მეუღლე და ამ კომპანიის სამი მაღალჩინიანი წარმომადგენელი? რა იყო ეს - ტერორისტთა კონიუნქტურული ნაბიჯი? ხომ არ ასრულებდნენ ტერორისტები ალაჰის მითითებებთან ერთად რუსეთის სპეცსამსახურების დავალებასაც? რა დააშავეს ბირტანელმა მოზარდებმა? რატომ აზერბაიჯანელები და არა, მაგალითად, ჰოლანდიელები? ამ შეკითხვას პასუხი გასცა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა იმით, რომ მეორე დღესვე მოსკოვისადმი მადლობის ნიშნად დახურა ბაქოში ჩეჩნეთის გენერალური წარმომადგენლობა. ალბათ, ამისათვის იჯდა სამი დღის განმავლობაში აზერბაიჯანის ელჩი დუბროვკაზე განლაგებულ სამთავრობო შტაბში და ძალიანაც ნერვიულობდა. შტაბი ელჩმა ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის ძვირფას ქურქში გამოხვეულ მეღლესთან ერთად დატოვა.

ვინ იყვნენ სინამდვილეში ტერორისტები და ვის მითითებებს ასრულებდნენ? აი, ის შეკითხვები, რაზედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საზოგადოებასა და ჟურნალისტებს მაინც მოუწევთ პასუხის გაცემა.

28 ოქტომბერი რუსეთში პრეზიდენტმა გლოვის დღედ გამოაცხადა.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები
საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი
ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

თუ ინტერტექსტუალობისთვის არ დამძრახავენ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ყოფიერების სიმსუბუქე მართლაც აუტანელია. სწორედ ასეთი აუტანელი სიმსუბუქის ნიშნით დაიწყო გასული კვირა, როცა ჯერ ოპოზიციურ კოალიციასთან ეკა კვესიტაძის საუბრის ანგარიში ვიხილეთ, მეორე დღეს კი — B1 გვერდზე ახალი რუბრიკა გამოჩნდა — "დღის პერსონა". ეს ბოლო სიტყვა ჩვენს ლექსიკაში სულ უფრო ფართო სივრცეებს იმკვიდრებს: აი, მაგალითად, თავისუფლების მოედანზე ერთ-ერთი გასაქირავებელი პუნქტის თუ რაღაც მსგავსი დაწესებულების წინ აბრაა: "სარიტუალო მომსახურება, სუფრის გაშლა 50 პერსონზე" — დიახ, სწორედ ასე წერია, ან ბოლო დრომდე ეწერა — "პერსონზე". სიტყვები "სარიტუალო მომსახურება", საშუალოსტატისტიკურ ქართველში ბოლო გზაზე გაცილების ასოციაციას იწვევს. ერთი გაცილება ჩვენს ახალდაბადებულ რუბრიკასაც მოუწია, თუმც კი მისი სტუმარი, მშენებლობისა და ურბანიზაციის ექს-მინისტრი, მერაბ ჩხენკელი, ირწმუნებოდა, კორუმპირებულთა მატარებელში ვერ ჩავჯდებიო (24 ოქტომბერი).

ესეც ჩვენი ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე — ერთი დღით შეიძლება ასეც გაიხანგრძლივო ცხოვრება: ამოიღო კოლოფიდან აქამდე ყველასათვის უცნობი და უწყინარი მინისტრი, გამოჰკრა და ცეცხლივით ააგიზგიზო. პერსონა, რომელიც მართლაც რომ ერთი დღისაა, რომელიც მხოლოდ თავისი გაწირვის დღეს ანათებს და მერე იქვე იკარგება, საიდანაც გამოჩნდა — ბიუროკრატიის ანონიმურ წიაღში. სამაგიეროდ, ფოიერვერკის მომწყობმა კიდევ ერთი დღე შეავსო რაღაცით, კიდევ დაიჯერა, რომ ჩვენ დავუჯერეთ, თითქოს ბენგალის ცეცხლით გათბობა შესაძლებელია. ამ ყველაფრის და კიდევ მრავლის პასუხად კი აღწერილი მოვლენებიდან ერთი დღით ადრე სპორტის სასახლესთან გაიხსნა ბილბორდი, რომელზედაც ცხადად აღინიშნა, რომ ფოიერვერკების ოსტატს ის ერთი დღე კი არ მოემატა, არამედ მოაკლდა.

"ნაციონალები შევარდნაძეს დღეებს უთვლიან" — გვამცნო თამარ მჭედლიშვილმა 23 ოქტომბერს დაბეჭდილ სტატიაში, რომელიც გივი თარგამაძის საარჩევნო კამპანიის დასაწყისს ეძღვნება საბურთალოს რაიონში. ესეც ჩვენი ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის კიდევ ერთი ნიშანი: ნეტავ კიდევ სად, ქვეყნის რომელ კუთხეშია საკმარისი ნეგატიური პირობა საარჩევნო კამპანიის დასაწყებად? სტატიაში ვკითხულობთ, რომ "ნაციონალები" საბურთალოს რაიონში კვლავ გააგრძელებენ ვაკეში დაწყებულ "გადამწვეტ ბრძოლას საქართველოსათვის", რომლის მთავარ მიზანს "პრეზიდენტ შევარდნაძის კლანჭებიდან ქვეყნის გათავისუფლება" წარმოადგენს.

სტატიიდან სამი პიროვნება გვესაუბრება: ავტორი, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ მოვლენათა უტყუარი გადმომცემია (რატომ უტყუარი? — ამას სხვანაირადაც ვაჩვენებთ); საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, გივი თარგამაძე, რომელიც მხოლოდ ერთ წინადადებას ამბობს და გვპირდება, რომ ამხელს იმ კლანებს, "რომლებიც დღეს საქართველოში მეფობენ"; და "ნაციონალების" ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არავის აცლის ლაპარაკს — არც ავტორს (აჰა, ამ უკანასკნელის უტყუარობის ირიბი მტკიცებულება), არც დეპუტატობის კანდიდატს და, რაც მთავარია, არც შევარდნაძეს. მოვუსმინოთ: "გივი თარგამაძე არის ადამიანი, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, რა პრობლემებს უქმნის პრეზიდენტ შევარდნაძის რეჟიმი ქართველ ხალხს". არც ჩვენი ტრადიციული რიტორიკა აკლია ლიდერის მიერ მიცემულ დახასიათებას: "თარგამაძე არის საჭირო კაცი". რატომ? — "მან იცის შევარდნაძის კლანის შიდა ანატომია და ძალიან კარგად უწყის, როგორ დაიცვას საზოგადოება ამ კლანის თავდასხმებისგან".

მშვენიერია: ერთს დასჭირდა და მთავრობის სხდომაზე დამსწრეთა გასართობად შუშხუნასავით ააბრიალა საკუთარი მინისტრი, მეორეს სჭირდება და პიროვნების (პერსონის!) მთავარ თვისებად (რის გამოც ჩვენ კანონმდებელთა რიგებში უნდა ავირჩიოთ იგი) პირველის ოჯახურ საქმეებში ჩახედულობა მიაჩნია. ერთი კია — ეს მეორე პერსონა, როგორც ეტყობა, უფრო მეტ ხანს გაძლებს — 900 დღე მაინც. გასულ ხუთშაბათს სწორედ ამდენი დარჩენოდა ჩვენს პრეზიდენტს იურისდიქციის დასრულებამდე. მახსოვს, ამ რიცხვით ჩემი ბავშვობა იყო დატვირთული — ლენინგრადის ბლოკადის 900 გმირული დღე. ახლა სააკაშვილი და თარგამაძე ხსნიან "სიცოცხლის გზას" საბურთალოს რაიონის ყინულზე. ყინულზე, რადგანაც მხოლოდ გულგაყინულ ადამიანს თუ მიაჩნია, რომ ჩვენი ელექტორატი იმდენად გონებაწართმეულია საყოველთაო სასოწარკვეთილებისა და გაჭირვების გამო, რომ აზრადაც არ მოუვა ერთი უბრალო შეკითხვის დასმა: "ეს კაი, და მერე?".

ამათ რა უჭირთ! — ასეა თუ ისე, 900 დღე მაინც ნაღდია, თანაც საკმარისი დროა, რამე რომ მოასწრო და ბოლოსდაბოლოს შენვე უპასუხო ზემოხსენებულ უბრალო კითხვას. აი, გურამ შარაძე კი მართლაც საგონებელში ჩავარდნილა...

ჩვენი ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს 23 ოქტომბრის კიდევ ერთ სტატიაში ვაწყდებით — მხედველობაში მაქვს გიორგი ასანიშვილის მასალა *სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელშეკრულება ძალაში შევიდა*. კაი, ბატონო, ვთქვათ, დოკუმენტი ისტორიულია (ბოლოსდაბოლოს, ისტორიასაც სხვადასხვა დონეები აქვს), მაგრამ მასზე მუშაობის პროცესს რატომ დაერქვა "ხანგრძლივი და შრომატევადი", ნამდვილად ვერ გამიგია. აუტანელი სიმსუბუქის ქვეყანაში იქნებ ესეც უმძიმეს შრომად ითვლება, მაგრამ საინტერესო იქნებოდა, გამოქვეყნება იმ ქვეყნების სიისა, სადაც მსგავსი დოკუმენტი მიიღეს, და, რაც მთავარია, იმის ჩვენებაც, რომელმა ქვეყანამ რამდენი დრო და ენერგია დაახარჯა პრობლემის გადაწყვეტას.

რაც შეეხება გურამ შარაძეს, მისი განსაკუთრებული პოზიციის მიზეზი ნათელია: სასურველის მიღწევას ყოველთვის თან ახლავს ერთი მტკივნეული შეკითხვა — "ახლა რაღა უნდა მინდოდეს კიდევ?".

აი, მაგალითად, ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას კი სულ არ უძნელდება ამ კითხვაზე პასუხი. დასარწმუნებლად თუნდაც გიორგი კალანდაძის სტატიას გადავავლოთ თვალი — *საბაჟო არეალს იფართოებს* (24 ოქტომბერი), ან მაია ურუშაძის მასალას — *ტრანსპორტის სამინისტრო საბაჟო კონტროლის გამკაცრებას აპროტესტებს* (25 ოქტომბერი). თურმე საბაჟო დეპარტამენტის მიერ მომზადებული ბრძანებულების პროექტის თანახმად, საბაჟო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ყველა ის ტერიტორია, სადაც ბარგი მოძრაობს, თანაც ცალკე ბარგი უნდა შემოწმდეს, ცალკე — მგზავრი. ნეტა რა მიზანს ისახავს ეს გადაწყვეტილება? დავიჯეროთ, სახელმწიფოს ამ გზით ძალოვანების დასაფინანსებელი 11 მილიონი ლარის ამოღება უნდა, თუ უფრო პროზაული, ყოფითი მოტივი ამოძრავებს და კურდღლებივით გამრავლებულ მებაჟეთა დასაქმებისთვის დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის ჩვენი სამგზავრო კომფორტის ხარჯზე? დაგიგროვდა ზედმეტი მებაჟეები? — დაწერე შესაბამისი ბრძანებულება. აღარ გყოფნის ტერიტორია კოლეგების გამოსაკვებად? — საბაჟო ტერმინალებად გადააქციე სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერებები. აუტანელი სიმსუბუქის ყოფიერება ხომ ყველაფერს აიტანს! ამ სამყაროში ხომ "თბილგაზიც" ისეთი მსუბუქია, რომ ერთი პატრონიდან მეორემდე პეპელასავით დაფარფატებს. ისევ მაია ურუშაძის პუბლიკაციას ვგულისხმობ — *"თბილგაზი" პატრონს ერთ კვირაში ჩაბარდება* (24 ოქტომბერი). არსებობს ერთი ფრანგული გამოთქმა — raison d' tre — ცხოვრების საზრისი. კაცმა რომ თქვას, ცუდი თარგმანია. თვითონ გამოთქმა იმასაც გულისხმობს, თუ რისთვის არსებობს რაღაც და იმასაც — რის წყალობით არსებობს. აუტანელი სიმსუბუქის პირობებში ამგვარ ტვინის ჭყლეტას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სტატიაში აღწერილი რთული და მრავალეტაპიანი კომბინაციების შესწავლის შედეგად ჩნდება შეკითხვა: "რა აზრი აქვს გაზის საერთაშორისო კორპორაციის არსებობას?". პასუხი ერთადერთია: მას "თბილგაზის" პატრონი უნდა ერქვას. რაც შეეხება იმას, ვინ იზრუნებს ჩვენთვის ჩაის ადუღებაზე, ეს კითხვა კიდევ დიდხანს დარჩება რიტორიკულად. რიტორიკაში კი სწერია, რომ ამგვარი კითხვები სულაც არ გულისხმობს აუცილებელი პასუხის, უფრო სწორად კი მოპასუხის არსებობას. რას იზამ, "დასაბამით იყო სიტყვა", მერე კი "სიტყვები... სიტყვები... სიტყვები".

სიტყვიერ ჟანრში პოლიტიკურ ძალთა ლიდერების უკვე ნახსენები შეხვედრა იყო გასული კვირის სწორუპოვარი ჰიტი. მაგრამ საყოველთაო სიმსუბუქე ვერც ამან გახადა ასატანი.




შაბათს, 19 ოქტომბერს "24 საათის" სადისკუსიო კლუბში წამყვან ოპოზიციონერთაგან ხუთი შეიკრიბა — ირინა სარიშვილი-ჭანტურია (ედპ), ზურაბ ჟვანია (გაერთიანებული დემოკრატები), მიხეილ სააკაშვილი (ნაციონალური მოძრაობა), დავით გამყრელიძე (ახალი მემარჯვენეები), ალექსანდრე შალამბერიძე (ტრადიციონალისტები). საინტერესოა თანამოსაუბრეთა დამოკიდებულება სიტყვებთან, ან, უფრო ზუსტად, სამეტყველო აქტებთან. ზურაბ ჟვანიასათვის ეს აზრის გადაცემის საშუალებაა, ირინა სარიშვილ-ჭანტურიასათვის — საკუთარი იდეური ტერიტორიის მოხაზვისა, დავით გამყრელიძე ლაპარაკიდან უფრო სიამოვნებას ღებულობს, აი, მიხეილ სააკაშვილი კი...

ვნახოთ, როგორ აგებს იგი თავის გამოსვლას. აშკარად შეიმჩნევა ამერიკული სასამართლო პროცედურის გავლენა: მიხეილ სააკაშვილი არსებული პრეცედენტების ჩამოთვლით იწყებს (მილოშევიჩის ოპოზიცია, კუჩმას ოპოზიცია), მერე აგრესიულად იცილებს მსმენელის მხრიდან შესაძლო რთულ შეკითხვებს და ამ შეკითხვების საგნად წინასწარვე თავის პოლიტიკურ ოპონენტს აქცევს (კონფრონტაციის შექმნა შევარდნაძის სტილია), საბოლოოდ კი თავისი პოლიტიკური დაჯგუფების რეტროსპექციაზე გადადის, რომლის განმავლობაში დროებით მოკავშირეთა ყველა ნაბიჯი, მიუხედავად უნაკლოდ კორექტული ტონისა, "ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივათა მიმეზისად და მის წიაღში წარმოშობილი იდეების კერძო შემთხვევად წარმოჩნდება. საინტერესოა, რომ შაბათის შეხვედრაზე ამ მოდელს ყველამ მხარი აუბა: ზურაბ ჟვანიამ თავისი ახლომდებარე ტაქტიკური მიზნების სრული გაცნობიერებით, დავით გამყრელიძემ ალალი და რამდენადმე ყმაწვილური ენთუზიაზმით, ხოლო ირინა სარიშვილ-ჭანტურიამ ქალურად, რადგან მხოლოდ ამ გამოუცნობ არსებებს აქვთ სწორუპოვარი უნარი ასე წარბშეუხრელად და ამავე დროს ელეგანტურად წარმოთქვან "არა", რომელიც "ჰოდ" უნდა ვიგულისხმოთ, და პირიქით.

საბოლოოდ, ეს გაერთიანებული ოპოზიცია აუტანელი სიმსუბუქის პირობებში და მათი წყალობით გაჩენილ კვამლის ქულისნაირ სიფრიფანა წარმონაქმნს მოგვაგონებს. იმედი ვიქონიოთ, რომ შეძლებს, ვისაც საჭიროა ხველება აუტეხოს. მეორე დღის ნომერში, 22 ოქტომბერს, გავიგეთ, რომ თურმე ოპოზიციონერთა დიალოგს ვაჟა ლორთქიფანიძეც შეერთებია. ეგ არაფერი, წმიდა ქეთევანის მეოხება მაინც შეეწევათ დროებით შეერთებულებს.

დიახ, პოლიტიკური ზედაფენა ურთიერთობათა გაფართოების გზას დაადგა. საზოგადოება კი, როგორც ეტყობა, პირიქით...

პარასკევს, 25 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა დალი კუპრავას ერთადერთი სტატია, რომელსაც ნამდვილად ვერ გავუგე ასავალ-დასავალი: *ანტისექსუალური აქცია და კიდევ ერთი წერილი პრეზიდენტს*. აღმოჩნდა, რომ ასავალ-დასავალი სტატიაში აღწერილ მოვლენას ვერც ავტორმა გაუგო და ვერც მის მონაწილეთა უმრავლესობამ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წერილი არ უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ მივყვეთ მას, რისი გაგებაც მოვახერხეთ...

საქმე ეხება გამომცემლობა "დიოგენეს" მიერ დაბეჭდილი ერთი წიგნის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. წიგნის სათაურია "მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსის და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ". მე ეს წიგნი მინახავს და მისი გარკვეული, გამოგიტყდებით, ყველაზე "იმნაირი" ნაწილი წამიკითხავს კიდეც. წიგნი მართლაც უფრო ჰიგიენას ეხება ვიდრე ზნეობას და თუ რომელიმე მშობელი ფიქრობს, რომ თუ მის წამოჩიტულ მემკვიდრესა და გვარის გამგრძელებელს აუხსნიან, რომ სასქესო ორგანოები მარტო გოგონებმა კი არა, ბიჭებმაც რეგულარულად უნდა იბანონ, ეს დამღუპველ გავლენას მოახდენს ყმაწვილის ღირსებასა და ზნეობაზე, მე, როგორც იტყვიან, ხელები ამიწევია.

სტატიაში ვკითხულობთ: "აქციის მონაწილეები საუბრობდნენ ტრადიციულ ქართულ აღზრდაზე, რომელსაც ოდითგან ოჯახი და ეკლესია უზრუნველყოფდა". მეტად ნიშანდობლივი რიტორიკაა, რომელიც სარკესავით ირეკლავს ჩვენი საზოგადოების სულიერ მდგომარეობას. ეს მდგომარეობაც დიდი ხანია ცნობილია — სოციოლოგები მას სტრუქტურულ ამნეზიას უწოდებენ. ანუ როცა საზოგადოებრივი ცვლილებები თვით საზოგადოების წევრთა ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება. ზემოთ მოყვანილ ციტატში გამოყენებულია ორი აბსტრაქტული, ყოველგვარი რეალური შინაარსისგან დაცლილი, დროით და სივრცით არსებობას მოკლებული ცნება — "ოჯახი" და "ეკლესია". ეს ბოლო წინადადება ერთობ მკვეთრად ჟღერს? საქმე გაცილებით მარტივადაა: ამ სანუკვარ ცნებებს ვერანაირ კონკრეტულ განფენილობასა და სიმკვრივეს ვერ მივანიჭებთ, თუ მხედველობიდან გამოგვრჩება, მაგალითად, იოანე ბატონიშვილის "კალმასობა", დავით გურამიშვილის "რძალ-დედამთილიანი" და "მხიარული ზაფხული", XVIII საუკუნის მაღალი სტილის ქართული ეროტიული პოეზია, ჩვენი ეროვნული ფოლკლორი... ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზნეობრივი სიდუხჭირის სულისკვეთება, რომელსაც აქციის მონაწილენი იცავდნენ, კონტრრეფორმაციის დროს შეკოწიწდა XVI საუკუნის ევროპაში, მერე უკრაინის სემინარიებში გადავიდა, რუსეთში შეაღწია და ადგილობრივ მენტალობას შეესისხლხორცა. ყველა ნაბიჯზე რაღაცას კარგავდა და რაღაცას იძენდა. საკითხავი კი სხვა რამეა: გვჭირდება კი ამ უცნაური მუტანტის კულტივირება სამამულო ნიადაგზე?

ბოლოსდაბოლოს, თვით სექსუალური რეპრესიების სამშობლოშიც ვერ აუარეს გვერდი შესაბამისი ლიტერატურის აუცილებლობას: არსებობს პაპის ბულა, რომლის თანახმად, სქესობრივი აქტის ერთადერთი ზნეობრივად დასაშვები ფორმა ისაა, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ გამოსახა თავისი "ანატომიის" ფურცლებზე. ჩვენ თუ პაპზე მეტი კათოლიკეები ვიყავით, ეს არ ვიცოდი. მე უფრო კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ათენაგორას სიტყვები მომწონს: "მღვდელს არაფერი ესაქმება სხვის საქორწინო სარეცელზე".

ჩვენი ყოფიერების აუტანელმა სიმსუბუქემ გარდასულ დღეთა ფერფლის ფარფატა ფთილებად აქცია "ოჯახი" და "ეკლესია". შედეგად კი რა მივიღეთ? აი, ფოტოზე გამოსახული აქციის მონაწილე ბიჭი, რომელსაც ობიექტივისთვის ზურგი შეუქცევია და ხალხს გაჰყურებს, მაგრამ ხალხიც, თავის მხრივ, ზურგს აქცევს მას. აი ასე უბრად დგანან, ერთმანეთისგან გაუცხოებული ადამიანები, უნივერსიტეტის ღობეზე კი ლოზუნგი ჰკიდია, კომუნისტური შაბათობებისა და შუასაუკუნეობრივი აუტოდაფეების შემთხვევითი კავშირის ნაყოფი — "ყველანი ზნეობის დასაცავად!". რას იზამ, ნაყოფიერია ჩვენი ეროვნული ნიადაგი და აუტანლად მსუბუქი.

დაე, მსუბუქი იყოს იგი ყველასათვის, ვისაც ეს სჭირდება! სწორედ ამგვარი აზრი დამებადა, როცა ამ რამდენიმე დღის წინ რაღაც პირად საქმეზე ცხოვრებაში პირველად მომიხდა კინოსტუდია "ქართული ფილმის" ტერიტორიაზე გავლა. ბიბლიური გამოთქმა გამახსენდა ერთი — "საძაგელ იგი მოოხრებისაი". და ყოველივე ამის გვერდით ახალთახალი გაწკრიალებული ეკლესია... დანარჩენი მოგონებაა, ხსოვნა. აი, გოგი გვახარიამაც ხსოვნას, მარინე თბილელის ხსოვნას მიუძღვნა 25 ოქტომბრის თავისი სტატია — *მსახიობი, რომელიც თავის თავს არ თამაშობდა*. ოღონდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმები: "და მაინც, ქართული კინო, ცოტა არ იყოს, უსამართლოდ მოექცა მსახიობს, როცა, ძირითადად, მეშჩანი, ფილისტერი ქალბატონის სახე "აიჩემა" და აიძულა მარინე თბილელი ერთი და იგივე გმირი განესახიერებინა, თანაც, მხატვრული თვალსაზრისით, არცთუ ისე კარგ ფილმებში". უსამართლობა, ჩემო გოგი, ბოროტების კატეგორიაა, ბოროტება კი, თუმც მე დუალისტი არა ვარ, ქვეყნიერების ორი ძირითადი მხარიდან ერთ-ერთია. განა დასაჯერებელია, რომ აქ უსამართლობა იყო? განა დასაჯერებელია, რომ ვინმეს, ვისაც კი ამ საკითხების გადაწყვეტა შეეძლო, ამდენი ეფიქრა? ეს ხომ თავისთავად მოხდებოდა, უზრუნველად და დაუფიქრებლად ჩვენი თანდაყოლილი სიმსუბუქისა და ზედაპირულობის წყალობითა და კურთხევით. საოცარია, გოგი, რომ შენი შეფასება — "მხატვრული თვალსაზრისით, არცთუ ისე კარგი ფილმები" — ამ ფილმებს დაუმსახურებელ აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს. სამწუხაროა, რომ მსახიობის არა მხოლოდ ნიჭი, არამედ მთელი ცხოვრება შეეწირა ბოროტებასა და უსამართლობასთან ბრძოლას თუ მათთან შეგნებულ თანაარსებობას კი არა — ჩვენი ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს, იმას რომ ერთად შეყრილი სიბრიყვე და კეთილგანწყობა ყოველგვარ ბოროტ ნებაზე უფრო მალე ანგრევს ყოველივე ღირებულს და ყველას იმგვარ გრძნობას უტოვებს, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო.

ჩვენ მძინარე ქალებს არ ვესვრით საფეთქელში — ჯერ-ჯერობით ამით ვინუგეშოთ თავი. მომავალ შეხვედრამდე!

ლადო ბურდულის სვეტი

# მაგალითისთვის: ქართული შოუ-ბიზნესი



(გაგრძელება)

თბილისის ქუჩებში თუ მის შემოგარენში მგზავრობის დროს უნებლიედ გიჩნდებათ ერთი უბრალო კითხვა - რატომ და ვისთვის არის აშენებული ან შენდება ქვეყანაში ამდენი სახინკლე და სახაშე, სალობიე და სახაჭაპურე; ისეთი შესაშური მონდომებით და ერთსულოვნებით, თითქოს მხოლოდ ეს იყოს საჭირო ბედნიერებისთვის და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისთვის. ნუთუ მართლა ამდენი ღორმუცელუკა ცხოვრობს ამ პაწაწინა და საყვარელ ქვეყანაში, და რატომ არის გადაკეთებული ყველა სპორტული, სათამაშო მოედანი, ეზო, ბაღი, კულტურის და დასვენების პარკი და ა.შ. გარაჟებად, კვებ-პუნქტებად და სხვა ობიექტების სამშენებლო ტერიტორიებად; საინტერესოა, რატომ ზრუნავდნენ მათ არსებობაზე "წითელი ეშმაკუნები" (საბჭოელები), ხოლო სამშობლოსთვის მებრძოლი, პატრიოტი, დამოუკიდებელი ქვეყნის შვილები კი პირიქით, არამც თუ აშენებენ, არამედ იმ ძველსაც არ უტოვებენ მომავალ თაობებს ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად?!

ან თუნდაც რატომ არცერთი დემოკრატიული კლუბი არ არსებობს, სადაც ახალგაზრდების ელემენტარული მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული და სადაც ახალგაზრდა შესძლებს თანატოლების შემოქმედების გაცნობას, ანუ უფრო სხვა რაღაცის აღებას, ვიდრე ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე რესტორანის მენიუებშია განთავსებული; ახალგაზრდული დემოკრატიული კლუბები, რომლებიც გამოაცოცხლებდნენ და სიცოცხლით აავსებდნენ ჩვენს მოწყენილ ქალაქს თუ ქვეყანას.

თავისუფალ ახალგაზრდულ მოძრაობას წლების მანძილზე ენერგიულად, უკანდაუხევად და მიზანმიმართულად ებრძვის ქართული პოლიტიკა, თუ ქუჩის აკადემიის რექტორ-მასწავლებლობა და ცდილობს ან სათავეშივე მოკვეთოს, ანუ გახადოს კრიმინალი ან ძალოვანი ე.ი პოლიტიკურად მართვადი, ან აიძულოს ემიგრაცია ქვეყნიდან.

არცერთი დემოკრატიული კლუბი არ აშენებულა და გახსნილა ქვეყანაში მისი დამოუკიდებლობის მანძილზე თავისუფალი შემოქმედებისთვის, თუ არ ჩავთვლით დროებით სიამოვნებებს "აურასა" და UR-ში, რაც თუნდაც, იმ ავად სახსენებელი საბჭოთა საქართველოს დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰქონდა ყველა საწარმოოს თუ დაწესებულებას კლუბების სახით, თავისი აპარატურით და განათებით. უფრო მეტიც, 70-იან წლებში სპეციალურად ახალგაზრდობისთვის ბორის ძნელაძის სახელობის ქალაქი აშენდა, რომელიც სამშობლოსათვის მებრძოლმა პატრიოტმა დამოუკიდებელი ქვეყნის შვილებმა არამც თუ ააშენეს ახალი, არამედ ის ძველიც დაანგრიეს და აქციეს პირად საკუთრებად ან გადააკეთეს მათ მენტალიტეტთან უფრი ახლოს მყოფ შ.პ.ს.-ებად. რა იყო და არის როკ-ნ-როლის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრების მიზეზი მისი ოდნავ პოპულარიზაციის შემთხვევაშიც კი?

მოდით გავიხსენოთ ერთი ასეთი მაგალითი:

გასული საუკუნის 90-იანებში, აქტიურობდა ყოფილი "კვნ-შიკთა" ტუსოვკა ერთ ერთი რიგითი FM რადიოს პროდიუსერის მეთაურობით, რომელსაც რადიოს გარდა ხელთ ეპყრა წამყვანი ჟურნალ-გაზეთები და საზოგადოებრივი აზრის მართვის სადავეები. მაშინ ჩემთვის გაუგებარი და რთული მისახვედრი იყო ამ უცნობი ახალგაზრდა ყმაწვილის ასეთი აგრესიისა და როკ-მუსიკის დაუზარებლად ლანძღვა-გინების მიზეზი (ქართველი ავტორების და რა თქმა უნდა, თქვენი მონა მორჩილის ჩათვლითაც).

ანალოგიურად სულ მიჩნდებოდა რამდენიმე კითხვა:

1.რატომ იყო მისი ტენდენციური აზრი და შეხედულება ყველა სხვა დანარჩენი მოქალაქის აზრზე უფრო ხმამაღალი და მნიშვნელოვანი?

2.საიდან და ვისი დახმარებით ჰქონდა მინიჭებული მას ამხელა ძალაუფლება საზოგადოებრივი აზრის მართვაზე ?

3. რა მაგიას ფლობდა ისეთს, რომ ამხელა გავლენა და ძალაუფლება ასეთ პატარა ასაკში გაუჩნდა, როცა მის ტოლ "კვნ-შიკებს" იმ დროს წარმოდგენა არც კი ჰქონდათ, როგორ გამოიყურებოდა ახალი ქართული, ვთქვათ, 10 ლარის კუპიურა.

და მხოლოდ დრომ ისევ ამ ბრძენმა დრომ მოფინა ნათელი ყველაფერს; ოოო არა... აქაც პოლიტიკური შეკვეთა..?! დიახ, რა თქმა უნდა.

შეიქმნა ჯგუფების და მიმართულებების ახალი იდეოლოგია, რომელიც ერთის მხრივ "ყმაწვილთა ვოკალური კვარტეტები" იყო, მეორეს მხრივ კი "ფანერშიკები", "პოპსავიკები", "ვარსკვლავები", ანუ მუსიკოსთა გარეშე დაკრული მუსიკის შემსრულებლები და მოყვარულები. მათი მეშვეობით პოლიტიკამ ახალგაზრდობაზე ზეგავლენა მოიპოვა, მიიყვანა ის საარჩევნო ყუთებთან და გახადა ის კონტროლირებადი: **გი-ხა-რო-დენ, გი-ხა-რო-დენ, გიხაროდენ და ა. შ.**

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, როცა აპოლიტიკურ და უმართავ, იმ დროს პოპულარულ როკ-ენ-როლს მის ხელთ არსებული მასმედიის საშუალებით, ყველანაირი წესების გარეშე ახალგაზრდობის თვალში დისკრიმინაციას გაუკეთებდა იმ ცბიერი მექანიზმებით, რაც ასე ნაცნობია პოლიტიკური თამაშებისთვის. ხოლო იმიჯმეიკერის, ანუ სასურველი ნაგავის ლამაზ ცელოფანში ჩადების და მისი ოსტატურად მაღალ ფასებში გაყიდვის, ხოლო არასასურველი ბრილიანტის ყველანაირი დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით საზოგადოებისთვის ნაგვად წარმოჩენის და მისი ძირფესვიანად მოთხრის მცდელობის ნიჭი, ჩვენს ნაცნობ ყმაწვილს კი ჯერ კიდევ იმ ადრეულ ასაკში აღმოაჩნდა.

მაგალითად, ბევრს ახსოვს იმდროინდელი პრესა, რომელიც დაუზარებელი იყო ყველანაირი ესთეტური ნორმების დაცვის გარეშე როკ-მუსიკის ლანძღვა-დაპირისპირებაში საზოგადოებისთვის ყველაზე სათუთ და მტკივნეულ ღირებულებებთან, როგორიც არის რელიგია და ტრადიცია. ანუ, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ შესრულებული სიმღერები მაგალითად, "შენ რა სექსი ხარ" რელიგიურ- პატრიოტული წარმომავლობის და მიმართულების ყოფილა, ხოლო "ამ ქალაქში დღეს მეფობენ მგლები" - არარელიგიური და ანტისახელმწიფობრივი შინაარსის???!!!

ტრაგედია ასეთი.....ტუუუუუუუ ყმაწვილების არსებობა კი არ არის ქვეყანაში, არამედ ტრაგედია ის ნიადაგია, რომელიც ხელს უწყობს მათ ნაყოფიერ მოსავალს.

და რა რთული იყო იმ დროს ამ "ფანტომასის" დანახვა თავისი შემსრულებლებით და დამკვეთებით და იმ აგრესიის მიზეზის პოვნა, რომელიც ეხებოდა ყველაფერ გარეშეს დევიზით: "ვინც ჩვენთან არ არის ის ჩვენს წინააღმდეგია"

**P.S. მაგრამ ეს ყველაფერი უკან არის და ჩაბარდა ბობოქარ XX საუკუნეს. დღეს კი ჩვენს ფანჯრებში XXI საუკუნეა. მართალია გარდაქმნებით და ცვლილებებით ბევრს ვერ დაიტრაბახებს კვებ-პუნქტებში ჩაძირული ჩვენი პაწაწინა ქვეყანა, მაგრამ ერთი კი ნათლად სახეზეა: ჩემდა გასაკვირადაც კი, როკ-ენ-როლის ყოფილი დაუძინებელი მტერი - FM რადიოს რეპერტუარი შესაშურად და მისაბაძად როკ-ენ-როლური გახდა, რაც იმედს იძლევა: მგონი ჩვენთანაც გარდაქმნების და ცვლილებების დრო იწყება.**

**ჩვენ კი დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ფორმატს და ეხლა ხალხური სიბრძნის დროა და აი რას გვასწავლიან ძველი მამები:**

**"სამართალმა პური სჭამა, მტყუანმა კი.....ტუუუუუუუუ...ომჭამა"**

ელ-ფოსტა:ladoart@yahoo.com http://lado.art.ge

# მშვიდობა კამერული მუსიკის თანხლებით

## Apple Hill-ის მუსიკალური ინიციატივა საქართველოსაც გადმოწვდა

მადი სერებრიაკოვა

1992 წელს 4 მილიონზე მეტმა მაყურებელმა იხილა პიტერ როსინის ფილმი "ვუკრავთ მშვიდობისთვის". EMI-ს პრიზით აღნიშნული სურათი Apple Hill-ის კამერული ანსამბლის მიერ ეგვიპტის, ისრაელის, პალესტინისა და სირიის ცხელ წერტილებსა და კონფლიქტურ ზონებში მოწყობილი სამშვიდობო ტურნეს დრამატულ ისტორიას აღწერდა. ამერიკელ კამერულ შემსრულებელთა ჯგუფის სამშვიდობო ინიცაიტივა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კონცერტებისა და მასტერ-კლასების მოწყობას ითვალისწინებს. მათი აქციები ყველა ეროვნების, აღმსარებლობისა თუ პოლიტიკური მრწამსის მუსიკოსს აერთიანებს. Apple Hill-ის კამერული ანსამბლი ამჯერად საქართველოს ესტუმრა.

პანკისის მოვლენების შემდეგ, ევროპისა და ამერიკის მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრებას არ ურჩევენ და მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას იხსნიან. Apple Hill-ის მუსიკოსებმა კი დრამატულ მოვლენებს კონსერვატორიაში სტუდენტებთან აქტიური მუშაობითა და შესანიშნავი კონცერტით უპასუხეს: "მშვენიერი მუსიკა, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ და ვასწავლით მოწოდებულია, რომ დაპირისპირებულ ხალხებსა და კონფლიქტური კულტურების წარმომადგენლებს შორის მეგობრობა და მშვიდობა დაამყაროს" – აცხადებს ანსამბლის კონცერტმეისტერი ერიკ სტუმახერი.

Apple Hill-ის კამერული ანსამბლი გამორჩეული მუსიკოსებით არის დაკომპლექტებული. ყოველი მათგანი დიდი ტრადიციების მქონე Apple Hill-ის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა. თითოეულ მუსიკოსს ძალზედ შთამბეჭდავი მუსიკალური ბიოგრაფია აქვს. მევიოლინე ელის კუდერი ტანგელვუდის მუსიკალური ცენტრის კონცერტმეისტერი და Tate კვარტეტის პირველი ვიოლინოა. პრიმროუზის ალტის საერთაშორისო კონკურსის პრიზიორს, მაიკლ კელის ექსკლუზიური ჩანაწერი Environ Records–თან ერთად აქვს გაკეთებული. ამავდროულად, წარმატებით მუშაობს როგორც კომპოზიტორი. ჩელისტი რუპერტ თომპსონი საკონცერტო შესრულების გილდიის სოლო კარიერის სტიპენდიანტი და კრენის სკოლის თანამედროვე მუსიკის სოლო კონკურსის გამარჯვებულია. ამასთან ერთად, იგი სიმებიან ინსტრუმენტზე საუკეთესო შესრულებისათვის ტანგელვუდის მუსიკალური ცენტრის პრიზის მფლობელია. კონტრაბასისტ რიჩარდ ჰართსჰორნს ჩანაწერები Opus one–ისა და Centaur Records–თან ერთად აქვს გაკეთებული. Apple Hill-ის მუსიკოსებს შორის იგი ყველაზე ექსცენტრულიც გამოგდა. კონცერტზე წარმოდგენილი მისი ნაწარმოები თბილისელი მსმენელისათვის გულწრფელი მხიარულების წყაროდ იქცა.

პიანისტი ერიკ სტუმახერი კი Apple Hill-ის ორკესტრის დამფუძნებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი და აღმასრულებელი დირექტორია.

ამერიკულ ანსამბლს მოწვეული მუსიკოსიც ახლდა თან. სომხური წარმოშობის მოვსეს პოგოსიანი 1986 წელს მოსკოვში ჩაიკოვსკის კონკურსის გამარჯვებულია. მან თავად დაარსა ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალი პიტსბურგში, ხოლო საკონცერტო მოღვაწეობას Apple Hill-ის ანსამბლის გარდა, ამერიკის რამოდენიმე წამყვან კოლექტივთან ერთად ეწევა.



Apple Hill-ის კამერული ანსამბლი

ვერ გეტყვით, რამდენად შეუწყობს ხელს საქართველოში მშვიდობისა და მეგობრობის იდეალების დამკვიდრებას Apple Hill-ის ვიზიტი, მაგრამ ქართველი სტუდენტების პროფესიონალიზმზე იგი უთუოდ აისახება. კონსერვატორიაში მათ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მასტერ-კლასები მოაწყვეს. თითოეულ სტუდენტთან დეტალურად მუშაობდნენ ბგერის, შესრულების, ინტერპრეტაციის პრობლემებზე. საკუთარი თეორიების დამონსტრირება კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზე მოახდინეს.

ამერიკული კამერული მუსიკალური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლების კონცერტი კიდევ ერთ გაკვეთილად იქცა ქართველი მუსიკოსებისათვის. ძალზედ მეტყველი, ემოციური, საშემსრულებლო სტილის, უზადო ტექნიკისა და ბრწყინვალე ანსამბლის გარდა, მათ მსმენელთან კომუნიკაციის, თავისუფალი პერფონმანსის თვალსაზრისითაც მოხიბლეს თბილისელები. შუბერტისა და ბრამსის კვინტეტის ბრწყინვალე შესრულების გარდა, მათ ორი სოლო ნომერიც შეარულეს: ერიკ სტუმახერის ბაროკოს ტრადიციების სრული დაცვით შეასრულებული ბახის პრელუდიისა და ფუგის სრულ კონტრასტს წარმოადგენდა რიჩარდ ჰართსჰორნის საკუთარი ნაწარმოები "ყველაზე სევდიანი დღე". რა თქმა უნდა, ამერიკული იუმორით შეზავებული ეს ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსი შეიძლება მუსიკოსების ხუმრობადაც ჩავთვალოთ. კონტრაბასისტმა ქართულ ენაზე შეასრულა ზღაპარი დაკარგული კუს შესახებ; მონაყოლი საკუთარი ინსტრუმენტის პასაჟებით, პოპ-სიმღერებით და ბოლოს საკვარტეტო ფინალითაც გაამდიდრა.

# რეალობის ინტერპრეტატორი

## მარტინ პარი: "ფოტოგრაფია ერთდროულად რთული და მარტივი პროფესიაა"

*ბრიტანელი ფოტოხელოვანის, მარტინ პარის ფოტოები პირველად სამი წლის წინათ თბილისში, სააგენტო "მაგნუმის" წევრების ნამუშევართა შორის ნახა ქართველმა დამთვალიერებელმა. მეორედ ამ დიდი ხელოვანის ფოტოებს "ქარვასლამ" წელს, გაზაფხულზე უმასპინძლა (პროექტი ბრიტანეთის საბჭომ დააფინანსა). ამჯერად, თავად მარტინ პარი ჩამოვიდა თბილისში და ქართველი კოლეგებისთვის ვორქშოპი მოაწყო.*

ვერა ნეფარიძე

ქართული საზოგადოებისთვის მარტინ პარის შემოქმედებისა და პიროვნების გაცნობა თბილისის ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიურმა ინსტიტუტმა და კულტურის განვითარების კავკასიურმა ცენტრმა ითავეს. "ეს ადამიანი ნამდვილად დიდი ფოტოგრაფია. მნიშვნელოვანი რამ აქვს შექმნილი ფოტოგრაფიაში. ყოველთვის ახალს აკეთებს, ნოვატორია და ძალიან უბრალოა. ისეთ ყოველდღიურობას იღებს, რასაც სხვები საერთოდ არ უთმობენ დროს", - გვითხრა ვორქშოპების ორგანიზატორმა, ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ფოტოგრაფმა ვატო წერეთელმა. ვორქშოპი სახელმწიფო მუზეუმში ("ქარვასლა") გაიმართა, ხოლო ცნობილი ფოტოგრაფის გამოცდილებას ინსტიტუტის სტუდენტებთან, ახალგაზრდა ფოტოგრაფებთან ერთად, მათი გამოცდილი ქართველი კოლეგებიც ეცნობოდნენ.

"ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში. გუშინდელ შეხვედრამდე, არ მქონია ქართველ ფოტოგრაფებთან კონტაქტი და არც არანაირი წარმოდგენა ქართულ ფოტოგრაფიაზე", - გულწრფელად მითხრა ფოტოგრაფიის ბრიტანელმა მეტრმა. სამაგიეროდ, ქართველი კოლეგები იცნობენ კარგად მარტინ პარის შემოქმედებას. "ეს კაცი რომ აქ ჩამოვიდა, ისტორიული მომენტია ჩვენთვის. ვუთხარი კიდეც, იმდენად ვიცნობ თქვენს ნამუშევრებს და იმდენად მნიშვნელოვანია ისინი ჩემთვის, ვერც კი ვახდენ მათ იდენტიფიკაციას თქვენთან-მეთქი", - მეუბნება ვატო წერეთელი. ქართველი ფოტოგრაფის სიტყვები ვინმეს შესაძლოა, გადაჭარბებულიც ეგონოს, მაგრამ არა იმას, ვინც მარტინ პარის შემოქმედებას ასე თუ ისე მაინც იცნობს.

მარტინ პარი ორმოცდაათი წლის წინათ ეპსონში (დიდი ბრიტანეთი) დაიბადა; ბავშვობაში, ბაბუის ნაჩუქარი "ლეიკის" ფირმის აპარატი აიღო ხელში, ხოლო, მოგვიანებით, გადაწყვიტა, საყმაწვილო გართობა ამ საქმიანობის პროფესიონალური შესწავლით შეეცვალა. ამ გადაწყვეტილებით მომავალმა ფოტოგრაფმა მანჩესტერის პოლიტექნიკურ სასწავლებელში ჩააბარა. მას შემდეგ, რაც ადრეულ ასაკშივე, ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოსგან სამჯერ დაჯილდოვდა, მარტინ პარი ბრიტანეთის საზღვრებს გარეთაც აღიარეს. მისი ნამუშევრები, რომელიც ფოტოგრაფიაში პროვოკაციულ სტილის ნიმუშებად აღიქვეს, დიდი განსჯის საგანი იყო. პარი წლების განმავლობაში ძალიან ბევრს მუშაობდა, დიდ სააგენტოებში გაწევრიანებაზე კი უარს ამბობდა, იმ მიზეზით, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვა არ სურდა. თუმცა, 1994 წელს არ ამბობს უარს, იყოს პრესტიჟული სააგენტო "მაგნუმის" წევრი. დღეს პარი ირწმუნება, რომ სააგენტოს წევრობა მის თავისუფლებას არანაირად ზღუდავს. პირიქით, "მაგნუმი" ბევრად ეხმარება მუშაობაში, თუნდაც ის რად ღირს, რომ მისი ნამუშევრების გავრცელებაზე სააგენტო მუშაობს და ამ სააგენტოს წევრობა მას ზედმეტი ტვირთისგან ათავისუფლებს.



მარტინ პარი

"მაგნუმის" წყალობით მარტინ პარის ფოტოებს კარგად იცნობენ მთელ მსოფლიოში. ფოტოგრაფი ნამუშევრებში ძალიან დიდ ადგილს უთმობს ეკოლოგიურად დაბინძურებული სამყაროს ასახვას, რასაც თან ერთვის ავტორის ძალიან ბრიტანული იუმორი. ეს ყველაფერი ფოტოგრაფისთვის მხოლოდ გაზვიადებული რეალობაა და ამბობს: "მე ვაზვიადებ რეალობას". ბრიტანელი ფოტოგრაფის ხელოვნებას დასავლეთში ბევრგან შეიძლება წააწყდეთ. პარი ამზადებს პროგრამებს "ბი-ბი-სი"-თვის; არის Pet Shop Boys-ის (გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ ამ ჯგუფს ჩვენთანაც იცნობენ) ერთ-ერთი კლიპის (სიმღერის სახელწოდებაა "ლონდონი") ავტორი; მისი ფოტოების ნახვა შეგიძლიათ სხვადასხვა მოდის ჟურნალების გარეკანებზე და ა.შ.

"ფოტოგრაფია ერთდროულად რთული და მარტივი პროფესიაა; ჩემი სამუშაო წლების განმავლობაში ვითარდება; ეს არის მზარდი, განვითარებადი პროცესი. მითია, ადამიანის მიერ აღებული, რომელსაც ბოლო არ აქვს", - ასე ახასიათებდა ფოტოგრაფიას მარტინ პარი ქართველი კოლეგებისთვის გამართულ ვორქშოპზე. როგორც ვატო წერეთელმა გაგვიმხილა, მათი ცენტრი, ინსტიტუტთან ერთად, აპირებს მარტინ პარის ბოლო დროის ნამუშევრების გამოფენის მოწყობას. მანამდე კი, პარის ეს ფოტოშედევრები ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ ნახოთ - ფოტოგრაფმა ალბომი ინსტიტუტს თავად უსახსოვრა.

# ვარსკვლავის ამპლუაში დაბრუნება

## რუსეთში სახელმოხვეჭილი ნუცა "სარაჯიშვილში" სამშობლოს უმღერებს

*22-23 წლის გოგონამ, რომელიც საკუთარი სახლის ფანჯრებიდან უყურებდა ომს და ბავშვობიდან, უბრალოდ, ოცნებობდა სცენაზე, გადაწყვიტა რუსეთში წასულიყო. **Я ухожу для того, чтобы возвращаться**, - ასე ხსნის თავის ცხრა წლის წინანდელ გადაწყვეტილებას რუსული შოუ-ბიზნესის უკვე აღიარებული ვარსკვლავი. ნუცა შანშიაშვილი თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვიდა. მომღერალი რესტორან "სარაჯიშვილში" პირველად შეასრულებს სიმღერას საქართველოზე, რომელიც ახლახან ამერიკაში დაწერა.*

ვერა ნეფარიძე

"ნუცა რუსეთში მაშინ ჩამოვიდა, როდესაც საქართველოში, მის სამშობლოში, ტყვიამფრქვევები ხმაურობდნენ და მუზები დუმდნენ. ნუცას კი სიმღერა უნდოდა, ეტყობა, ბებიამ დააავადა, რომელსაც ოდესღაც კეთილშობილ ქალთა სემინარიაში უსწავლია და შვილიშვილის თქმით, "საოცრად უბრალოდ" მღეროდა", - წერენ რუსულ პრესაში ნუცას შესახებ. იმასაც წერენ, რომ მომღერლის ხიბლის საიდუმლოს, ვოკალური და დრამატურგიული შესაძლებლობების გარდა, მისი მდიდრული სასცენო მორთულობაც წარმოადგენს. ამაში იხარჯება ნუცას, თითქმის, მთელი შემოსავალი. მოკლედ, ქართველ მომღერალს რუსეთში კარგად იცნობენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე უკეთ მაინც. რამდენადაც მორთულ-მოკაზმულია სცენაზე ნუცა, იმდენად ბუნებრივია მის მიღმა; ასეთივეა საუბარშიც და ზოგადად, ურთიერთობებშიც. "ვარსკვლავი" ჩამოსვლის პირველივე დილას ჯერ "დილის კურიერს", რამდენიმე წუთში კი გაზეთ "24 საათს", უყოყმანოდ დასთანხმდა ინტერვიუზე.

"არანორმალურად შრომისმოყვარე ვარ, მართლა ძალიან ბევრს ვმუშაობ და თავისუფალი დრო, თითქმის, არ მაქვს. მიყვარს ჩემი საქმე, ამიტომ არ ვიშურებ არც ენერგიას და არც სიტყვებს იმისთვის, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობას უკავშირდება", - ამბობს ნუცა. ძნელია, მის სიტყვებში დაეჭვდე - მიზანდასახულობისა და შრომიმოყვარეობის გარეშე ხომ, ბავშვობის ოცნებების ასრულებას ვერ შეძლებდა. მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ 22-23 წლის გოგონასათვის არცთუ ისე იოლი უნდა იყოს უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოში (მანამდე ნუცა სერიოზულ სცენაზე არც გამოსულა) დამკვიდრება.

თავიდან მეგობართან დაიწყო მუშაობა მუნიციპალურ თეატრში. თეატრს ღამის კლუბი ჰქონდა, სადაც, პერიოდულად, მოსკოვის ელიტური საზოგადოება იკრიბებოდა. მომღერალი და მსახიობი, სწორედ, აქ ეცნობოდა რუსეთის შოუ-ბიზნესსა და მის წარმომადგენლებს. 1995 წელს დააჯილდოვეს ახალგაზრდა შემსრულებელთა კონსკურსზე "იალტა – მოსკოვი, ტრანზიტი", საიდანაც ნუცას ვოკალური კარიერა იწყება; რუსეთში საკმაოდ გავლენიანი და ცნობილი ბორის მოისეევის შოუში მონაწილეობით ნუცამ, როგორც სოლისტმა, მსოფლიო მოიარა; შემდეგ იყო გასტროლები ამერიკაში, ბროდვეიზე, Beggan Theatre-ში - კვლავ მოისეევთან და ნიკოლოზ ტრუბაჩთან ერთად. კონცერტი ფრენკ სინატრას დასაფლავების დღეს დაემთხვა, სწორედ იმ დღეს იმღერა ნუცამ ცნობილი "ნიუ იორკი, ნიუ იორკი", რასაც დარბაზის აღფრთოვანებული ოვაციები მოჰყვა. ალა პუგაჩოვას კლუბში ნუცას ვოკალი ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს; ალა ბორისოვნამ მას საკუთარი სიმღერა, "აისბერგიც" აჩუქა. სულ მალე ნუცას ერთი მნიშვნელოვანი ოცნება აუსრულდება - დრამატული და ვოკალურ-მუსიკალური შესაძლებლობების ერთდროულად გამომჟღავნების საშუალება მიეცემა. 1999 წელს მომღერალი, პროექტ Черта-ში მონაწილეობის გამო, პარტნიორებთან ერთად, თეატრალური პრემიით - Чайка-თი დააჯილდოვეს. ამჟამად ნუცა სოლო კონცერტებს მართავს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში.

განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ნუცას რომან ვიკტიუკის დადგმამ, "ედიტ პიაფმა". მას შემდეგ დაუსრულებლად ავლებენ პარალელს ამ ორ შემსრულებელს შორის. როგორც ნუცამ გვითხრა, დათო ოქიტაშვილთან ერთად, იგი აპირებს, ეს მიუზიკლი ქართველ მაყურებელსაც აჩვენოს. გაისადვე იგეგმება ნუცასა და ელენა ობრაზცოვას ჯაზ-კონცერტი; ამ პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს ცნობილ ჯაზმენთან, ბრენტონ მარსალისთან.

ახლა ნუცა თბილისში მეგობრების მოწვევით ჩამოვიდა. "მაქვს არაჩვეულებრივი ახალი სიმღერა საქართველოზე, რომელიც ახლახან დაიწერა ნიუ იორკში; ჩემი აზრით, ის პირველად თბილისში უნდა შესრულდეს. თითქოს, ცრუმორწმუნე ვარ, მჯერა, მაგალითად - თუკი ამ სიმღერას პირველად აქ, მითუმეტეს, "თბილისობის" დღესასწაულზე, ვიმღერებ, ნამუშევარს კარგი მომავალი ექნება", - დარწმუნებულია მომღერალი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ ბიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წაიყვანდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგილწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ეკა გოცირიძე ქართული მოდის სამყაროს დაუბრუნდა

## თბილისელი დიზაინერის თექის პალტოებით ლონდონის პრესტიჟული მაღაზიების მფლობელი დაინტერესდა

ვერა ნეფარიძე

**თითქმის ერთი წელიწადია, ათწლიანი ემიგრაციის შემდეგ, ეკა გოცირიძე თბილისშია. დიზაინერის სამშობლოში და პროფესიულ საქმიანობაში დაბრუნება არც ფართო საზოგადოებისთვის დარჩა შეუმჩნეველი. შარშანვე მისმა ნამუშევრებმა ბელგიაში გამართულ გამოფენაზე მიიქცია ყუ-**



*ეკა გოცირიძის პალტოები*

**რადღება; წელს კი დიზაინერის ორიგინალური, თექისგან შეკერილი პალტოებით ლონდონის პრესტიჟული მაღაზიების მფლობელი დაინტერესდა. ინგლისში გაგზავნამდე ეკამ ეს ნამუშევრები ახლობელ-მეგობრებს "ტაგის არტ-გალერეაში" გააცნო.**

ოქტომბრის შუა რიცხვებში "ტაგის არტ-გალერეაში" გამართული ფოტო-ჩვენება სწრაფად გახმაურდა ქალაქში. მიზეზი ერთადერთი იყო – ყველასთვის უჩვეულო, ლამაზი და ორიგინალური აღმოჩნდა ის ხუთი პალტო, რომელიც შეკრებილ საზოგადოებას სააგენტო "ნატალის" გოგონებმა წარუდგინეს. "ეს არ იყო წინასწარ დაგეგმილი ჩვენება. მქონდა ხუთი პალტო, შოუს ვერ გავაკეთებდი, საამისო თანხები არ გვქონდა, როგორც იტყვიან, ზურგი არ გვყოლია. უბრალოდ, ყველა ჩემს ახლობელს აინტერესებდა თუ რაზე ვმუშაობდი ამდენი ხნის განმავლობაში და წინა დღეს გადავწყვიტეთ, რამე სახე მიგვეცა ამ ყველაფრისთვის. ვიფიქრე, ბარემ ყველას ერთად ვაჩვენებ-მეთქი კოლექციას; ვინაიდან ნამუშევრები ინგლისში იგზავნებოდა, გადავწყვიტეთ ფოტოებზე მაინც შემოგვენახა მასალა", - ასე მარტივად გვიხსნის კოლექციის ავტორი ზედმეტი ორგანიზატორული სამზადისის გარეშე გამართული ჩვენებისა და ფოტო-გადაღების მიზეზს.

ეკა გოცირიძის თექისგან შეკერილმა პალტოებმა საზოგადოების ყურადღება ჯერ შარშან ბელგიაში მიიქცია, როდესაც ქალაქ ოსტენდეში ქართველ და ბელგიელ მხატვართა ნამუშევრების ერთობლივ გამოფენაზე დიზაინერმა რამდენიმე ნიმუში გააგზავნა. კოლექცია არ გაკეთებულა მხოლოდ უტილიტარული, პრაქტიკული მიზნით, ისინი საგანგებოდ გამოფენისთვის დამზადდა და ამიტომაც უფრო მეტად მხატვრული ღირებულება ჰქონდა. ამის შემდეგ, თბილისის "ტაგის არტ-გალერეის" მენეჯერს, ანი ლაღიძეს გაუჩნდა იდეა, შეეთავაზებინა თექისგან დამზადებული კოლექცია უცხოელი პარტნიორებისთვის. იდეით დაინტერესდა ბრიტანელი ქალბატონი, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ რაიონში, კენსინგტონში პრესტიჟული მაღაზიების ქსელის მფლობელია. ამ ქალბატონმა ქართველ დიზაინერს თექისგან დამზადებული ხუთი პალტო შეუკვეთა, მათ შორის ერთი – თავისთვის (სწორედ ეს ნამუშევრები იყო წარმოდგენილი "ტაგის არტ-გალერეაში").

ქართველმა დიზაინერმა ყველანაირად იზრუნა, ნამუშევრები დასავლური მოთხოვნილებების შესაბამისი გამოსულიყო, რაც ჩვენს პირობებში განსაკუთრებულ შრომასა და ძალისხმევას ითხოვს. ავტორი მთელ კოლექციას თავიდან ბოლომდე ხელით აკეთებს; "ფაქტობრივად, აბსტრაქცია არის გადატანილი ქსოვილში. ჩემთვის ძალიან დიდი შრომა იყო ჯერ ნახატის გაკეთება, შემდეგ კი მისი ქსოვილზე გადატანა. მუშაობას ვიწყებ ესკიზით, მხოლოდ ტანსაცმლის ესკიზს არ ვაკეთებ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არამედ თვითონ ქსოვილის ნახატსაც მე ვქმნი. ეს იდეა ჩემთვის ძალიან საინტერესოა, მინდოდა თვითონვე შემექმნა ქსოვილი და არ გამომეყენებინა ის, რაც იყიდება მაღაზიაში; სხვა მინდა რაღაც. საკუთარი მირჩევნია, უფრო მეტად მაინტერესებს. ასეთი მუშაობის საშუალება კი, თექამ მომცა. შემიძლია გამოვიყენო ფერადი მასალა და სადაც მინდა, ფერადი ლაქა იქნება თუ ორნამენტი, ჩემი სურვილისამებრ მოვათავსო", - ამბობს დიზაინერი. ვინაიდან თექა საკმაოდ თავისებური მასალაა, არ უყვარს გაჭრა, შეკერვისას "შეტეხვა", არის სქელი, ფაფუკი და ა.შ. მასზე მუშაობაც სპეციფიურია, მეტ დროსა და სიფრთხილეს მოითხოვს. სწორედ ამიტომაც ხუთი პალტოს შეკერვას სამი თვე დასჭირდა (ავტორმა ერთი პალტოს ქსოვილის დამზადებას მინიმუმ, სამი დღე მოანდომა). რთული სამუშაოს მიუხედავად, დიზაინერმა სასურველ ხარისხს მიაღწია, რისთვისაც იგი პირველ რიგში სააქციო საზოგადოება "მოდების" რესპუბლი-



*ეკა გოცირიძე (უპალტოოდ) თავის მოდელებთან*

კურ ცენტრს (დირექტორი გია მანაგაძე), თამრიკო გაბუნიას კოლექტივსა და პროფესიონალ კონსტრუქტორს, რობერტ აკოპოვს ემადლიერება. თავად ავტორს კი, თექაზე მუშაობისას გამოცდილი ოსტატი ეხმარებოდა. თექის გარდა, კოლექციაში დიზაინერმა ტყავიც გამოიყენა. საამისოდ მერინოსის ტყავი ირლანდიაში დამუშავდა, ხოლო მასალის ნაწილი ინგლისელმა ქალბატონმა გამოგზავნა. მისივე შეკვეთილი იყო კონკრეტული ფერები: ცისფერი, ვარდისფერი და თეთრი.

საბოლოოდ კოლექცია მართლაც ძალიან ლამაზი რომ გამოვიდა, ამას ყველა აღნიშნავს, ვინც კი გალერეაში გამართულ ჩვენებას დაესწრო. ბევრი მათგანისთვის (ეს უფრო პატარებისთვის) ეკა გოცირიძე ქართულ მოდაში აღმოჩენილი ახალი სახელია, მათთვის კი, ვისაც კარგად ახსოვს კლუბ "ახალგაზრდულში" გამართული საღამოები, ეკა უბრალოდ დაბრუნებული დიზაინერია. დამოუკიდებლობა ახლადმოპოვებულ სახელმწიფოში ახალი კულტურის, მოდის ჩვენებებს ხომ განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. მაშინ, როდესაც თითქმის აუთვისებელი იყო საქართველოში დიზაინი, ეკა დროებით (ეს დრო თითქმის ათი წელიწადი გაგრძელდა) კვიპროსზე გადავიდა საცხოვრებლად. სამშობლოში დაბრუნებულს კი მიაჩნია, რომ მისი არყოფნისას მოდაში ჩვენთან აშკარაა წინსვლა; ის რომ, გამოჩნდა ბევრი ახალგაზრდა, რომელთაც გარკვეული წარმატებებიც აქვთ, სწორედ ამაზე მიუთითებს. თუმცა, ვერ გაურბის რეალობასაც – ბევრი მისი მეგობარი, რომელთაც საკმაო ნიჭი ჰქონდათ თავის დროზე, დღეს ველარ მუშაობს და დიზაინისთვის საერთოდ თავიც დანებებული აქვთ. "ეს ისეთი სფეროა, სადაც მხოლოდ ნიჭი არაა საკმარისი, რომ რაღაც აკეთო. მუშაობისას სამაოდ ბევრი ფულია საჭირო, მუშაობა კი აუცილებელი პირობაა განვითარებისთვის", - თავად დიზაინერი ცდილობს განუწყვეტლივ იმუშაოს. იგი ახლაც ესკიზებს აკეთებს, თუ რისთვის, ამაზე საუბარს ჯერჯერობით თავს არიდებს. თუმცა, ამას არც ჩვენთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, რომ დიზაინერი დაუბრუნდა საკუთარ საქმეს საქართველოში.

# ღიმილნარევი სტუდენტური ესკიზები

*ყოველ ასაკს თავისი ხიბლი და განუმეორებელი ელფერი აქვს. ვთქვათ, მოწაფეობის ხანა. სკოლაში გატარებულ წლებს, ვფიქრობ, ვერაფერი შეედრება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს პერიოდი ახლოა ჩვენს საწყისსთან - ბავშვობასთან, ხოლო ყოველი ჩვენგანი, ფრანგი ეგზიუპერისა არ იყოს, ხომ ბავშვობიდან მოდის.*

*სტუდენტობა?*

*იმაზე უკეთ, ვიდრე ეს უკვდავმა ნოდარ დუმბაძემ ზურიკელა ვაშალომიძეს ათქმევინა, ვინმეს უთქვამს?*

*- "სტუდენტობა უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. თუ კაცი სტუდენტი არ ყოფილა, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს შავი პურის ქერქზე წასმული ნივრის გემოს, ტრამვაიში უბილეთოდ მგზავრობის ფასს, მოპარული ბილეთით მიღებული სამიანის სიტკბოს, აღდგენილი სტიპენდიით განცდილ სიხარულს..."*

*გადავწყვიტე ზოგი რამ გავიხსენო, მოგითხროთ, როგორც შევძლებ და რასაც შევძლებ, ვინძლო ამით თქვენც გაგახსენოთ და მცირე ხნით მაინც დაგაბრუნოთ სტუდენტურ ყოფაში, ამასთან მოგწყვიტოთ სიძნელეებით აღსავსე ყოველდღიურობას.*

*ვაცხადებ საჯაროდ: იქ, სადაც ჩემ თავს მოვიხსენიებ, არ იფიქროთ, რომ ვტრაბახობდე, სიტყვა რა არის, სიტყვაც არ არის მოგონილი, გაზვიადებული. ყველაფერი ალალია. სხვა თუ არა, ამა თუ იმ ეპიზოდის "გმირებმა" (და არა მარტო მათ) ხომ მაინც იციან, რომ ეს ყოველივე ასე იყო.*

*მაშ, ასე...*

გიორგი მახარაძე



*ვალერიან ვადაჭკორია, არჩილ მექანარიშვილი და გიორგი მახარაძე*

## სტუდენტი "თანამდებობის" რანგში

მახარაძის (ოზურგეთის) მტს-დან, ისევე როგორც საერთოდ ტრაქტორისტები, სატანკო ნაწილებში გაიწვიეს - ომი დაწყებული იყო. მეც და ჩემი თანატოლებიც მობილიზაციით ტრაქტორისტთა კურსებზე გამოგვიძახეს, რომლის დამთავრების შემდეგ სატრაქტორო ბრიგადაში გაგვამწესეს, რაიონში ცნობილი კაცის - შოთა ორაგველიძის ბრიგადის შესავსებად. ბრიგადირი პრაქტიკულად გვასწავლიდა და ხვნაზე გასულებს ნატანების თემის სოფელ ლეკიანში გვპატრონობდა კიდეც. მომდევნო წელს პოლიტგანყოფილების უფროსის, დიმიტრი ჯაშის გადაწყვეტილებით, მერხის მეგობართან აკაკი სკამკოჩაიშვილთან ერთად, ხონში გამაგზავნეს, მექანიზაციის ტექნიკუმში.

ამ დროისათვის ომში ძირეული გარდატეხა მომხდარი გახლდათ, წლის დასაწყისში წარმატებით დაგვირგვინდა სტალინგრადის ეპოპეა და საბჭოთა ჯარები მთელ ფრონტზე უტევდნენ, წინ მიიწევდნენ. ასეთი სასიკეთო ცვლილება ზურგსაც დაეტყო.

ზაფხულში, სათანადო ნებართვით, თბილისში წავედით და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, მექანიკურ ფაკულტეტზე, შევიტანეთ საბუთები.

... ჯგუფებში სტუდენტთა უჩვეულო სიმრავლე იყო. ჩვენთან, მექანიკური ფაკულტეტის მე-12 "ტ" ჯგუფში სტუდენტთა მანამდე გაუგონარი რიცხვი - 73, ხოლო პარალელურ მე-14 "ტ" ჯგუფში, კიდევ მეტი ირიცხებოდა. პირველკურსელები განთავსებული ვიყავით თბილისელი არქიტექტორის მიხაილ ნეპრინცევის პროექტით აგებულ თანამედროვე კორპუსში, რომელიც დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსია.

სასწავლო წლის პირველივე დღეს ჯგუფების მიხედვით მოეწყო სტუდენტთა საორგანიზაციო კრებები. ჩვენთან მობრძანდა მექანიკური ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ვასილ მაისუროვი, ქალაქელი კაცი, დინჯი, კარგი მოქართულე. შინაგანაწესის გაცნობის შემდეგ დაიწყო შეკითხვები. რამდენიმე საკითხი მეც წამოვჭერი. შეკრებილები თანდათან შეკითხვების მადაზე მოდიოდნენ. პროფესორმა ეს მაშინვე იგუმანა, პროცედურა შეწყვიტა და მოულოდნელად ჯგუფის მამასახლისის სტატუსი განმარტა. უფლებები კარგა გვარიანი ჰქონდა. ახლა არ ვიცი, მაგრამ მაშინ სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალიც მამასახლისებს ებარათ, ლექციებზე გამოცხადებას აღრიცხავდნენ და დღის ბოლოს სტამბური წესით დაბეჭდილ პატაკებს კორპუსის უფროსს (გვარად პერსიანოვს) აბარებდნენ. ინსტიტუტი, ცხადია, გასამხედროებულ რეჟიმზე ფუნქციონირებდა. კორპუსის "დირექციაში" პატაკის მონაცემებს აანალიზებდნენ და დასკვნები ომიანობის დროის მთელი სიმკაცრით გამოჰქონდათ...

- ორივე ჯგუფის მამასახლისი ახლა უნდა ავირჩიოთ - თქვა და ხელი ჩემკენ გამოიშვირა.

- აბრძანდით, ყმაწვილო.

გვარი მკითხა და გამოაცხადა: "მე-12 "ტ"-ს მამასახლისი იქნები, შეკითხვებზე აქტიურობდი და ვნახოთ, როგორ გაამართლებ. მე-14 "ტ"-ს მამასახლისად ვნიშნავ ნაომარ ახალგაზრდას ალექსანდრე შენგელიას".

ვერ გეტყვით, როგორ გავამართლე კორპუსის ადმინისტრაციის თვალში, სხვა საქმეა თანაჯგუფელებისთვის: ლექციებზე დასწრებას "ორიგინალური" მეთოდით (შეიძლება ამ "ცოდვის" გამხელა საშიში აღარ არის, სხვა თუ არა - ხანდაზმულია), ე.წ. ჯვარედინი წესით აღვრიცხავდი - დღეს ერთს ვუწერდი "არას", ხვალ - მეორეს, ზეგ კიდევ - სხვას და ა.შ. ამრიგად, არავის არ უგროვდებოდა იმდენი გაცდენა, სასტიკი ზომების მიღების აუცილებლობა რომ დამდგარიყო. სხვა ჯგუფებიდან ზოგიერთი სტუდენტი, სამწუხაროდ, სწორედ ლექციების გაცდენისათვის გარიცხეს.

ორიოდე სიტყვა სათაურში გამოტანილი "ისევ სტუდენტის" გამო: 1941 წელს ომის დაწყებამდე მოგვცეს სკოლის დამთავრების ატესტატი, ინსტიტუტში ჩავირიცხეთ, მაგრამ დედაქალაქში ჩამოსულებს ეკონომიურად გაგვიჭირდა. ამას დაერთო ოჯახური პრობლემებიც და წლის ბოლოს ატესტატიანად დავბრუნდით უკან.

## "ნაქები ჯგუფის ნაქები სტაროსტაო"

მხაზველობით გეომეტრიაში ლექციებს პროფესორი იოსებ კომპანიონი გვიკითხავდა, წარმოშობით (მხოლოდ წარმოშობით) ფრანგი, ხოლო არამარტო გარეგნობით, არამედ ქცევით, ტემპერამენტითა თუ იუმორით, ნაღდი საქართველოს მკვიდრი. ვერ ურიგდებოდა ახმაურებულ აუდიტორიას (თუმცა, ვინმე ურიგდება, რო!). როცა რომელიმე სტუდენტს ისევ შენიშნავდა წესრიგის დარღვევაში, მოგონილი სიბრაზით შესძახებდა:

- შენა, ჩემო ძმაო, მისამართი აგერია, ინსტიტუტში კი არა, ზოოპარკში უნდა შესულიყავიო.

ვინც გმირთა მოედნიდან ზემოთკენ მოდიოდა, ინსტიტუტის (კორპუსის) მხარეს, კორპუსთან მისვლამდე ხომ ზოოპარკთან უნდა ჩამოევლო!

ჩვევად ჰქონდა, ლექციას რომ ჩაამთავრებდა, რომელიმე ამოცანას გამოხაზავდა დაფაზე და აუდიტორიას მიუბრუნდებოდა:

- აბა, ვინ გამოვა.

იყო შემთხვევა, როცა არავინ იყო მსურველი. მაშინ კი აუცილებლად მომძებნიდა და არა სახელით ან გვარით, არამედ ასე მომმართავდა:

- ნაქები ჯგუფის ნაქები სტაროსტაო (ასე იცოდა: სტაროსტაო).

უნდა გენახათ მისი ანთებული თვალები, რომლებიც უფრო ელავდნენ, რაც უფრო სწრაფად ამოვხსნიდით ამოცანას.

ასე გამოკვეთილად დამამახსოვრდა ბატონი იოსები, გვარად კომპანიონი, ხასიათებით ჩვენებური, თბილისის ჭეშმარიტი კოლორიტი და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება.

## საწოლქვეშ... გაძლებაზე

1943 წელია.

სტუდენტთა საცხოვრისის საკითხი მუდამ სახლაფორთო საქმე იყო და რამდენადაც ვიცი, არც ახლა უნდა იყოს დიდი ხალვათობა. ეს პრობლემა იოლად მომიგვარა მერხის მეგობარმა აკაკიმ, რომელმაც "თავისი ინიციატივით" შემიკედლა ახლო ნათესავის, მილიციის პოდპოლკოვნიკის ჭოლა ხინთიბიძის მშენებარე ბინის (მრავალსართულიან სახლში) ერთადერთ "განყობილ" ოთახში, ზემელზე, გაბაშვილის ქუჩაზე. სწორედ აქ ვიკრიბებოდით კვირის ბოლოს ოზურგეთელი მეგობრები კოტე (შინაურულად კოსტა) ბოლქვაძის თავკაცობით. იგი ასაკის ჩვენზე უფროსი იყო და თან მეტად საინტერესო ახალგაზრდა გახლდათ - მომავალი მათემატიკოსი, მრავალმხრივად განათლებული, ენამოსწრებული, იუმორის უზადო ნიჭით. მისი იუმორისტულ-სატირული ლექსები ხშირად "ნიანგშიც" იბეჭდებოდა და საკონცერტო პროგრამებიდანაც გაისმოდა.

იმ დღესაც მოვიყარეთ თავი, შეგროვილი ფულით "ბაჩონკა" ლუდი ვიყიდეთ და კოსტას ველოდით. ამ დროს, სად იყო სად არა, ერთმა ახალგაზრდამ ამოგვძახა ქუჩიდან, რომელილაც საგანში წახმარება სჭირდებოდა. ეს არაფერი - სხვა დროისათვის გადავდებდით, მაგრამ იმას რა მოუხერხდებოდა, უსაშველო ლაპარაკი რომ უყვარდა, სიტყვის თქმა არც ერთს არ მოგვიწევდა. ჩვენს "ღონისძიებას" აშკარა დისონანსი ემუქრებოდა. ბიჭებმაც მოიფიქრეს: ამ "სეტკებიანი" საწოლის ქვეშ შეძვერი (რა არ მოუვა თავში სტუდენტს!), ვეტყვით, რომ შინ არ ხარ და დასატოვებელს დავიტოვებთ. რაღას ვიზამდი - მოფიქრების, მით უმეტეს ბჭობის დროც არ იყო. "ოპერაცია" საწოლის ოდნავ ჩაწეულმა ბადემ გაართულა.

ამასობაში ეს ფოთელი ახალგაზრდაც ამოვიდა, ამოსვლისთანავე მიკითხა, პასუხი სახელდახელო სცენარით შეაგებეს.

- საწყენია, ნათესავს გამოვეპარე, მაგრამ ნიჩევო - არსად არ მეჩქარება, დაველოდები.

- როგორც გინდა, ძამა, მარა თუ დაიჯერებ, ლოდინს აზრი არ აქვს, - მომესმა მასპინძლის ხმა.

- სანამდეც გავძლებ ვიქნები, აგერ თქვენთან ვიჭუკჭუკებ.

ამ დროს ჩვენი კოსტაც მოვიდა, სწრაფად გაერკვა ვითარებაში, რაღაცას მიხვდა და ჩამოჯდა... იმ საწოლზე (საწოლი, ცხადია, მეორეც იყო!), რომლის ქვეშაც თქვენი მონა-მორჩილი სუნთქვაშეკრული მოკუნტულიყო. სტუმარმა გრძელი ამბავი წამოიწყო, სულაც არ იყო სასაცილო (მით უმეტეს ჩემთვის!), მაგრამ კონსტანტინემ რაღაცა ჩაურთო და ერთიანად ახარხარდნენ (მოთმენა არ გინდა?), კოსტაც საწოლზე ხტუნავს, ვითომდა სიცილისაგან. როგორი გასაძლებია?

ბოლოს და ბოლოს დაუპატიჟებელი სტუმარი ლოდინისაგან დაიღალა, ხვალ ამა და ამ დროს მოვალო - დაიბარა და ბიჭებს გამოემშვიდობა.

დერეფნის კარი გამოკეტეს თუ არა, შემომძახეს - წავიდა, გამოდიო.

კეთილი, მაგრამ მქონდა კი საწოლქვეშიდან გამოსვლის თავი?

## სიმღერის დიდოსტატებთან

მეორე კურსელები ვიყავით, როცა კოტემ ანუ ჩვენმა კოსტამ, აბესალომს, როსტომს, და მე, ე.ი. შინაური ანსამბლის თითქმის სრულ შემადგენლობას (მიქელაიშვილი გვაკლდა) სიურპრიზი შემოგვთავაზა: შინსახკომის კლუბში, რომელიც ძერჟინსკის სახელს ატარებდა, სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლს აკომპლექტებენ და ბედმა თუ გაგვიღიმა, შვიდასგრამიანი პურის ტალონს გამოვკრავთ ხელსო. საყველპურო სიმღერები ვიცოდით და მისვლა გადავწყვიტეთ. წარმოიდგინეთ სამივე მიგვიღეს, თითონ კოსტა უკვე ჩარიცხული იყო. ჩაგვრიცხეს და მერე ვისთან? ანსამბლის ხელმძღვანელად მოწვეული გახლდათ კომპოზიტორი გრიგოლ კოკელაძე, დირიჟორად სოლომონ (ბიჭიკო) გველესიანი, საჩონგურო ნაწილის ხელმძღვანელად აკაკი (კაკი) ურუშაძე, ქორეოგრაფი კოლია გარუჩავა (თუ გახსოვთ, კინოფილმში "ნარინჯის ველი" წრეში ცეცხლოვან ცეკვას რომ ასრულებს). ანსამბლის წევრებიდან დღემდე შემორჩა მეხსიერებას ქეთევან ღოღობერიძე, ნათელა შენგელია, ქეთო ბაგრატიონი, მიმი თოფურია, სერგო ბაქრაძე, კოწო ამაშუკელი, სერგო დადივაძე, გოგი ხელაია (ისეთი ბანი ჰქონდა ამ ჩხირივით გამხდარ კაცს, ერთ ანსამბლს ეყოფოდა), მოცეკვავეებიდან ვახტანგ გუნაშვილი, რეზო ხონელიძე. თუ ყველა არა, მათი უმრავლესობა ხომ ომამდელი წლების ხალხური სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ ანსამბლებში გამოდიოდნენ, ხოლო ომისშემდგომ თავად ედგნენ ანსამბლებს სათავეში (ღოღობერიძე, შენგელია, ბაქრაძე), ხონელიძე სახელმწიფო ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი, გუნაშვილი ცეკვა "ქართულის" უბადლო შემსრულებელი. ერთი სიტყვით, საჭადრაკო ტერმინოლოგიით, ეს იყო დიდოსტატთა გუნდი პლუს ახალბედები ჩვენი სახით. ანსამბლი ფუნქციონირებას შეუდგა 1944 წლის შემოდგომაზე. რამდენიმე გამოსვლა-კონცერტიც მოეწყო და როცა დადგა რაიონებში გასვლის საკითხი, ჩვენ ანუ სტუდენტებმა ეს, ბუნებრივია, ველარ შევძელით...

## ეშაფოტისაკენ... სხვის მაგივრად

მეორე კურსზე მთავარ ადმინისტრაციულ კორპუსში გადაგვანაცვლეს, პლეხანოვზე. "ნეპრინცევის კორპუსი" კი ისევ პირველკურსელებს დაეთმო.

... ლექციების შემდეგ, ტალონზე აღებული კუთვნილი პურით, ბინისაკენ მივდიოდი. მახარაძელი მეგობარი შალვა მიქელაიშვილი შემხვდა. ნამეტნავად გაეხარდა, სწორედ შენი ნახვა მინდოდა, დიდი გაჭირვება გვაქვსო. თან თანამგზავრი გამაცნო. მხაზველობითი აქვს დარჩენილი, გეპეიში, გარიცხვით ემუქრებიანო. რით შემიძლია დაგეხმარო-მეთქი. იქნებ მის მაგივრად ჩააბარო და გარიცხვას გადაარჩინოო. ჰო, მაგრამ, ჩემო შალვა, მე რომ გამრიცხონ-მეთქი. ღმერთმა დაგიფაროს, ამას გაჭირვებული სამიანიც ყოფნის, უფრო მაღალი ნიშანიც არ გაგიჭირდება, მაგრამ სამიანზე მეტი არ შეიძლება, მაინც დაიღუპებაო.

შალიკომ ისე დამისურათხატა, ეს რომ გარიცხონ, მთელი ოჯახი დაიქცევა, ულარიბესად ცხოვრობენ, ამ ბიჭის იმედად არიანო - ჩემი პოზიციის შეუვალობას ბზარი გაუჩნდა.

ჩვენს საუბარს შალვას თანამგზავრი გალურჯებული უსმენდა, აშკარად ჩანდა, მისი ყოფნა-არყოფნა ჩემს გადაწყვეტილებაზე ეკიდა... ჩემი ფოტოსურათი მის მატრიკულში ჩავაკარით და გეპეისკენ გავწიეთ, ჩხეიძის ქუჩაზე. სამი განსაცდელი მელოდა: პირველი - გამოცდაზე თვით პროფესორ არჩილ გულისაშვილთან უნდა გავსულიყავი, მეორე - გამოცდაზე სხვის ნაცვლად პირველად გავდიოდი, მესამეც - მხოლოდდამხოლოდ სამიანი უნდა მიმეღო. ყოველმხრივ მძიმე სიტუაციაა, მაგრამ ისე დამთრგუნა თანატოლის გამომეტყველებამ, უარი ველარ მოვახერხე. ჩემი კუთვნილი ოთხასი გრამი პური შალიკოს მივაჩეჩე და გაბედულად ავიღე კურსი თვალდანახული ეშაფოტისაკენ.

პროფესორი არჩილ გულისაშვილი, კათედრის გამგე, მხაზველობითი გეომეტრიის სწავლების ფუძემდებელი ჩვენთან. გაგონილი მქონდა მისი სიმკაცრის ამბავი, პრაქტიკულად არ გამომეცადა. პროფესორთან სამი თუ ოთხი სტუდენტი შევედით ერთდროულად. მატრიკულები ჩამოგვართვეს, პროფესორმა დავალებები ჩამოგვირიგა. კითხვაც და ამოცანაც წუთიერი საკითხია, მაგრამ "სამიანის" კომპლექსი კარგად უნდა გავთვალო.

- ნიშანს ვერ დაგიწერ, უნდა მოემზადო.

თავში ამივარდა, გაიღვიძა სტუდენტურმა თავმოყვარეობამ, "სხვისმაგივრობა" გადამავიწყდა და კატეგორიული თხოვნით მივმართე პროფესორს, კიდევ ეკითხა. გაკვირვებულმა შემომხედა, თან ცნობისმოყვარეობითაც და მთელი ყურადღება ჩემკენ გადმოიტანა. კითხვა დამისვა - ვუპასუხე, მოცემულობა - გადავწყვიტე. მორიგი დავალება - ისიც. კიდევ ახალი... სდექ მახარაძე, დაგავიწყდა "სამიანის სინდრომი"?

- ესეც რომ ამოგეხსნა, ოთხიანს დაგიწერდი.

მატრიკული გამომიწოდა. მადლობა მოვახსენე და არც კი მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ქუჩაში, შემდეგ - პლეხანოვზე, ლუდის "ლეგენდარულ ბარში". არც მიუარია, სახლში ხომ ძლივს მოხარშული ამერიკული თეთრი ლობიო მეგულებოდა (სხვათა შორის, ამას წინათ გავიგე, რომ ამერიკული ლობიო ძნელადხარშვადი ყოფილა - მენშევიკური საქართველოს მთავარსარდლის გენერალ კვინიტაძის მოგონებებში ამოვიკითხე: "ამერიკელები გვირიგებდნენ... თეთრ ლობიოს, რომელიც არა და არ იხარშებოდა").

კარგად დანაყრებულები გამოვედით. თვალები მეხუჭებოდა, გავახელდი, გავხედავდი ტროტუარს და ისევ თვალებდახუჭული ვაგრძელებდი გზას...

მეორე დღეს მტკიცე პირობა დავდე: ის "სამიანი" შალვას პროტეჟეს ღმერთმა შეარგოს, მაგრამ მე, რაკი გარიცხვას გადავურჩი, მორჩა - მსგავსი "რაინდობის" გამეორება აღარ იქნება.

სხვებსაც ამასვე ვურჩევ - წინა კაცი ხომ უკანასი ხიდია!

# მშობლიური ჭაუხებიდან ჰიმალაებისკენ

... როცა უსასრულობა იწყება, ყოფიერება ამქვეყნიურ ფერებთან ერთად ქრება. აღარსად არის ხასხასა, მკვეთრი, ცოცხალი ტონები. არის მხოლოდ შავი, რუხ-მონაცრისფრო და სილურჯეშერეული თეთრი. არ ჩანს დაბლობი. ჩანს ყინულოვან-კლდოვანი სამყაროს თავზე გაწოლილი ღრუბლების ზღვა და ნისლიდან აისბერგებივით ამოწვდილი მწვერვალები. ვერ გრძნობ მიწის სიახლოვეს. გრძნობ სივრცის უსაზღვროებას. გაიშვიათებულ ჰაერსა და სტიქიის ძალაზე მეტად გთრგუნავს მყინვარების დამაბრმავებელი სიკამკამე. კარგავ მასშტაბებს და, გარემოს ბატონ-პატრონი, მთის ნაწილად, რელიეფურ კედელს შეზრდილ "ცოცხალ ქვად" იქცევი. ყოვლისშემძლედ და არარად, ზეკაცად და პაწაწინა ფანტომად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩვეულებრივ მოკვდავად, რადგან ათასობით მეტრის სიმაღლეზე წვრილმან ადამიანურ საზრუნავს გასცდი და მთლიანად გშთანთქა თავისუფლების ეიფორიამ. მაგრამ როგორც კი დაშვებას იწყებ, თავქვეჩაკიდებული ხრამებით, კლდის გლუვი მონოლითებითა და დამრეცი ვერტიკალებით ელვისებურად მიექანები დაბლობისაკენ. ნისლის ფარდა იხსნება. გამჭვირვალე სივრცეში ნელ-ნელა იკვეთება ჯერ გახუნებული, მერე კი მკვეთრი სამხრეთული ფერები. ფრენა მთავრდება. მიწაზე დგახარ. აღარსად არის უსაზღვროების განცდა. არის მწვანე ჩარჩოში ჩასმული გარემო, ყოველდღიურობის გაწამაწია და ფიქრები ალპინიზმზე.

შორენა ლებანიძე

## წერილი პირველი

მთამსვლელი მერაბ ხაბაზი სკეპტიკოსი არ არის. არ ამტკიცებს, რომ ქართული ალპინიზმის დღევანდელი დღე უპერსპექტივო და უსახურია. მაგრამ არც რეალობის გრძნობა ღალატობს და მიიჩნევს, რომ საერთაშორისო აღიარებისთვის ევერესტის სიმაღლეზე აჭრისა და ელ-კაპიტნის სირთულის დაძლევის ცალკეული შემთხვევები არ კმარა. რა არის ერთი ან ორი სერიოზული ექსპედიცია წელიწადში, როცა უცხოელები სეზონზე ათეულობით ურთულეს მარშრუტს ამუშავებენ. რას ნიშნავს ხუთი-ექვსი პროფესიონალი ქვეყნისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ 80-იან წლებში თითოეულ შეჯიბრსა თუ ოლიმპიადაზე რამდენიმე გუნდი გამოჰყავდა.

გუნდური ალპინიზმი საქართველოში საბჭოთა რეჟიმთან ერთად მოკვდა. აღარ არსებობს სამხედრო ოლქები. არ არსებობს ცნობილი საბჭოთა იდეოლოგიაც: კარგი მებრძოლი კარგი სპორტსმენი უნდა იყოს. შესაბამისად, ყოველ ოლქს თავისი სპორტული (მათ შორის, ალპინისტური) კლუბები უნდა ჰქონდეს, სახელად "სკა" ან "ცესკა" (სპორტული ან ცენტრალური სპორტული კლუბი) და სამხედრო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს. დაფინანსება გულისხმობდეს ექსპედიციის ხარჯების გაღებას, საჭურვლის (წრიაპი, წერაყინი, ჩაფხუტი, საძილე ტომარა, კარავი...) შეძენასა და განახლებას, მაგრამ არა ხელფასის გაცემას ან რაიმე სახის მატერიალურ წახალისებას.

ყველაზე დიდი წახალისება ენთუზიასტი მთამსვლელისათვის კავკასიონზე, პამირსა და ტიან-შანში უფასოდ მოხვედრა იყო. მიდიოდნენ კიდეც: შხარაზე, მყინვარწვერზე, კომუნიზმისა და გამარჯვების პიკებზე, ხანტენგრაზე, იალბუზზე, უშბაზე, ზამთრის უშბაზე, სანამ სვანეთის ამ მრისხანე და უკარება მწვერვალზე დატრიალებულმა ტრაგედიამ (1984 წლის თებერვალში ექვსი რჩეული მთამსვლელი დაშვებისას გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა) ალპინიზმით ტკბობას რომანტიკული საბურველი არ ჩამოაცალა და საფრთხის გააზრებამ პროფესიონალებს სპორტული აზარტი, ხოლო მოყვარულებს ეგზოტიკის ხიბლი არ გაუნელა.

ძველი თაობა წავიდა. ახლის მოსვლას წლები დასჭირდა. წლების შემდეგ, 80-90-იანის მიჯნაზე ჩავლილმა პოლიტიკურმა ბატალიებმა ქართულ ალპინიზმში ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმე კიდევ უფრო გაამძაფრა, პაუზა გაახანგრძლივა. სიჩუმის დარღვევას, რეკორდების მორიგი ტალღის აგორებას, ნოყიერი ნიადაგი, სახელმწიფოს მხრიდან მატერიალური მხარდაჭერა, სჭირდებოდა. ახალ თაობას ნოყიერი ნიადაგი ვერ დაახვედრეს. სამხედრო ოლქები სპორტული კლუბებითურთ გაუქმდა. სპორტსაზოგადოებები საკუთარი თავის იმედად დარჩნენ. დაფინანსება შეწყდა. ალპიურ ბანაკში მოსახვედრად გასავლელი მარტივი პროცედურა, რომელიც, ძირითადად, 48-მანეთიანი საგზურის შეძენით შემოიფარგლებოდა, მოიშალა. "ზესხოსა" და "აილამაში" სიცოცხლე არ ჩამკვდარა, სპონტანურად შეკრებილი 3-4-კაციანი ჯგუფები ჯერ კიდევ ახერხებდნენ ექსპედიციების ორგანიზებას, მაგრამ ბანაკში ჩასულთ უფასო აღჭურვილობას აღარავინ სთავაზობდა, ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯებს აღარავინ უნაზღაურებდა.


მწვერვალი ოდიდგანვე იზიდავდა ადამიანებს

მთამსვლელობა საკმაოდ ძვირადღირებულ ფუფუნებად იქცა. მწვერვალზე განცდილ თავისუფლების ეიფორიას ახლობელთა, ოჯახის წევრთა მატერიალური ინეტერესები ეწირებოდა. ანუ ალპინიზმის ბედს პირადი ინიციატივა, მოხალისეობის პრინციპი და, რაც მთავარია, საკუთარი ჯიბის სისქე განსაზღვრავდა. ჯიბე სვანეთის მთებსა და ხევსურეთის ჭაუხებს იქით გახედვის საშუალებას არ იძლეოდა. საერთაშორისო სივრცეებში გაჭრას სერიოზული კაპიტალი სჭირდებოდა. მისი გაღება მხოლოდ დაინტერესებულ კერძო პირებსა და სტრუქტურებს შეეძლოთ. დაინტერესებას საფუძვლად რეკლამა უნდა დასდებოდა. რეკლამა გამარჯვების გარანტიას მოითხოვდა. გარანტია არ არსებობდა. ალპინიზმის პოპულარობა, როგორც ვთქვით, ზამთრის უშბის ტრაგედიამ და პოლიტიკურმა რეალიებმა დაასამარა.

ოდესღაც ერთიანი გუნდი რამდენიმე ორგანიზაციად დაქუცმაცდა. საერთო მიზნების მქონე თანაგუნდელები არაკეთილგანწყობილ, ჩასაფრებულ კონკურენტებად იქცნენ და ორ პოლარულ ბანაკში – შოთა მირიანაშვილისა და გივი ქართველიშვილის ფედერაციებში – გადანაწილდნენ. ბანაკებს შორის შუალედური პოზიცია ბენო ქაშაკაშვილისა და ლადო გურჩიანის ასოციაციებმა დაიკავეს. ევერესტთან დაკავშირებული სკანდალის გამო უთანამშრახველებოდ დარჩენილმა გია თორთლაძემ კი დაკარგული დიდების დასაბრუნებლად უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის გზა აირჩია – საერთაშორისო ასოციაცია ჩამოაყალიბა.

შედეგად: ქართულ ალპინიზმში მრავალხელისუფლებიანობა დამყარდა. ალპინისტური პოლიტიკის წარმართვა ხუთმა პრეზიდენტმა ითავა. თუმცა ამინდს, ძირითადად, შოთა მირიანაშვილი და გივი ქართველიშვილი ქმნიან... ათიოდე პროფესიონალისათვის, რომლებიც პერიოდულად ხან ერთ ჯგუფში ამოყოფენ თავს, ხან – მეორეში, ხან ერთ ბატონს ემსახურებიან, ხან – მეორეს, შესაბამისად, ძალთა თანაფარდობას ხან ერთის, ხან მეორის სასარგებლოდ ცვლიან.

ასე გრძელდება მრავალწლიანი პაუზის განმავლობაში, რომლესაც ურეკორდოდ არ ჩაუვლია. მასაც ჰქონდა ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი გამონათებები. მაგალითად, მერაბ ხაბაზის, ზურაბ კუჭავასა და ირაკლი უგულავას პირველგავლა ხევსურეთის ჭაუხების უკანასკნელ "აუღებელ სიმაგრეზე" – ასათიანის კედელზე 1995 წლის ივლისში. მოულოდნელ გარღვევად, ახალ სიტყვად შეფასებული ექსტრაკლასი. არა სიმაღლით, არამედ ტექნიკური სირთულეებით – გლუვი, უარყოფითი კედლიდან გამოწეული სამი "კარნიზით" (კლდის შვერილი, რომლის ვეება ფუძე, ანუ ჭერი მართკუთხეს ქმნის სვეტის ვერტიკალთან) – გამორჩეულ მეექვსე კატეგორიის მწვერვალზე ასვლა. გამარჯვება, მაგრამ, თავად ჭაუხების ექსპედიციის წევრთა შეფასებით, არა ახალი ეტაპის დასაწყისი.

**მერაბ ხაბაზი**: "პირველგავლა ალპინიზმში ყამირის ათვისების ტოლფასია. მარშრუტზე მიმავალს, ტექნიკურ სირთულეებზე მეტად გთრგუნავს შინაგანი დისკომფორტი, ცოდნა, რომ გზის ყველა მონაკვეთი შესასწავლია, რომ წარმოდგენა არ გაქვს, წინ რა ხიფათი გელოდება, სად ნაპრალს წააწყდები, სად – ხელისგულივით მოსწორებულ გასიპულ მონოლითს, სად ყინულის ლოდი ჩაგიხერგავს სავალს და სად უარყოფით კედელზე დაეკიდები. ეს არის სერიოზული ფსიქოლოგიური და მორალური ბარიერი, რომლის გადალახვა მხოლოდ მწვერვალზე ფეხის დადგმის შემდეგ შეიძლება".

ზურაბ კუჭავამ, მერაბ ხაბაზმა და ირაკლი უგულავამ ბარიერი გადალახეს, მწვერვალზე ავიდნენ და ალპინისტური სამყარო – სპეციალისტების ვიწრო წრე – აალაპარაკეს. საზოგადოება, პრესა კი კვლავ გულგრილი დარჩა პირველგავლის სენსაციური ფაქტის მიმართ, მიზეზით: ალმასვლის დასაწყებად ერთჯერადი წარმატება არ კმაროდა. საჭირო იყო ამინდის დათბობა ალპინიზმში, რაც ურთიერთობების გაჯანსაღებასთან ერთად ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებასაც გულისხმობდა.


სიმაღლესთან ბრძოლა

მხარდამჭერი მოგვიანებით გამოჩნდა, 1998 წელს, როცა თბილისის ქუჩები უზარმაზარმა ფირნიშებმა გადააჭრელა, წარწერით: "ქართველები ჰიმალაებში". გრანდიოზულ, ძვირადღირებულ ექსპედიციას ფირმა "ომეგა" აფინანსებდა. ექსპედიცია წარუმატებლად დამთავრდა. უამინდობის გამო გია თორთლაძის შვიდკაციანი ჯგუფი მანასლუზე ვერ ავიდა.

სანაცვლოდ, იღბლიანი გამოდგა 1999 წლის ლაშქრობა კვლავ ჰიმალაებში 8848-მეტრიან ევერესტზე, რომლის ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა მანამდე გასაიდუმლოებული განხეთქილება ურთიერთდაპირისპირებულ ალპინისტურ ჯგუფებს შორის. ცხადი გახდა, რომ აღიარებული დაღმასვლის მიზეზი მხოლოდ მატერიალური სიდუხჭირე ან ნიჭიერი კადრების ნაკლებობა კი არა, სწორედ არაჯანსაღი დამოკიდებულებები იყო. თორემ ნიჭიერი მთამსვლელები ყველა თაობას ჰყავდა. დღევანდელსაც ჰყავს, თითზე ჩამოსათვლელნი, მაგრამ კარგად ნაწრთობნი, ოდესღაც საოცნებო რვაათასიანების დამლაშქრელნი: ბიძინა გუჯაბიძე, რომელიც ტექნიკურად ურთულეს ელ-კაპიტანზეც ავიდა და ტიან-შანის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე, 7439-მეტრიან გამარჯვების პიკზეც; მერაბ ხაბაზი, რომელმაც 1997 წელს დაპყრობილი გამარჯვების პიკი ჩამოიტოვა და 99-ში ევერესტზე დადგა ფეხი; ზურაბ კუჭავა, რომელიც 1996 წლიდან ალპინისტურ სკოლას ხელმძღვანელობს და, მისივე თქმით, სერიოზულ წარმატებებს მიაღწია: 9 კაცი 5-იანზე ავიდა, ანუ მოყვარულის დონეს გასცდა და პროფესიონალიზმამდე ბევრი აღარ უკლია.

ქართულ ალპინიზმში ცნობილი გვარების ეს, რა თქმა უნდა, არასრული სია შეიძლება კიდევ ორი-სამი გვარით შეივსოს, უკვე ნახსენებ წარმატებებს ასევე ორი-სამი გახმაურებული ექსპედიცია მიემატოს და მთამსვლელობის მიღწევებიც ამოიწუროს, ოპტიმისტური სურათი კი ვერ შეიქმნას, ერთხელ უკვე ნახსენები მიზეზის გამო: ცალკეული გაელვებები საერთაშორისო აღიარებას ვერ მოიტანს.

"საერთაშორისო აღიარება შეიძლება UIAA-ს (მსოფლიო ალპინისტური ასოციაციების გაერთიანება) ეგიდმა მოიტანოს", - მიაჩნია ზურაბ კუჭავას, რომელიც შარშან UIAA-ს ახალგაზრდული კომისიის წევრად აირჩიეს და შეკრებაზეც მიიწვიეს. კუჭავამ ნიუიორკში ჩასვლა, უსახსრობის გამო, ვერ მოახერხა. წელს სახსრები გამოიძებნა, მაგრამ იგი არიზონაში დანიშნულ გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად საკმარისი არ აღმოჩნდა. ქართველი მთამსვლელიც ახალგაზრდული კომისიის წევრთა შეკრების შედეგებით შემოიფარგლა. შედეგები მნიშვნელოვანია: ქართველებს საერთაშორისო ალპინისტურ ბანაკებში ჩასვლისა და UIAA-ს ეგიდით მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობის შანსი გაუჩნდათ. საერთაშორისო ბანაკები მომავალ წელს სლოვენიაში, რუმინეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, ესპანეთში უნდა გაიხსნას. ექსპედიციები, დაახლოებით, თითო კვირას გასტანს. ხარჯი მინიმალურია: 200 დოლარი ან 150 ევრო შვეიცარიაში ან იტალიაში დაგეგმილ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

**ზურაბ კუჭავა**: "მთავრი ის არის, რომ საერთაშორისო ახალგაზრდული ალპინისტური ბანაკი საქართველოშიც გაიხსნება. ვადები დაზუსტებულია: 2003 წლის 10-17 აგვისტო. ახლა სხვა – უცხოელი კოლეგების დახვედრის, დაბინავებისა და კვების, ბანაკის ადგილმდებარეობისა და მარშრუტის შერჩევის – დეტალები კონკრეტდება. ყველა ხარჯს ალპინისტები დავფარავთ, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ფონდი არ დაგვეხმარება. UIAA საწყისს ეტაპზე დაფინანსებას არ კისრულობს. უცხოური კაპიტალი მხოლოდ ექსპედიციის სწორად და წარმატებულად ორგანიზების შემთხვევაში დაიწყებს დინებას. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ბანაკები, ალბათ, მომავალშიც მოეწყობა. საქართველო სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელთა მუდმივი თავშეყრის ადგილად იქცევა. სწორედ ეს იქნება ახალი ეტაპი ქართულ ალპინიზმში".

ზურაბ კუჭავას ოპტიმისტური პროგნოზის გამართლების საფუძვლად ექსპერტმა სპეციალისტებმა, შესაძლოა, სამთო ტურიზმის განვითარება, ალპინიზმში ბიზნესის ელემენტების შეჭრა მიიჩნიონ და ამტკიცონ, რომ მთამსვლელობის მომავალი სამოგზაურო სააგენტოების ქსელის გავრცობასა და სრულყოფაზეა დამოკიდებული. სააგენტოების ფუნქცია, ბუნებრივია, უცხოელი ალპინისტების, აგრეთვე, ეგზოტიკის მოყვარული ტრეკერების, ანუ მთების სანახავად ჩამოსული ტურისტების მომსახურება და მეგზურობაა.

სხვაგვარად არაფერი გამოვა, რადგან ალპინიზმს მხოლოდ ენთუზიაზმი ვერ ასულდგმულებს, რადგან თუ არაფერი შეიცვლება, ტიან-შანის, ჰიმალაების, ანდების ხილვას ბედნიერი შემთხვევის, უფრო სწორად, გულუხვი სპონსორების წყალობით ხელმომართული ცალკეული მთამსვლელები შეძლებენ. დანარჩენები სვანეთსა და ხევსურეთს ვერ გასცდებიან. სვანეთსა და ხევსურეთში კი უკვე ყველა გზა გაიკვალა. მართალია, მერაბ ხაბაზის აზრით, მთის მობეზრება შეუძლებელია, ყოველი ასვლა მწვერვალთან ხელახალი შეხვედრაა, უშბა კი ამქვეყნად ყველა მთაზე უფრო მშვენიერია, მაგრამ სპორტული აზარტი და პროფესიული ინტერესი კავკასიის ქედებს იქით გაღწევას ითხოვს.

ოპტიმისტები მიიჩნევენ, რომ კავკასიის ქედებს იქით მალე გავიხედავთ. სკეპტიკოსები საპირისპიროს ამტკიცებენ. მოდით, ისევ ოპტიმისტებს დავუჯეროთ.

# ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

### ფაიტონები

გარწმუნებთ, ნებისმიერ დღევანდელ პრესტიჟულ ავტოს მე, გნებავთ, კამპანიოვსკის, გნებავთ მამალაძის და გნებავთ კუნჭულიას ფაიტონი მირჩევნია.

ძვირფასი ტყავის სავარძლებით, მოსირმულ-მოჩუქურთმებული კოფოქოლგათი და თვალწარმტაცი ეჟვნიანი ბედაურებით, რომლებიც მზეზე ისე ბზინავდნენ, როგორც ბრინჯაო.

ახლა მათ სპეციფიკურ სურნელსაც თუ გავიხსენებთ და იმასაც, თუ ფაფარაშლილები, ლაგამს რომ გაკვნეტას უპირებდნენ, ან კიდევ მგზავრის მოლოდინში მეფაიტონესთან ერთად როგორ თვლემდნენ...

ნეტავ ის რად ღირდა, ფეხშიშველი რომ უკან აჽედევნებოდით და მანამ ვიყავით საბარგულზედ შესკუპებული, სანამ მეფაიტონე რამდენჯერმე თავის გრძელ მათრახს არ გადმოგვიტყლაშუნებდა.

### ფოტო ტურძელაძის

ახლა მოდით ბარემ ბესარიონ ტურძელაძის ფოტოგრაფიაშიც შევიხედოთ და შეძლებისდაგვარად აღვწეროთ კიდეც.

გადასაღები სალონის პანო ბესარიონმა ბათუმელ ბერძენს მოახატვინა; სემირამიდას ბაღიანი პანოს წინ ორი მაპაპაპისეული ძვირფასი გრეხილი ავეჯის სავარძელი იდგა, იქვე წოწოლა სკამფეხა თავისი ფოჩებით (ალბათ იდაყვის ჩამოსადებად), იატაკზედ კი დათვის ტყავი იყო გაფენილი.

როდესაც ერთ, უკულმართ დღეს ტურძელაძის ფოტოგრაფია ხანძარმა შთანთქა, ასე მეგონა, ჩემს ლამაზ მშობლებთან ერთად ჩემი ბავშვობაც იმ ცეცხლში ჩაიფერფლა.

### ვალოდიე "მეჟეშტე"

ომის დროს ჩვენი გაუსაძლისი ცხოვრება ვალოდიე "მეჟეშტეს" (მეთუნუქე) პრიმუსის ნემსის გარეშე კიდევ უფრო ტრაგიკული ხდებოდა.

წარმოიდგინეთ პრიმუსზედ შემდგარი მოთუხთუხე ქვაბი უცებ რომ შეწყვეტს დუღილს, რადგან პრიმუსს ყელში რაღაც გაეჩხირა და თუ ამ დროს მას საგანგებოდ ნემსით საბერავი (თუ სასუნთქი) არ ამოუწმინდე, დავრჩით მშივრები და ეს არის.

- არიქა ჩქარა ნემსი! - იყვირებდა დედა ან მამა და დავეშვებოდი თავქვე ნინოშვილის ქუჩაზედ, გადავირბენდი ბაზრის წყლის ხიდს და იქვეა ვალოდიეს სახელოსნოც.

- ჩქარა ნემსი ვალოდია ბიძია. ახლა მე მივაყრიდი ქოთქოთით "მეჟეშტეს", მანეთად ორ ნემსს დავავლებდი ხელს და ისევ სირბილ-სირბილით ავასკდებოდი ჩემი სახლის აღმართს.

### შალიკო და იოსკა

შალიკო ურიე დილიდან საღამომდე ჯორკოზედ იჯდა თავის საქათმისხელა დუქნის წინ. გვერდით უზურგო სკამზედ, ერთი დიდი შუშის წყლით სავსე კრიალა ქილა ედგა, რომელშიაც შავი, ყურყუტა წურბელები დაცურავდნენ. იქვე ეწყო ტილის სავარცხლები (ბზისაგან ნაკეთები) და პატარა ბოთლით ფერუმარილი...

შალიკოს სახეზედ მუდამ მორჩილი ღიმილი დასთამაშებდა. იჯდა თავისთვის წყნარად თავისი ჭაღარა, ვითომ გაუპარსავი წვერით და თუ ვინმე (მუშტარი) რაღაცას ისეთს "გადასარევს" მოუყვებოდა, შალიკო საგანგებოდ დააფჩენდა პირს და ასე ენაგადმოგდებული გამოხატავდა თავის განცვიფრებას.

სულ სხვა იყო მისი შვილი იოსკა, მისი "მაროჟნის" ბიზნესით, რომელიც გაზაფხულზედ იწყებდა და შემოდგომამდე გრძელდებოდა.

- ნოდარის დავენაცვლე, მომიხატე ერთი შენებურად ჩემი დრანდულეტი - და თავის "სამაროჟნე" ურიკას ჩემს ეზოში შემოარახრახებდა (ჰოდა, ამაზედ ადვილი რა იყო ჩემთვის, იქვე ელაგა მამაჩემის საღებავები და ფუნჯები).

- მაყუთი ნავაჭრის შემდეგ, ხომ იცი, დაგენაცვლე.

თითქოს პირველად მეუბნებაო, კიდევ ერთხელ მეტყოდა იოსკა გახარებული და თავის ურიკას სახლისკენ გააქანებდა.

ერთ ზაფხულს გაქრა იოსკა. მივედი ცაცხვის ქვეშ, სადაც მუდამ იოსკას თავისი ურიკა ეყენა და სად არის იოსკა?

- ქობულეთში, ბაზარში ვაჭრობს ნოდარის დავენაცვლე... - მასწავლა შალიკომ და დამაწყნარა.

იოსკამ შორიდანვე შეგვამჩნია ბიჭები ქობულეთის ბაზრის შესასვლელში და იქიდანვე გამომძახა:

- მხატვარს სალამი, მხატვარს!.. გვერდზე დამიდექი - მისვლისთანავე მითხრა. - ცოტას ნავაჭრს წავამატებ და ხელფასს გაგისტუმრებ, ხელფასს...

ჯიბე სავსე ჰქონდა იოსკას ფულით, მაგრამ სანამ ჩემი ხელფასი ჩემს თვალწინ არ შეაგროვა ნავაჭრით, ჯიბეს მანეთი არ მოაკლო.


ნოდარ მალაზონიას ნახატი

### მამუკას აკადემია

მამუკა თოთიბაძის "აკადემია" ერთი პატარა თავშესაფარი იყო ოზურგეთელი "ინტელექტუალი" ბიჭებისათვის.

თბილისში, უნივერსიტეტში სასწავლებლად მიმავალი მამუკა, ვალეში პერონზედ ხილისა და სურსათ-სანოვაგის საყიდლად ჩამოსულა. ამასობაში მატარებელიც დაძრულა, მამუკაც მატარებელს დადევნებია და ვაგონებს შუა ჩავარდნილა.

ბარძაყებშივე მოკვეთეს ორთავე ფეხი ფიზიკოსობაზედ მეოცნებე ყმაწვილს, რამაც იგი სამუდამოდ მიაჯაჭვა თავის სავარძელს.

მალე მამუკამ რადიოელექტრონული სარემონტო სახელოსნო თავისივე სახლში გახსნა და მთელს გურიაში გაითქვა სახელი. ხოლო მნახველთა და თანამგრძნობელთა ხშირმა სტუმრობამ მასთან (თუნდაც უახლესი ინფორმაციის გაცნობის სურვილით, მასთან ხომ იმჟამად ეგრეთ წოდებული "ტრაფეის" სახით, მსოფლიოს უახლესი რადიოაპარატურა იყრიდა თავს). სწორედ ეს გახლდათ ერთგვარი ტრანკვილიზატორი მამუკას "აკადემიის" ჩამოყალიბებისათვის. "აკადემია" დილიდან შუაღამემდე ღია იყო.

რა იყო ჩვენი დისკუსიის თემატიკა?!

ომი, სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი, ჰიტლერი, გერმანია და საქართველო, თეატრი, კინო და სპორტი.

რატომღაც ომი და თეატრი ვახსენე. ორთავე ჩემი ყმაწვილკაცობის გადასახედიდან ჩემთვის ყველაზედ უფრო სათუთი და განსაკუთრებულია.

ომი მე ოზურგეთის სამხედრო ლაზარეთში დავინახე, სადაც დედაჩემი მსახურობდა და მე მთელი დღეები დაჭრილ და დასახიჩრებულ მებრძოლებთან ვატარებდი (მათ შორის გერმანელებთანაც).

თეატრი და არტისტული სამყარო კი მამას უკავშირდება, სადაც იგი მხატვარ დეკორატორად მუშაობდა, ხოლო სწორედ ომის წლებში დირექტორადაც.

თუ საშუალება მომეცა, ამ ამბებზე შემდეგ.

**ჟანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია**

**აცხადებს ბავშვების მიღებას 6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.**

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში. ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

იყიდება მშენებარე ინდივიდუალური სახლი ნუცუბიძეზე საბაგიროსთან, საქტრანსგაზის შენობასთან. აშენებულია 450 კვ.მ. ფასი 60 000 $. 33 26 78

იყიდება თანამედროვე დიზაინით აშენებული კერძო 2 სართულიანი სახლი ავლაბარში, სამების ეკლესიასთან.

ტელ: 98 40 13, 899 516925

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

ქირავდება მაღალჭერიანი 2-ოთახიანი ლოჯიით, II სართულზე. თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ვაგზლის მოედანთან. 130-ად. 22 13 68

## კომერციული ფართი

**სასწრაფოდ!** იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

15 ოქტომბრიდან ტელეფონით მიღებული განცხადების (12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება 1 ლარით.

98-86-43, 53-76-43

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

## მანქანები

იყიდება LANCIA DEDRA INTEGRALE. 1993 წ. ძრავი 2.0 ტურბო (11 ლ 100 კმ), ტყავის სალონი, ელ.პაკეტი, ელ.ლუქი, კლიმატ-კონტროლი, ABS, ჰიდრავლიკა, 4x4 კვადრო, ავგისტოში ჩამოყვანილი, განბაჟებული. ფასი 4000 $.
8(77) 44 13 40

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება თეთრი BMW-520 1991 წლის, ახალი ჩამოყვანილი, განუბაჟებელი, სრული ელექტროპაკეტით. 95-34-27, 8(99) 10-49-14

სასწრაფოდ იყიდება "ვოლვო-440" 1991 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში, მუქი რუხი. 52 37 55, 8(99) 58 34 37

## სწავლება

მოვამზადებ თურქულ ენაში სკოლის მოსწავლეებს. 23 18 79

შევასწავლი ქართულ ცეკვებს ნებისმიერი ასაკის მსურველს. 53 00 38, 8(77) 73 33 22

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება რუმინული ავეჯი: სასადილოები, საძინებლები, ტყავის სამეულები და როიალები.

ტელ: 95-77-88, 877 764758

დაგიმზადებთ უცხოური ავტომობილის ყველა სახის, გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 24 40 32

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს დაბალ პროცენტში. 23 70 91, 8(77) 71 05 90

ყველას, ვისაც გიყვართ სიცოცხლე, გიწვევთ კორპორაცია "ტიანში"-ში. ეს ჯანმრთელობაა სიცოცხლის პირველი დღიდან სიბერემდე. საკვები დანამატები ყველაფერს განკურნავენ, უმჯობესია მატერიალური მდგომარეობა. კორპორაციის შედეგები საოცარია. 99 91 61 (ოფისი), 8(99) 97 07 25 დანილინა ტ.

შევიძენ ფინური სასადილო "მიქადო"-ს ჟურნალების მაგიდას. 66 62 92, 8(99) 17 56 14

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

გაზეთი 24 საათი

28.10.02 N-148

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**მარჯანიშვილის თეატრი**
შოუ-კონცერტი "შემოდგომის არდადაგები"
დას: 16:00 სთ; ფასი 7-15 ლარი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"ბაგრატიონები", რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00 სთ

**„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ
"სამი იქსი"
დას: 19:00 სთ
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 21:30 სთ

## სკანდინავიური კროსვორდი



პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"

Image CENTRE



ჭადრაკი

# ქართველების წარმატებული დებიუტი

სლოვენიის ბლედი ჭადრაკის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი ქალაქია. ჯერ კიდევ 1931 წელს, თავისი დროის საუკეთესო მოჭადრაკეების კამპანიაში (ნემცოვიჩი, შპილმანი, ვიდმარი, ბოგოლიუბოვი, მაროცი და სხვები) ლეგენდარულმა რუსმა მოჭადრაკემ ალექსანდრ ალიოხინმა ჭადრაკის ისტორიაში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა. 15-დან 11 პარტია მოიგო და 26 შესაძლებლიდან 20,5 ქულა მოაგროვა. "ის გაგვისწორდა, როგორც ყვითელპირიან წიწილებს", - თქვა მაშინ აღფრთოვანებულმა ნემცოვიჩმა.

ერთი სიტყვით, 35-ე ოლიმპიადისა და ფიდე-ს 73-ე კონგრესის მასპინძელი ბლედი დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქალაქია. სლოვენია ამ ფორუმისთვისაც სერიოზულად მოემზადა. თუმცა, ორგანიზატორებს მცირე ტექნიკური პრობლემა შეექმნათ - უახლოეს მომავალში, ტურნირის ოფიციალურ საიტზე, პარტიათა ტექსტები არ გამოქვეყნდება.

ოლიმპიადა შვეიცარიული სისტემით, 14 ტურად, სათამაშო დროის "დაჩქარებული" კონტროლის მეთოდით ჩატარდება (თითოეულ პარტიაზე 1,5 საათი +30-წამიანი დამატება). სპეციალისტთა აღიარებით, ვაჟთა შორის ფავორიტებად რუსეთის, უკრაინის, ინგლისის, სომხეთის, უნგრეთის, ისრაელისა და ჩინეთის გუნდები მიაჩნიათ. ქალებში კი პირველობისთვის საქართველოს, ჩინეთის, რუსეთის, იუგოსლავიისა და ინდოეთის გუნდები იბრძოლებენ.

დებიუტი საქართველოს ორივე ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა. პირველ ტურში ვაჟებმა გაიმარჯვეს - 4:0, ხოლო ქალთა გუნდმა - 2,5:0,5 დაამარცხა კანადის ნაკრები. თავისი პარტია ყაიმით დაამთავრა ნინო ხურციძემ. ჩვენი უშუალო მეტოქეებიდან მშრალი გამარჯვება (3:0) რუსებმა და ჩინელებმა მოიპოვეს.



საჭადრაკო ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი

კალათბურთი

# გასეირნება ევროტურნირის წინ

*თბილისობის დღესასწაულზე, შაბათს და კვირას გამართულმა საქართველოს ჩემპიონატის მე-8 და მე-9 ტურების შეხვედრებმა კალათბურთში, კვლავაც თბილისის "დინამოს" გამოკვეთილი ფავორიტობა დაადასტურა.*

მიხეილ აბაიშვილი

**26 ოქტომბერი**
*თსუ - მაკაბი 90:72*
*დინამო - სტუ 89:75*

**27 ოქტომბერი**
*დინამო - სოხუმი 114:68*
*სტუ - თსუ 83:78*

მოგეხსენებათ, "დინამო" ერთადერთი ქართული გუნდია, რომელიც წლეულს ევროპის საკლუბო ტურნირში, კონკრეტულად, "ჩელენჯკაპის" გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ტურნირის ეგიდით, ეს გუნდი პირველ შეხვედრას სულ სამ დღეში, 30 ოქტომბერს გამართავს და, შეიძლება ითქვას, შაბათ-კვირის მატჩები მისთვის ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო ევროტურნირში ჩაბმის წინ. მეტოქეებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დინამოელებმა დიდი ჯაფის გარეშე მოიგეს თამაშები. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო გუშინდელი მატჩის დროს, როცა ჩემპიონატის ლიდერს "სოხუმი" უწევდა, უფრო სწორად, ვერ უწევდა წინააღმდეგობას. ამ ორ გუნდს შორის ძალთა თანაფარდობა ისეთი არათანაბარი იყო, რომ "დინამოს" მწვრთნელებმა თითქმის ნახევარი გუნდი დაასვენეს და, მაინც, თითქმის ორმოცდაათქულიანი სხვაობით დაამარცხეს მეტოქე - 114:68. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი ნინიაშვილი იყო. მის ანგარიშზე 19 ქულაა. ნინიაშვილს ერთი ქულით ჩამორჩნენ ჟღენტი და ვატო ნაცვლიშვილის უმცროსი ძმა, გიგი.

გაცილებით მეტი ოფლისღვრა დასჭირდა "დინამოს" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრისის. ეს მატჩი შაბათს გაიმართა. მართალია, "დინამომ" მხოლოდ 14 ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ თამაშის მსვლელობაში თავისი უპირატესობა ერთხელაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ გუშინ, საღამოს, თბილისში ჩამოფრინდა და გუნდს შეუერთდა ბოსნიელი კალათბურთელი იოვან სიროვინა (208 სმ). იგი გუნდს "ჩელენჯკაპის" ტურნირში ჩაბმის წინ აშკარად გააძლიერებს. სიროვინა "დინამოსთან" ერთად დღეს დილით ივარჯიშებს.

ტურის სხვა შეხვედრებიდან გამოვარჩევთ თბილისის ტექნიკური და სახელმწიფო უნივერსიტეტების გუნდების შეხვედრას. ეს ორი გუნდი ჩემპიონატის სტარტზე ნაჩვენები შედეგებით პლეი-ოფში მოხვედრის პრეტენზიას აცხადებს. ასე რომ, გუშინდელ თამაშს შეიძლება უშუალო კონკურენტების მატჩიც ვუწოდოთ. ამჯერად უფრო ძლიერი აღმოჩნდა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც, მართალია, მხოლოდ ხუთი ქულის სხვაობით გაიმარჯვა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში ხელიდან არ გაუშვია სადავეები და დამსახურებულად გაიმარჯვა (83:78). ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელთაგან ყველაზე შედეგიანი ტუღუში იყო (14), მოწინააღმდეგე გუნდიდან კი - ეროვნული ჩემპიონატის ვეტერანი ქარაბაკი (21).



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბერიშვილის გარჭამ "მაკაბის" ვერ უშველა

ფორმულა 1

# ბელგია დაიწუნეს - რევოლუციური ძვრები იწყება

*ფორმულა 1-ში დიდი ძვრები იწყება. 2004 წლიდან გრან-პრის ორი ახალი ეტაპი შეუერთდება - ჩინეთისა და ბახრეინის. ამ ეტაპებმა, შესაძლოა, ბელგიისა და ბრიტანეთის გრან-პრი შეცვალონ. ფორმულა 1-ის ბოსი ბერნი ეკლსტოუნი, პრინციპში, აიძულეს, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. ევროპული თანამეგობრობა მიისწრაფის იქითკენ, რომ ევროპის ტერიტორიაზე თამბაქოს პროდუქციის რეკლამა აკრძალოს. ფორმულა 1-ის გუნდებს კი თამბაქოს მწარმოებელ ფირმებთან ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ. პრობლემაც სწორედ ეს არის. ბრიტანეთისა და ბელგიის მთავრობებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება ასეთი სახის რეკლამის აკრძალვის თაობაზე. დოკუმენტი მომავალი წლიდან შევა ძალაში. ბერნი ეკლსტოუნმაც სწორედ ამიტომ დაადგა თვალი ბელგიასა და დიდ ბრიტანეთს.*

კახა ფაჩუაშვილი

მომავალი სეზონიდან ფორმულა 1-ის მსოფლიო პირველობაზე ბელგიის გრან-პრი აღარ გათამაშდება. ეს გადაწყვეტილება უშუალოდ გუნდების ხელმძღვანელთა აქტიური ჩარევით მიიღეს. ამგვარი რადიკალური გადაწყვეტილების საფუძველი კი გახდა ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილება ქვეყანაში თამბაქოს პროდუქციის რეკლამის აკრძალვის შესახებ, რომელიც მომავალი წლის აგვისტოს დასაწყისში შედის ძალაში. ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილებამ განარისხა ფორმულა 1-ის ბოსი ბერნი ეკლსტოუნი, რადგან თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს ფორმულა 1-ის გუნდებთან ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ. გუნდების მფლობელებს კი არ სურთ, თავიანთი საჯინიბოები სპონსორების რეკლამის გარეშე წარმოადგინონ.

ეკლსტოუნი საგონებელში ჩავარდა. მომავალი სეზონის კალენდარულ გეგმაში ბელგიის გრან-პრი 31 აგვისტოს იყო დაგეგმილი. თამბაქოს პროდუქციას კი ბელგიაში აგვისტოს დასაწყისში დაადეს ტაბუ. ამან რბოლის ორგანიზატორებს ერთიორად გაურთულა საქმე. თავიდან ისინი ფიქრობდნენ, რომ გრან-პრის ეტაპი ივლისში გადაეტანათ, მაგრამ ბოსების გადაწყვეტილება რადიკალური აღმოჩნდა. ეკლსტოუნმა ბელგიის პრობლემა ერთი ხელის დაკვრით მოაგვარა - ამ ქვეყანაში ფორმულა 1-ის გრან-პრი აღარ გაიმართება.

ბერნი ეკლსტოუნი მიიჩნევს, რომ ბელგიის მთავრობა ვალდებულია, დაემორჩილოს საერთოევროპულ კანონმდებლობას, რომელიც სიგარეტის რეკლამის აკრძალვას 2006 წლიდან ითვალისწინებს, მაგრამ ბელგიის მინისტრთა კაბინეტი შეუვალი აღმოჩნდა და მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს.

ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილების საპირისპიროდ, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ 2004 წლიდან რბოლების ნუსხას ორი ეტაპი დაემატება - ჩინეთის და ბახრეინის. ასე რომ, ბელგიის გრან-პრი შემცირებაში მოყოლილი ერთადერთი ქვეყანა არ იქნება. უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ეტაპის გაუქმებას უნდა ველოდეთ.

ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ დიდმა ბრიტანეთმა ახლახან დაძლია უკანასკნელი ბარიერი თამბაქოს პროდუქციის რეკლამის აკრძალვის თვალსაზრისით. ეროვნული პარლამენტის თემთა პალატამ, მესამე მოსმენით, თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი კანონპროექტს, რომელიც თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე - 2003 წლიდან, ხოლო საზღვარგარეთ - 2006 წლიდან, სპორტული ღონისძიებების სპონსორობას უკრძალავს. მათ შორის ფორმულა 1-ის სპონსორობასაც.

თუ ამ გადაწყვეტილებით ვიმსჯელებთ, ადვილი შესაძლებელია, შემცირებულთა ნუსხაში ბრიტანეთის გრან-პრიც მოხვდეს. მით უფრო, რომ ეს ტრასა არაერთხელ გამხდარა ბერნი ეკლსტოუნის საყვედურის საგანი. ბოსი უკმაყოფილო იყო იმით, რომ სილვერსტოუნის ავტოდრომი ფორმულა 1-ის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

ეტაპების შემცირებას 17-დან 16-მდე ფორმალურად მხარს უჭერენ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი და ფორმულა 1-ის მფლობელი ბერნი ეკლსტოუნი. გუნდების ბოსები კი კვლავ აგრძელებენ მსჯელობას მოსლის უწყების მიერ შემოთავაზებულ რევოლუციურ პროექტზე, რომელიც ფორმულა 1-ისადმი ინტერესის გაღვივებას ითვალისწინებს. ინტერესის გაღვივება კი "სამეფო რბოლების" აღორძინებას შეუძლია. ასე მიაჩნიათ ბოსებს. საკითხი დღეს, სპეციალური კომისიის სხდომაზე უნდა განიხილონ. Fia კომენტარისგან თავს იკავებს და სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებას ელის.



ფორმულა 1-ის ფანები ბელგიის გრან-პრის ვეღარ ნახავენ

მოკლედ

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" დამრიგებლის ალექს ფერგიუსონის გუშინდელი ინფორმაციით, კლუბის მოთამაშე ნიკი ბატი კოჭზე სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. თავიდან ეგონათ, რომ ბატს თერაპიული მკურნალობით დააყენებდნენ ფეხზე, მაგრამ რენტგენმა აჩვენა, რომ ოპერაცია იყო საჭირო.

"ნიკი მეშვიდე ფეხბურთელია ამ სეზონზე, რომელსაც საოპერაციო მაგიდაზე ვგზავნით", - განაცხადა ფერგიუსონმა.

ტრავმების მხრივ წლეულს "მანჩესტერ იუნაიტედი", მართლაც, გამორჩეულია. ნიკი ბატამდე ოპერაცია გაუკეთეს როი კინს, უეს ბრაუნს, კინტონ ფორჩუნს და პოლ სქოულზს. ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გამოტოვეს გარი ნევილმა და რიო ფერდინანდმა, ხოლო კლუბის ძირითადმა მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა ხუთი თამაში გამოტოვა. მანჩესტერელთათვის მცირეოდენი შვება ის არის, რომ დღეს მოედანს დაუბრუნდება კლუბის წამყვანი ბომბარდირი რუდ ვან ნისტელროი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი იმედოვნებს, რომ 2005 წლიდან უეფა ნებას დართავს კლუბებს, ოფიციალური მატჩები ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ჩაატარონ. კოლოსკოვის თქმით, უეფას მოხელენი ჯერჯერობით ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხს, თუმცა, პირობას დებენ, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ. 2005 წლამდე კი ერთგვარი ექსპერიმენტის სახე ექნება სინთეტიკურ საფარზე მატჩების გამართვას. რაც შეეხება ფიფას პრეზიდენტს იოზეფ ბლატერს, კოლოსკოვის თქმით, მან, ფიფას ეგიდით, ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ოფიციალური ასპარეზობების გამართვის ნება დართო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანგულმა საფეხბურთო ჟურნალმა "Onze"- მ იჩქარა და წლის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა გვაცნობა. ჟურნალის აზრით, ეს არის მსოფლიო ჩემპიონი და ამავე ასპარეზობის საუკეთესო ბომბარდირი, მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი რონალდო. ბრაზილიელმა გამოკითხვაში თანაკლუბელ ზიდანსა და თანამემამულე რონალდინიოს აჯობა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შოტლანდიური "სელტიკის" შვედი თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. ლარსონის თქმით, როგორც კი კონტრაქტი დამთავრდება, იგი კლუბიდან წავა. "არ მინდა, "სელტიკის" ახალ კონტრაქტზე მოვაწერო ხელი. - მტკიცედ გადაუწყვეტია შვედ ფეხბურთელს, - აქ ისედაც შვიდი სეზონი ვიყავი. ვფიქრობ, საკმარისია. კაცმა რომ თქვას, რამდენიმე წლით სხვაგანაც ვითამაშებდი, მაგრამ ყველაფერი ჩემს ფიზიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მე შვედეთში უნდა დავბრუნდე".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 9 ნოემბერს გაიმართება უკანასკნელ წლებში პირველი მანჩესტერული დერბი პრემიერლიგაში. თუმცა მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს დევიდ ბექჰემი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ "სიტის" გამარჯვების გოლი გაუტანა. ბექჰემმა "ასტონ ვილასთან" გამართულ ამასწინანდელ შეხვედრაში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. ალექს ფერგიუსონს შემადგენლობასთან დაკავშირებით სერიოზული საფიქრალი გაუჩნდა. მინდორზე ხომ ბექჰემის გარდა, ტრავმირებული ნიკი ბათი და რაიან გიგზი არ გამოვლენ. გიგზმა ვარჯიშზე მუხლის ტკივილი იგრძნო და გასახდელს მიაშურა. ექიმების თქმით, უელსელი "მაკაბის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრასაც გამოტოვებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ ჰოლანდიას ქარიშხალი დაატყდა თავს. ქარის სისწრაფე საათში 130 კილომეტრს აღწევდა, რის გამოც ჰოლანდიის ჩემპიონატის ორივე შეხვედრა: როზენდალი - გრონინგენი და უტრეხტი - ზვოლე გადაიდო. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას მატჩების ჩატარების ახალი ვადა ჯერ არ დაუსახელებია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" მცველმა მიჩელ სალგადომ უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ "სამეფო კლუბს" ყველა დაუმარცხებლად მიიჩნევს. "გამარჯვება დროზე ადრე გარანტირებული არასოდეს გვქონია. ჩვენ ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ და სწორედ ასეთ მიდგომას უნდა ვუმადლოდეთ წარმატებას" - აცხადებს სალგადო.

მცველი გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ კრიზისზე ლაპარაკიც ზედმეტია. "კრიზისი ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. საუბარი შეიძლება მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელების თვითდაჯერებულობაზე და ერთგვარ ნერვიულობაზე, რაც პირველ რიგში "რეალზე" მასმედიის ზეწოლის შედეგია" - დაამატა ფეხბურთელმა.

■ ■ ■

**რაგბი.** ქართველთაგან ძლეულმა რუსეთის ნაკრებმა რეპეშაჟის (მსოფლიო თასის შესარჩევი ციკლის სანუგეშო ტურნირი) პირველ მატჩში, მადრიდში ესპანეთის ნაკრები გააცამტვერა - 36:3. განმეორებითი შეხვედრა 9 ნოემბერს მონინოში გაიმართება. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული ტუნისის გუნდთან გაარკვევს ურთიერთობას. მათ შორის მოგებული კი მსოფლიო თასის საგზურისთვის, გადამწყვეტ 2-რაუნდიან ბრძოლას აშშ-ის ნაკრებთან გამართავს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ენ-ბი-ეის ვარსკვლავი ჰაკიმ ოლაჯოუნი, რომელიც 17 წლის განმავლობაში "ჰიუსტონში" თამაშობდა და მხოლოდ ბოლო სეზონია, რაც კანადის "ტორონტო რეპტორზშია", კალათბურთიდან წასვლას აპირებს. ოლაჯოუნის დამსახურებაა ის, რომ "როკეტსი" ორჯერ - 1994 და 1995 წლებში გახდა ჩემპიონი. ოლაჯოუნთან გამოსამშვიდობებელი ოფიციალური ცერემონია 9 ნოემბერს შედგება. როგორც "ტორონტო რეპტორზის" ცენტრი აცხადებს, ამ დღეს მის ახლანდელ კლუბს ინდიანაპოლისში უწევს თამაში.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მას შემდეგ, რაც ფორმულა 1-ის მეპატრონემ ბერნი ეკლსტოუნმა და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ შანხაიში 2004 წელს დიდი პრიზის გამართვის შეთანხმებას მიაღწიეს, ჩინეთის დედაქალაქ პეკინსაც აეშალა საღერღელი. ჩინური პრესის ცნობით, პეკინელები სამეფო რბოლებისთვის უკვე ტრასის აგებაზე ფიქრობენ. საფორმულო პროქტის გენერალური მენეჯერი ჩუ ჟოგე იმედოვნებს, რომ "დიდ ცირკს" პეკინშიც იხილავენ: "ჩვენი უცხოელი პარტნიორები, რომლებიც ფორმულა 1-ის და სხვა ავტოსპორტის მსხვილი სპონსორები არიან, გვპირდებიან, რომ ახლო მომავალში პეკინში ყველაზე მაღალი დონის რბოლებს ჩამოგვიტანენ".

აღსანიშნავია, რომ პეკინის ტრასის პროექტი, რომელიც 5.9 კილომეტრს შეადგენს, შანხაისას 450 მეტრით აღემატება. პეკინელთა გულისწადილი კი 121 მილიონ დოლარადაა შეფასებული. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, იგი ამ სახის რბოლებისთვის საჭირო ყველა ტექნიკურ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ისე კი, პეკინისა და შანხაის პროექტებამდე რამდენიმე წლით ადრე ჩინელებს ჟუხაის ავტოდრომის ეიმედებოდათ, მაგრამ იმის გამო, რომ პირველი "ჩინური მერცხალი" ფორმულა 1-ისთვის შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, მას დიდი პრიზის მასპინძლობის უფლება არ მიეცა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** სამეფო რბოლების სეზონის დასრულების შემდეგ "ფერარის" გერმანელმა პილოტმა მეგობრებისთვისაც მოიცალა. სამიოდე დღის წინ მიხაელ შუმახერი ისევ მიუჯდა ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს. გერმანელმა მრბოლმა ასპარეზობებისთვის გამოუყენებელ "ფერარის" სატესტო ტრასაზე, ფიორანოში, მეგობრებს ატრაქციონი მოუწყო. მსოფლიო ჩემპიონმა პოლ სტოდარტისგან მისი ორადგილიანი მანქანა იჯარით გამოიყვანა და მეგობრებს გასეირნების საშუალება მისცა. თანაც, საგანგებოდ ამ დღისთვის, შასი ალისფრად გადაღებეს.

"ფერარის" პილოტისგან განსხვავებით, "მინარდის" საჯინიბო ამ შაბათ-კვირას იმოლაზე გულშემატკივრებსა და სპონსორებს შეხვდა და მათ პატივსაცემად რამდენიმე საჩვენებელი რბოლა ჩაატარა.

■ ■ ■

**თხილამურები.** ავსტრიის ზოლდენში სათხილამურო სპორტის ყველაზე სანახაობრივი და დინამიკური ასპარეზობის – სამთოსათხილამურო სპორტის, კერძოდ, გიგანტურ სლალომში, მსოფლიო თასის პირველი ეტაპი გაიმართა. ერთმანეთს ქალები ეჯიბრებოდნენ. ჩემპიონის კვარცხლბეკზე ერთბაშად სამი სპორტსმენი შედგა.

პირველად მსოფლიო თასის ისტორიაში, ნორვეგიელმა ანდრინ ფლემენმა, ავსტრიელმა ნიკოლ ჰოსპმა და სლოვენიელმა ტინა მაცემ, ორი დაშვების ჯამში, ერთნაირი შედეგი აჩვენეს - ერთი წუთი და 49,91 წამი.

ნორვეგიელისთვის ტიროლის საკურორტო ზონაში გამარჯვება პირველი არ არის. მანამდე ფლემენმა 1998-1999 წლების სეზონშიც იყოჩაღა. მთლიანობაში კი მისთვის ავსტრიული ეტაპის მოგება მესამეა. სკანდინავიელისგან განსხვავებით, პირველად გაიმარჯვეს მასპინძელმა ჰოსპმა და სლოვენიელმა მაცემ.

■ ■ ■

**თხილამურები.** თხილამურებით რბოლაში მსოფლიო თასის პირველი ეტაპი გერმანიაში, დიუსელდორფში გაიმართა. შეუსაბამო ბუნებრივი პირობების გამო, სპორტსმენებს ხელოვნურ თოვლზე მოუწიათ პაექრობა. მოთხილამურეებს სპრინტერული მანძილი – 1500 მეტრი უნდა გაერბინათ. ვაჟთა შორის, ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონი გახდა შვედი პეტერ ლარსონი. მან ფინიშის ხაზი ორ წუთსა და 46,8 წამში გადაკვეთა. ლარსონს ფეხდაფეხ მისდევდნენ მისივე თანამემამულე ტობიას ფრედრიკსონი (2.48,1) და ნორვეგიელი ოლიმპიური ჩემპიონი ტორ არნე ჰეტლანდი (2.52,9), რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს. რაც შეეხება ქალებს, აქ ჩემპიონი გახდა ნორვეგიელი მარიტ ბორგენი (3.17,3). მესამე ადგილიც ნორვეგიელმა - ანიტა მოენმა დაიკავა (3.19,3). მეორე ადგილზეა იტალიელი გაბრიელა პერუცია, რომელიც ფინიშის ხაზთან სამ წუთსა და 18,2 წამში მივიდა.


E1 ანი ნიჟარაძე ასაკი-16, 164/88/63/88, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის


E2 ანი ალექსიშვილი ასაკი-17, 174/89/60/90, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E3 ელენე ლომსაძე ასაკი-16, 169/87/62/89, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის


E4 ხათუნა შენგელია ასაკი-19, 169/84/65/91, თვალის-თაფლის, თმა-მუქი ნაბლის


E5 ვანდა ვიტმანი ასაკი-19, 170/84/60/89, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E2 ანა ორშოვსკაია ასაკი-23, 163/92/60/90, თვალის-ნაცრისფერი, თმა-ქერა

## TV პროგრამა 28 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.35 სასამართლო დარბაზი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "გზა არლინგტონისკენ" მთ.როლებში ჯეფი ბრიჯესი, ტიმ რობინსი
02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული
10.00 მხ. ფილმი "ცხოველური ბუნება"
11.35 "ორსეს მუზეუმი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "წყვილები და დუეტები"
14.30 "საქართველო და გარესამყარო"
15.15 მხ. ფილმი "ფარაონი"
16.30 დოკ. ფილმი "დღესასწაულის მიწა"
17.00 "რამპა"
17.05 50-50
17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი "რვაფეხა"
21.50 "დრო და ფული"
22.00 "პრეზიდენტი გისმენთ"
23.00 დღის ბოლოს
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით
3.45 "ცენტრი" გამეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "მოასწრეთ შუაღამემდე"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ქალის სურნელი".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "8 მილიმეტრი"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.40 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "შეაწიე სიტყვა საგრალო ჰუსარს"

### ევრიკა

10.00 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.30 "ვარსკვლავები გვამცნობენ"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.35, 00.40 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "სასიყვარულო კავშირები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ფარვანა"
10.20 მხ.ფ. "მეომარი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ცისფერთვალება მიკი"
22.30 ბურთი და მოედანი
22.50 მხ.ფ. "სასტიკი თამაშები 2"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი "შენთან ერთად"
15.00 მხ. ფილმი "დიდი კუში"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "თავში უქრის"
22.30 მხ. ფილმი "დრაკონის კოცნა"

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა
09.10 "იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოქალაქეობა"
10.00, 15.00 "დილა"

11.15 მხ. ფილმი "ზვავი"
13.00 დოკ. ფილმი "პირველი მსოფლიო ომი" 1-ლი ნაწილი
14.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45 სანახაობა "ყოჩაღები" - "პენსია"
16.00 დოკ. ფილმი "ფრანგული ცირკი"
16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 35-ე სერია
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ჩინეთის დიდი კედელი"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "საჰაერო მონადირე"
23.50 მუსიკა
00.20 მხ.ფ. "ინტიმური იმედგაცრუება"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "საამური ცხოვრება"
14.00 ფილმი-კატასტროფა "აპოკალიფსის საათები"
16.15, 19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
17.00 მელოდრამა "დისწული"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 სათავგადასავლო ფილმი "ზოროს ნიღაბი"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "კლასიკოსი"
03.30 მხატვრული ფილმი "პატარა ვერა"

### VII არხი

09.15 "აჩიკუდა"
09.45 მოკლედ... სპორტი
09.50 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მელოდია
10.55 ანიმაცია
11.10 "სახლიდან გაუსვლელად"
11.45 "ობიექტივი"
12.35 დოკ.ფ. "კრივი"
12.55 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.00 სპორტი
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.45 დოკ.ფ. "კრივი"
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.55 "კინოკლუბი " - "ჩვენნაირი ხალხი"
00.20 პრესის მიმოხილვა
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.10 "ბიორითმი" - რიკი მარტინი
01.35 პრესის მიმოხილვა

### OPT

07.00 "Доброе утро"
10.00. 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Боевик "СМЕРЧ"
12.10 "Фабрика звезд"
12.40 "Твинисы"
13.15 Худ.фильм "ТРИ МУШКЕТЕРА. ПОДВЕСКИ КОРОЛЕВЫ"
15.10 "Ералаш"
15.30 Человек и закон
16.15 "Фабрика звезд"
16.50 Док.сериал "Живая природа"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 "Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Сериал "КЛЕТКА", 1 с.
23.45 Независимое расследование
00.30 "Фабрика звезд"
01.00 "Другое время"
01.40 "На футболе"
02.10 Русский экстрим"

### PTP

06.45 "Доброе утро, Россия!".
09.45 комедия "КЛУБ ПЕРВЫХ ЖЕН" (США)
11.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 ВЕСТИ.
12.20 Ток- шоу "Цена успеха".
13.15 "Вера, надежда, любовь".
14.15 "Экспертиза".
14.30 ВЕСТИ-МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ.
15.20 "Что хочет женщина"
16.20 "СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ".
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
18.20 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.20, 21.35 ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 Сериал"ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "ТАЙГА".
22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ".
00.00 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
00.30 "Культурная революция".
01.30 "Синемания".
02.00 "Дорожный патруль".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

(3)

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.